ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის გრანტის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის სახ.
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, აგრეთვე
სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ
უნივერსიტეტში

გერონტი გასვიანი

# ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ

თბილისი
"მეცნიერება"
2003

ნაშრომში გაშუქებულია გამოჩენილი მეცნიერის პავლე ინგოროყვას მიერ "გიორგი მერჩულეში" განვითარებული შეხედულებები აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, კერძოდ: ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და ვინაობა, აგრეთვე ძველი აფხაზეთის ტოპონიმიკა, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პოლიტიკური ვითარება და კულტურა; ასევე განხილულია აფხაზეთში ჩრდილოეთიდან (ყუბანისპირეთიდან) და ჩრდილო-დასავლეთიდან (ადიღე-ჩერქეზეთიდან) გვიან საშუალო საუკუნეებში ჩამოსახლებული ხალხის (აფსუა-აბაზების და ადიღე-ჩერქეზების) მეურნეობა, ყოფა-ცხოვრების წესი, რწმენა-წარმოდგენები და კულტურა.

ნაშრომში განხილულია, აგრეთვე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერების: გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას და სხვათა მიერ პავლე ინგოროყვას "გიორგი მერჩულეს" ისტორიულ-მეცნიერული ღირებულების შეფასება. აქვე წარმოდგენილია მთელი რიგი წყაროები და არგუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა ქართველები, ქართველური ან მათთან ახლო მდგომი ხალხი იყო, ხოლო აფხაზეთში გვიან ჩამოსახლებული აფსუა-აბაზები და ადიღე-ჩერქეზები — უცხო ჯიშისა და ჯილაგის ხალხი, რომელთაც იმ ქვეყნისა და ხალხის სახელი ეწოდათ, სადაც გვიან დროს დამკვიდრდნენ და სადაც, ადგილობრივ ქართველებთან შედარებით, ყოველთვის უმცირესობას შეადგენდნენ.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტ-ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
ფარნაოზ ლომაშვილი

რეცენზენტი: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
სერგო ვარდოსანიძე

ნაშრომის გამოცემაში დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ ვახტანგ სართანიას

# ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ

საბჭოთა იმპერიის ჯოჯოხეთური რეჟიმისა და ცენზურის გამო თანამედროვე ქართველმა საზოგადოებრიობამ სულ ცოტა რამ იცის, თუ როგორ შეხვდნენ ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა გამოჩენილი წარმომადგენლები პავლე ინგოროყვას ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს აფხაზეთის შესახებ. ამ მხრივ, პ. ინგოროყვასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ გამოჩენილი მეცნიერები: ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია და დავით კობიძე, რომელთაც, მიუხედავად ხელისუფლების სუსხიანი რეჟიმისა, ოფიციოზის წინააღმდეგ ჟურნალ “მნათობში“ გამოაქვეყნეს თავისი დამოკიდებულება აფსუებისა და კრემლის მიერ აიყალისწინებული პ. ინგოროყვას მეცნიერული შეხედულების შესახებ.

ცნობილია, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პ. ინგოროყვას მიერ საქართველოს ისტორიული კუთხის — აფხაზეთის ისტორიაზე 1954 წელს გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომის “გიორგი მერჩულეს“ გამო ვაი-ვიში ატეხა თავისი ერთი მუჭა იდეოლოგების მიერ წაქეზებულმა აფსუებმა, რომელმაც გლეხთა და მუშათა თაეყრილობებზე თავგამოდებით დაგმო და, ყოველგვარი აპელაციის გარეშე, საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა ხსენებული ნაშრომის დაგმობა და აკრძალვა.

1956 წელს — სტალინის პიროვნების საყოველთაო დაგმობის შემდეგ, როდესაც საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ, ხრუშჩოვის მეთაურობით, სტალინზე არანაკლები სიძულვილი გამოავლინა მის მიერ 1953 წელს დახვრეტილი ლ. ბერიასადმი და საერთოდ მათი მშობლიური ქართველი ხალხისადმი. კრემლმა საქართველოს მარიონეტული ხელისუფლებას დაავალა განეხილა და აეკრძალა აფსუების მიერ ამოჩემებული პ. ინგოროყვას შრომა “გიორგი მერჩულე“, რომელიც მეცნიერულად ცხადყოფდა აფხაზეთში აფსუების მოსულობას

ჩრდილო კავკასიიდან გვიან საშუალო საუკუნეებში.

აფსუების შეთქმულების პირობებში, რაც არა ერთი თავყრილობასა და ქართველებისადმი სისტემატურ დევნასა და დასმენაში, ასევე კრემლის აქტიურ მხარდაჭერაში გამოიხატა. პ. ინგოროყვას ისტორიული გამოკვლევის "გიორგი მერჩულეს" დასაცავად ხმა აიმაღლა ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა ელიტარულმა ნაწილმა, მათ შორის: ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, გიორგი ახვლედიანმა, გიორგი ჩიტაიამ და დავით კობიძემ. გამოჩენილი მედიევისტის ნ. ბერძენიშვილის შეხედულებაზე ბოლოს ვიმსჯელებთ "ნ. ბერძენიშვილი აფხაზების შესახებ" (იხ. ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2001 წ.).

რაც შეეხება გამოჩენილ ენათმეცნიერ გ. ახვლედიანს, ის, მიუხედავად ხელისუფლების მიერ შექმნილი მძიმე პასუხისმგებლობისა, მოწონებით შეხვდა. პ. ინგოროყვას საფუძვლიან მეცნიერულ გამოკვლევას აფხაზეთზე და რეცენზია მიუძღვნა მას. გამოჩენილმა მეცნიერმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ტოპონიმიკის საკითხზე, რასაც სპეციალური პარაგრაფიც უძღვნა სათაურით: "ტოპონიმიკურ სახელწოდებათა კვლევის მნიშვნელობა და პავლე ინგოროყვას სპეციალური ექსკურსი".

აქ გ. ახვლედიანმა იმსჯელა ტოპონიმიკური კვლევის მნიშვნელობაზე აფხაზეთის ისტორიის დადგენის საქმეში, მით უფრო რადგან სათანადო წერილობითი წყაროების ნაკლებობას განვიცდით: "ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა, წერს მეცნიერი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. მეცნიერის თქმით: ტოპონიმიკაში (ადგილთა სახელწოდებებში) ხშირად ასახულია ეთნონიმიკაც, ე.ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე; ტოპონიმიკაში ხშირად შემონახულია დამახასიათებელი საზოგადო სახელები, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს: სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს,

საბალახოს და სხვას".[1]

გ. ახვლედიანი აფხაზეთის ოდინდელი (ისტორიული) მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დასადგენად იმიტომაც იწონებს პ. ინგოროყვას ტოპონიმიკურ კვლევას, ანუ "სპეციალურ ექსკურსს" (რომელშიაც განხილულია 136 ისტორიული ტოპონიმი), რომ სახეზე არსებული ტოპონიმთა ნაწილი გადასხვაფერებულია, ზოგიერთიც სულ არაა ასახული ან შემორჩენილი მოქმედ ლექსიკურ ფონდში, გ. ახვლედიანი ამიტომაც საჭირო და აუცილებელ საქმედ მიიჩნევს პ. ინგოროყვას ენათმეცნიერულ და ისტორიულ კვლევა-ძიებას ტოპონიმიკის სფეროში. კიდევ მეტი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი კონცეფციის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვა სპეციალურ ექსკურსში ჩატარებული ტოპონიმიკური კვლევის შედეგებს, არსებული წერილობით წყაროებთან შედარებით,. დამხმარე ანუ დამატებითი არგუმენტის საბუთად მიიჩნევს, გ. ახვლედიანი პ. ინგოროყვას მიერ ამ სფეროში ჩატარებულ კვლევა-ძიებას ზოგიერთ შემთხვევაში (როცა სხვა წყარო არ გაგვაჩნია) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან უამრავ შემთხვევაში ეს ტოპონიმები, როგორც დედამიწაზე აღბეჭდილი ენა, პირდაპირ გვიჩვენებს აფხაზეთში ქართველთა ანუ ქართველური ტომების უძველეს ნაკვალევს.

გ. ახვლედიანი არ იფარგლება პ. ინგოროყვას კვლევა-ძიების ზოგიერთი დეტალის მნიშვნელობის შეფასებით. ის წერს: "მე საშუალება მომეცა გამომეთქვა სრულიად დადებითი აზრი პავლე ინგოროყვას ამ ჭეშმარიტად შესანიშნავი შრომის შესახებ (იხ. "Заря Востока", 1955 წ.№ 161) და კერძოდ, ვამბობდი: "რაც შეეხება "სპეციალურ ექსკურსს", სახელწოდებათა უმრავლესობა ადასტურებს პ. ინგოროყვას დებულებას".[2] გამოჩენილი მეცნიერი აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ საერთოდ ჩვენი ტოპონიმიკა და ეთნონიმიკა არაა საკმაოდ შესწავლილი, ამიტომ პ. ინგოროყ-

---

1. გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნ., "მნათობი", 1957, №2, გვ. 107.
2. იქვე, გვ. 107-108.

ვას ეტიმოლოგიები არაა ყველა ერთნაირად დამარწმუნებელი. გ. ახვლედიანი აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ ამ აზრისა ვარ დღესაც (ე.ი. 1955 წლის შემდეგ 1957 წელსაც – გ.გ.) პავლე ინგოროყვას, როგორც მთელი შრომის (ე.ი. "გიორგი მერჩულეზე" – გ.გ.), ისე იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც ამ ჩემს შენიშვნებში ვეხები, – მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტებმა შესაძლოა კიდევ სხვა ცალკეულ ნაკლზეც მიუთითონ ჩვენს მკვლევარს, რაც მის შრომას, როგორც მთლიანს, ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს".[1]

გ. ახვლედიანი კვლავ შენიშნავს იმას, რომ პ. ინგოროყვას მიერ განხილული 136 ტოპონიმიდან შესაძლებელია ზოგიერთის ახსნა არ იყოს სრულყოფილად დამაჯერებელი და გაზიარებული, მაგრამ მათი უმრავლესობა ადასტურებს პ. ინგოროყვას დებულების სისწორეს: "ამ 136 სახელწოდების დიდი უმრავლესობის საერთო ენობრივი იერი – როგორც ფონეტიკური ბგერადობისა, ისე მორფოლოგიური აღნაგობის მხრივ".[2]

შემდეგ გ. ახვლედიანი ეხება პ. ინგოროყვას მიერ გაანალიზებული ტოპონიმების წყების სპეციფიკურ-ენობრივ იერსახეს, წარმომავლობას და ეტიმოლოგიას და აღნიშნავს, რომ პ. ინგოროყვას მიერ გარჩეული 136 ტოპონიმის დიდი უმრავლესობა უთუოდ ქართული ლექსიკის იერსახეს და შინაარსს ატარებს, ამიტომ პ. ინგოროყვას მიერ მათი ქართული სამყაროსადმი კუთვნილება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

აქვე გ. ახვლედიანი ეხება პ. ინგოროყვას მიერ აფხაზეთის ქართული სამყაროსადმი კუთვნილების გამომხატველ კონკრეტულ ტოპონიმებს, მაგალითად, ცხუმს და დასძენს, რომ ცხუმ-ცხომ ფუძის მიკუთვნება ქართულ-ქართველურ ენობრივ სამყაროსადმი არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან როგორც ცხ, ასევე ბლ-ფხ, პყ, დლ-თხ-ტყ, ძლცხ-წყ, ჯყ-ჩხ, ჭყ კომპლექსები და მათი ფონეტიკური შე-

1. იქვე, გვ. 108 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – გ.გ.).
2. იქვე.

სატყვისობები ქართული ანუ მეგრულ-ჭანური კუთვნილებისაა, ასეთებია პ. ინგოროყვას მიერ დამოწმებული სახელწოდებები აფხაზეთში: ჩხალთა, ღლამიში, იაშტუხა, თხინა, ფრცხა, ჩხორთოლი, ტყუბენი (სვანურად ტყუბ-ტყუპი), და სხვა მრავალი. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ცხ-ჩხ და მსგავსი ფუძიანი სახელწოდებები მრავლად გვხვდება სვანურშიც, მაგალითად: ცხუმი (რომლისაგანაცაა ნაწარმოები სოხუმი), ცუმური (ცხუმური), ხუმარა (ცხუმარა ნაქალაქარი ჩრდ. კავკასიაში), ცხუმარი (სოფელი), ცხუმელური (სოფელი), ცხუმ ზაგარი (ქედი, სვანეთ-სამეგრელოს შორის), ჩხუტელი (სოფელი) და სხვ. ამგვარი რიგის სახელწოდება უნდა იყოს ლეჩხუმი (ლე-ცხუმი) და სხვა, აგრეთვე ჩხვიმიანი, ჩხუმიანი გვარები და სხვ.

გ. ახვლედიანი სპეციალურად ეხება პ. ინგოროყვას მიერ ბიჭვინთის ეტიმოლოგიურ ახსნას და ენათმეცნიერული გააზრების საფუძველზე დასძენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის თავდაპირველად ნასესხებია ბერძნული "პიტუს"-იდან (ტოპონიმად გადაქცევამდე), როგორც პ. ინგოროყვა წარმოგვიდგენს, გაფორმებულია ქართული ენის კანონზომიერების მიხედვით, როგორც არაერთი სხვა ნასესხები ტერმინიც.

გ. ახვლედიანი იხილავს აგრეთვე "ბზიბის" ინგოროყვასეულ ახსნასა და არგუმენტს და აღნიშნავს, რომ ტოპონიმიკის კვლევისას სავალდებულოა ისტორიული ცნობების გათვალისწინება, მით უფრო როდესაც ასეთი რამ მოგვეპოვება მასზე. შემდეგ კონკრეტულად მსჯელობს ბზიბის სახელწოდებაზე და სვამს საკითხს- მოგვეპოვება თუ არა მასზე ისტორიული ცნობა? იქვე პასუხობს, რომ დიახ, მოგვეპოვება: ჯერ ერთი, წინათ მდ. ბზიბის სახელწოდება ყოფილა "კაპოეტის წყალი"; მეორეც, მდ. ბზიბის სახელი სხვადასხვა დროს (1318 წლიდან — 1519 წლამდე) მოხსენიებულია ათჯერ, მაგალითად რუკაზე "Cavo de buxo"- "ბზის ნავსადგური", როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს (ხსნის), ეს სახელი მდინარეს თავდაპირველად სოფლის, მთის ან ტყე ბზიბისაგან უნდა დარქმეოდა — ბზის ტყეების გამო. გ. ახვლედიანს ეს ახსნა იმდენად დამაფიქრებლად და, მაშასადა-

მე, მისაღებად მიაჩნია, რომ “თუ სხვა რაიმე უფრო მეტად უეჭველი საბუთი არ იქნა მონახული, ჩვენი ავტორის აზრი საესებით უნდა გავიზიაროთ“.[1]

როგორც ჩანს, ტოპონიმი “ბზიბის“ ასეთი განმარტება ენათმეცნიერმა ქ. ლომთათიძემ (რომელმაც ტენდენციური რეცენზია უძღვნა “გიორგი მერჩულეს“, იხ. ქ. ლომთათიძე, “აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ“, ჟ., “მნათობი“, 1956 წ., № 12), არასწორად მიიჩნია და მარტივად მას სხვაგვარი ახსნა გამოუნახა. მისი აზრით: “ბზჺფ“ უბიხური წარმოშობის სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: ბზჺ//ბზი უბიხურად წყალს აღნიშნავს და სრული კანონზომიერი მქღერი შესატყვისია ადიღური “წყლის“ აღმნიშვნელი ფსჺ სიტყვისა; მეორე ფ-ელემენტი კი აფხაზურ-ადიღურ ენებში გავრცელებული ტოპონიმიკური სუფიქსია (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია)“[2].

სხვათა შორის, ქ. ლომთათიძე, საქართველოს ისტორიულ მიწაზე მდებარე სოჭის სახელწოდების ახსნაში, ქართულთან შედარებით, ასეთივე უპირატესობას ანიჭებს ამ მიწაზე მოსული უბიხების ენას, რომლის მიხედვითაც ამ ტერიტორიას საჩა ეწოდება, როდესაც უბიხურ “საჩას“ პირდაპირი ეტიმოლოგიური ახსნა არ აქვს, “სოჭა“ კი ქართულად მცენარე სოჭის ტყის მასივებისაგან გამომდინარეობს, — რომელიც ასევ უხვად მოიპოვება ქ. სოჩასა და მის მიმდებარე ხეობაში (როგორც ამას ფიჭვნარის მხრივ, აქვს ადგილი ბიჭვინთაში).

გ. ახელედიანს მისაღებად მიაჩნია პ. ინგოროყვას მიერ “აშე-ღალის“ განმარტება, რომ ის “ღალი-ძგის“ ბადალია (იტალიური ტრანსკრიფციით). გ. ახვლედიანის თქმით, ქ. ლომთათიძემ ვერ უარყო ეს და ამიტომ გვერდი აუარა პ. ინგოროყვას დასაბუთებულ არგუმენტებს. თვითონ კი მარტივად გადაწყვიტა საქმე — თითქოს “აშე-ღალი“ ჩერქეზული “აშექალა“ ანუ აშეყალაა — თურქულიდან ნასესხები გზით

1. იქვე, გვ. 109 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — გ.ც.).
2. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟ. “მნათობი“, 1956, № 12, გვ. 133.

(ციხე-ქალაქ "სოხუმ-კალეს" მსგავსად)*?! ამგვარი ცდომილებების გამო, გ. ახვლედიანი დასძენს: "ქ. ლომთათიძე არ იჩენს სიფრთხილეს, როცა "დალის" ("დელეს") ახსნისას დაუსაბუთებლად უვლის გვერდს ქართულ და ქართველურ ენათა სამყაროს და მიმართავს თურქულ-ჩერქეზულ გზას".[1]

ჩვენი მხრივ შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმიკის მკვლევარებს სიმონ ჯანაშიამ ჯერ კიდევ ადრე მოუ-

* სხვათა შორის, ასეთივე განმარტებას და მსჯელობას აქვს ადგილი კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ირგვლივ, მაგალითად, სუფსას, აფსარუნტის, აფსარის, აკამფსისის, მალთაყვას და სხვათა შესახებ. რატომღაც ისინი ადიღე-ჩერქეზთა ნაკვალევად იქნენ მიჩნეული და ამ ენის მეშვეობით აიხსნეს, როდესაც "ფს" ძირის შემცველი და შესატყვისი მრავალი ტერმინი მოგვეპოვება ქართულში და ამ ენაზე აიხსნებიან (იხ. Г. Гасвиани, "Абхазия. Древние и новые абхазы", 2000, с. 84-85). საკითხავია — თუ თავიანთი ფონეტიკური მსგავსების გამო, ეს ტოპონიმები და ჰიდრონიმები ადიღეურ-ჩერქეზულ ნაკვალევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში, მაშინ რა ვუყოთ საქართველოს სხვა უამრავ უცხო სახელწოდებას — რამდენი სახელმწიფოს და ხალხის ნაკვალევად მივიჩნიოთ ისინი? უცხო ან ნასესხი ტოპონიმებისადმი მსგავსი მიდგომა ალბათ არაერთ კითხვას აღძრავს და მრავალ გაუგებრობას გააჩენდა, თავი რომ დავანებოთ საქართველოს ბარის რაიონებს, სადაც მტერს შედარებით ადვილად მიუწვდებოდა ფეხი. ამ შემთხვევაში რა ვთქვათ თუნდაც სვანეთის უშორეს კალის (ყალის) თემს, სადაც სხვათა შორის, სვანეთის მთავარი სალოცავი კვირიკესა და ივლიტას მონასტერი დგას, თუ ზემოაღნიშნულ ტოპონიმებს — გურიასა და სხვაგან, ჩერქეზთა განსახლების ნაკვალევად მივიჩნევთ, მაშინ სვანეთის დასახელებული ადგილი ხომ თურქთა უძველეს ნაკვალევად უნდა ჩავთვალოთ? მაგრამ ეს ხომ გაუგებრობის კურიოზული მაგალითი იქნება! მეტი რომ არ გავაგრძელოთ, აი როგორი სასაცილო მდგომარეობაში შეიძლება ჩაიგდოს თავი იმან, ვინც მხოლოდ ენის გამოხატულების ანბანურ თეორიას მისდევს და ანგარიშს არ უწევს სხვადასხვა გარემოებას და ისტორიას. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თურქული სახელწოდება სოხუმი და სოუკსუ — ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ისინი თურქი მოსახლეობის ნაკვალევი არიან, მაშინ, როდესაც სოხუმი გაჩნდა და სხვადასხვა ენებში გავრცელდა, ამას ცხუმი ერქვა და მისი გაჩენის დროს აქ თურქების ბუნდღაც კი არ არსებობდა. ასე, რომ თუნდაც უცხო ტოპონიმის გაჩენა არ ნიშნავს ყველაფერს, არ ნიშნავს იმას, რომ ის უცხო ხალხის ცხოვრების ნაკვალევია. ამიტომ ტოპონიმების განსაზღვრის დროს, როგორც ამას გამოჩენილი მეცნიერები გვასწავლიდნენ — დიდი სიფრთხილე და ფიქრია საჭირო.

1. გ. ახვლედიანი, დასახ. შრომა, იქვე; ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და... ჟ., "მნათობი", 1956, № 12, გვ. 134.

წოდა სიფრთხილის გამოჩენაზე, რადგან ისინი ხშირ ცვალებადობის გამო მსხლეტი ბუნების არიან, ამიტომ ადვილად შეიძლება ზღვა შეცდომების წყარო გახდნენ.[1]

პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულესადმი" დაპირისპირებაში პროფ. ქ. ლომთათიძემ სცადა აფხაზეთის თ(ა) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების ქართული სამყაროსადმი კუთვნილება გაექარწყლებინა და ისინი აფხაზურისათვის მიეკუთვნებინა, მაგრამ გ. ახვლედიანის განსჯით, გვაქვს ერთგვარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამგვარ ქართულ სახელებში თ(ა) არის სიმრავლედ აღქმული ადგილის სახელწოდების ფორმანტი (მაგ., "ჩხიკვთა", "მოწამეთა" და სხვ.), ამ მხრივ, მეცნიერის აზრით, ქართული თ(ა) უახლოვდება აფხაზურ თას, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი აფხაზურში ადგილმდებარეობას გამოხატავს. ე.ი. გ. ახვლედიანი ადასტურებს თ(ა) სუფიქსის ქართულ კუთვნილებას, მაგრამ ეჭვობს, რომ ამგვარი სუფიქსი აფხაზურში ადგილმდებარეობის გამომხატველია. თუ აფხაზურში თა ადგილმდებარეობის შემცველია, მაშინ თ(ა) როგორც ფონეტიკურად, ისე გრამატიკულ-სემანტიკურად აფხაზთა და ქართველთა საერთო კუთვნილებაა.[2]

პ. ინგოროყვასთან დაკავშირებით გ. ახვლედიანი შემდეგ ეხება ლიხნის და ნაანას და აღნიშნავს, რომ პ. ინგოროყვას აზრით, ამ ტოპონიმებში ჩანს ქართულის გავლენა აფხაზურზე, რასაც აგრეთვე უარყოფითად შეხედა პროფ. ქ. ლომთათიძე. "ჩვენ ვფიქრობთ, — ამბობს გ. ახვლედიანი, — პავლე ინგოროყვასაგან განსხვავებით, რომ არც ამ მხრივ ჰქონია ადგილი ქართულიდან სესხებას და პროფ. ქ. ლომთათიძისაგან განსხვავებით, რომ ასეთი სიტყვაწარმოება არაა მხოლოდ აფხაზურის კუთვნილება: იგი საერთოა აფხაზურ-ქართულისა".[3]

გ. ახვლედიანმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ფსჷ ფორმანტის შემცველ სადაო სახელწოდებების გარჩევას, ის სვამს საკითხს: აქვს თუ არა ადიღეურ ფსჷ-ს კანონზომიერი შესატყვისობა ქართულში? მეცნიერი ადასტურებს, რომ ადი-

1. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117.
2. გ. ახვლედიანი, დასახელებული შრომა, გვ. 111.
3. იქვე.

ღეურ-ჩერქეზული ფსჷ ნიშნავს "წყალს" და ის გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მეტადრე აფხაზეთში რამდენიმე მდინარის სახელწოდების ბოლოში, მაგალითად, სუფსა, ლაგუმფსა და სხვ. რაც მიჩნეულია აქ ჩერქეზი ტომების ოდინდელი ბინადრობის ნაკვალევად — თუკი დამტკიცდება, რომ ის მხოლოდ ადიღეურისათვისაა დამახასიათებელი და მისი შესატყვისი არ მოეპოვება ქართულს[1]. ცნობილია, რომ ამ საკითხს ეხებიან აკადემიკოსები ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, მაგრამ საგანგებოდ და შედარებით ფართოდ განიხილა პ. ინგოროყვამ, რომლისადმი მიძღვნილ რეცენზიაში პროფ. ქ. ლომთათიძემ გაიმეორა და გაიზიარა პირველი მკვლევარების შეხედულება და სცადა უარეყო პ. ინგოროყვას კონცეფცია.

პ. ინგოროყვა აანალიზებს დასავლეთ საქართველოს ფსჷ ფორმანტიან ისტორიულ ტოპონიმებს (ნიკოფსია, ლაგუმფსა, სუფსა, ფასისი და სხვ.), აგრეთვე ქართულისათვის დამახასიათებელ მსგავს თუ შესატყვის სახელებს: ფშა (წყარო), ფშანი, ფოსო — ფოსვი, ფსია (მეგრული) და სხვ. რითაც პ. ინგოროყვამ ეჭვი შეიტანა წინამორბედი მკვლევარების მიერ წამოყენებული ვარაუდის (და არა დამტკიცებული დებულების) სისწორეში — თითქოს ფსა სუფიქსის შემცველი მდინარის სახელები (მაგ., სუფსა და მისთანანი) მოწმობდეს ჩერქეზულ ტომთა ნამყოფობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ქ. ლომთათიძე უყოყმანოდ იზიარებს ამ ვარაუდს და პ. ინგოროყვას გასამტყუნებლად ყოველნაირად აზვიადებს მის მნიშვნელობას, თითქოს "ეს დებულება ქართველი და სხვა კავკასიელი ტომების უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მტკიცე მონაპოვარს წარმოადგენს"[2].

არ ვიცით — თუ ინგოროყვას კრიტიკის გარდა, ეს სუფიქსები ქ.ლომთათიძემ კიდევ სად და როდის გამოიყენა კავკასიელი ტომების უძველესი ბინადრობის დასადგენად, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის და კავკასიის ისტორიის გამოჩე-

1. გ. ახვლედიანი, დასახ. შრომა, გვ. 111.
2. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და... ჟ. "მნათობი", 1956, № 12, გვ. 136.

ნილ სპეციალისტებს ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას ეს ვარაუდი არასოდეს გაუხდიათ ფეტიშად და დოგმად, არავისთვის მოუხვევიათ ის თავზე, პირიქით, საეჭვო ვითარების გამო, მათ თავი შეიკავეს ამგვარი ვარაუდის განვითარებაზე (ეს არც მათ სახელოვან მემკვირეებს უცდიათ). კიდევ მეტი,მეტადრე ივ. ჯავახიშვილმა კავკასიის ხალხების განსახლება-ბინადრობაზე და მიგრაციაზე თავდაპირველად გამოთქმული ვარაუდი თუ მოსაზრება მოძველებულად, დაუსაბუთებლად და მცდარად მიიჩნია (ასევე ვიცით, რომ გამოჩენილი მეცნიერის ნ. მარის არაერთი ვარაუდი და დებულება მოძველდა). ასე, რომ არც ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას,არამედ ქ. ლომთათიძის შემდეგაც არც ერთ სერიოზულ და ღირსეულ ქართველ ისტორიკოსს (თუნდაც ენათმეცნიერს) არ უცდია ზემოაღნიშნული ვარაუდი ჭეშმარიტებად მიეღო, რადგან, როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, შეუძლებელია რაღაც ოთხი — თუ ხუთიოდე ტოპონიმით, ან მათი ფონეტიკური მსგავსებით დაამტკიცო, რომ ოდესღაც ადიღე-ჩერქეზები ისტორიული კოლხეთის შიგ შუაგულში სახლობდნენ.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა შუაშია აქ აფხაზები, ანუ აფსუები? ისინი ხომ სხვადასხვანი არიან, თუმცა ზოგიერთი მათი ერთიანობის დადასტურებასაც ცდილობს (მეტადრე აფსუა ისტორიკოსები), ვითომ ძველი და ახალი აფხაზები (აფსუები) და ადიღე-ჩერქეზები ერთი და იგივე არიან. მაგრამ, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ კატეგორიულად ვიტყვით, რომ არა, ისინი სხვადასხვანი არიან, სხვა საქმეა მათ, მეზობლობისა და ხანგრძლივი ურთიერთობის გამო, ზოგიერთი რამ საერთოც აქვთ, რაც გენეტიკურ ერთიანობას არ ნიშნავს, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია; როცა ისინი გურია-აჭარის ხსენებულ ტოპონიმებს შეეხნენ, მიუთითებენ, რომ ისინი ადიღე-ჩერქეზული წარმომავლობის უნდა იყვნენ (და არა აფხაზური). ნუთუ ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ერთიმეორისაგან განასხვავებდნენ მათ?! კიდევ მეტი, ბოლო პერიოდის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ არც აფხაზები არიან ერთი და იგივე: ისინი შედგებიან ძველი აფხაზების ანუ ქართველების მონათესავე ხალხი-

საგან და აფხაზეთში გვიან საშუალო საუკუნეებში ჩამოსახლებული უცხო აფსუებისაგან (რომლებიც აბაზების განშტოებას წარმოადგენენ). სხვა საკითხია, რომ გვიან საუკუნეებში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, ბევრი ქართველი გააფსუვდა (ძალდატანებით და იშვიათად ნებაყოფლობით). ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ აფსუები თავის ძველ საკვალევს დატოვებდნენ დასავლეთ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა აფხაზეთად წოდებულ კუთხეში.[1]

თავის რეცენზიაში გ. ახვლედიანი უბრუნდება ქ. ლომთათიძის მიერ პ. ინგოროყვას წინააღმდეგ გამოყენებულ მთავარი არგუმენტის ("მონაპოვარის") რაობას — თუ რა თქეეს თავის დროზე გურია, აჭარა, სამეგრელო,აფხაზეთის ფსე სუფიქსიან ტოპონიმებზე გამოჩენილმა მეცნიერებმა.

ნ. მარის თქმით: "...Достано гурийской реки супсы, представляющей абхазское название "сурская река" так как гурия называлась с Сурией, по грузинский Sur-ев" (избранные работы, т. V. с. 126, სტატია დაწერილია 1924 წ.) გ. ახვლედიანი წერს, რომ აქ ნ. მარი აფხაზურად თვლის იმას, რაც ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ჩერქეზულად მიაჩნდაო"[2]. გ. ახვლედიანი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს: "...Уже само окончение ფსა выдает ее черкесское происхождение, но перва ее часть სუფ- также можеть быть отожествлена с названием одного из притоков Кубани суп" (Вестник Древней истории, т. 4. 1939. с. 45).

აქვე გ. ახვლედიანი იმოწმებს ს. ჯანაშიას ნათქვამსაც, რომლის მიხედვით, საფიქრებელია, რომ მდინარემ (ე.ი. სუფსამ) სახელი მიიღო მთისაგან.. სადაც სათავე აქვს ამ მდინარეს: სურები (სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის "მოამბე", ტ. I, №1, 1940, გვ. 624).

გ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ "სამივე აკადემიკოსს სხვადასხვა აზრი აქვთ გამოთქმული მთლიან სუფსა სიტყვაზე, მაგრამ სამივე ფიქრობს, ფსა ქართული არ არისო, პავ-

---

1. გ. ცასეიანი, ნ. ბერძენიშვილი აფხაზეთის შესახებ, იხ. ვალერიან მაჭარაძის 80წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2001 წ. გვ. 267-291.
2. გ. ახვლედიანი, დასახელებული რეცენზია,გვ. 112.

ლე ინგოროყვა კი ფიქრობს, რომ იგი: 1) ან საერთოა ქართულსა და ჩერქეზულისათვის, რომელნიც მონათესავე ენებია, და 2) ან წმინდა ქართულია და აქედან ჩერქეზულშია ნასესხები (გვ. 185). იგი არ მოერიდა დიდ ავტორიტეტებს, არ გაჰყვა"მტკიცე მონაპოვრობის" თეორიას და სერიოზული, საქებარი გზა აირჩია სინამდვილის დასადგენად: რატომაა აუცილებელი უცხოურის მოშველიება, თუ არაა ამოწურული შინაგანი რესურსებიო". მეც არ ვფიქრობ, – წერს გ. ახვლედიანი, რომ საკითხი საბოლოოდ ჰქონდეს გადაწყვეტილი პავლე ინგოროყვას, მაგრამ ის გზა, რომელიც მას აურჩევია, საუკეთესო და ერთადერთი მეცნიერული გზაა, რომელსაც უნდა დაადგეს მკვლევარი ასეთი საკითხების კვლევისას"[1]

აქვე გ. ახვლედიანი ქ. ლომთათიძის მისამართით დასძენს, რომ "არაა სწორი "მტკიცე მონაპოვრობის" საბუთიანობა, რადგანაც ამით გადაიჭრება არა პრობლემა, არამედ მეცნიერების წინსვლის გზა".[2] მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ავტორიტეტს პატივი უნდა მიაგო და ანგარიში გაუწიო, მაგრამ შესაბამისად უნდა გამოიყენო მისი საბუთი და მოსაზრება. მაგალითად, სუფსის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ქ. ლომთათიძე სრული კატეგორიულობით ლაპარაკობს და "მტკიცე მონაპოვრად" აცხადებს იმას, რასაც თვითონ ს. ჯანაშია მხოლოდ შესაძლებლად ცნობს. შეად., მაგალითად, ს. ჯანაშიას ხსენებული შრომის 626 გვ.: "შესაძლებელია, ამ სტრუქტურის იყოს ბზფ" და ქ.ლომთათიძის რეცენზიის 133 გვ.: "ფ- ელემენტი კი აფხაზურ-ადიღეურ ენებში გავრცელებული ტოპონიმიკური სუფიქსია"[3]. გ. ახვლედიანისავე თქმით:. "პროფ. ქ. ლომთათიძეს ზოგჯერ გამოჰყავს დასკვნები არასწორი მსჯელობის შედეგად", რომლის ნიმუშად აკად. გ. ახვლედიანი მრავალ მაგალითს ასახელებს:
1.პავლე ინგოროყვას ცდაზე ფსა ფუძე ფასის (ფაზის) და ფ(ა)ს – ფსელ ("urina") ფუძეებთან რეცენზენტი ქ. ლომთაათიძე ეკამათება მას და პირველის შესახებ ეუბნება "...ფასის "წყლის"

1. გ. ახვლედიანი, დასახელებული რეცენზია, გვ. 112.
2. იქვე (ხაზი ჩვენია – გ.გ.).
3. იქვე.

აღმნიშვნელ ფსა-სთან მიმართების საკითხი ადრევეც იდგა მეცნიერებაში, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის. იგი ფუთ ფუძესთანაც ამჟღავნებს კავშირს,[1] (თუ როდის, სად და ვის მიერ დაისვა ეს საკითხი, ამაზე არაფერს ამბობს ის). რეცენზენტი მიუთითებს ს. ჯანაშიას სტატიის შემდეგ ადგილს: "გასარკვევია სახელწოდება ფაზისი, რომელსაც, ვგონებთ... თიავის დროზე სენ-მარტენი — ჩერქეზულ ფსჷ-ს უკავშირდება"... (შემდეგ. ს. ჯანაშია მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ფასიდ-ს დავუკავშიროთ ფოთი — ფუთი). ს. ჯანაშია განაგრძობს: "ჯერ კიდევ გასარკვევია..., ემთხვევა თუ არა ფას და ფსა ფუძეები ერთმანეთს (?) (ს. ჯანაშია..., გვ. 626-627).

ქ. ლომთათიძის ამ და სხვა მსგავსი, ზერელე და ალოგიკურ მსჯელობაზე გ. ახვლედიანი დასძენს. "გარდა იმისა,რომ ეს კარგი ნიმუშია ზემოთქმულისა ავტორიტეტების შესახებ (ს. ჯანაშიას "ვგონებთ სათანადო პუბლიკაცია ამჟამად ხელთ არ მაქვს გ.ა.) და "ჯერ კიდევ გასარკვევია" პროფ. ქ. ლომთათიძეს "მტკიცე მონაპოვრად" მიუღია, რეცენზენტი ქ. ლომთათიძე ფიქრობს: თუ საკითხი გადაწყვეტილი არაა (ალბათ ავტორიტეტების მიერ), მას ნურავინ შეეხება, შეეხეთ მხოლოდ გადაწყვეტილსო! ამგვარად, საკითხის ჯერხნობით გადაუწყვეტლობა რეცენზენტს გამოყენებული აქვს პავლე ინგოროყვას ახალი დებულების საწინააღმდეგოდ"[2].

2. შემდეგ ქ. ლომთათიძე წერს: "აღნიშნული სიტყვების ასეთი კავშირი, რომ კიდევ დადასტურდეს, იგი არ გამოდგება ჯავახიშვილ-ჯანაშიას ზემოაღნიშნული დებულების უარსაყოფად და ფს-ს ადიღეურობის (ჩერქეზულობის) საწინააღმდეგოდ, რადგან საკითხი ეხება იმ ტერიტორიას, სადაც სწორედ მოსალოდნელია ჩერქეზული ელემენტის არსებობაო"[3]. "ეს იმას ნიშნავს, წერს გ. ახვლედიანი, რომ თქვას ვინმემ, მე მართალი ვარ იმიტომ, რომ მართალი ვარო, ან ასე მნებავს, ასე ვბრძანებო (რომაელები რომ იტყოდნენ ხოლმე), პავლე ინგოროყვას ეტიმოლოგია რომ დადასტურდეს ის დაარღვევს

1. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ეინაობისა და   გვ. 136.
2. გ. ახვლედიანი, იქვე, გვ. 113.
3. ქ. ლომთათიძე, იქვე.

ჯავახიშვილ-ჯანაშიას თეორიას, ე.ი. ჩერქეზების იქ მყოფობა გამორიცხება, ქ. ლომთათიძის აზრით კი, მაშინაც მოსალოდნელი იქნება ჩერქეზების იქ მყოფობა, თუ ამ დებულებას საფუძველი გამოეცლება, ვისთვის იყო მოსალოდნელი ჩერქეზების იქ მყოფობა? ალბათ, იმათთვის, ვინც უარყოფს ქართული ფსა ფუძისა და ადიღეური ფსჷ ერთიანობას, პ. ინგოროყვასთვის კი ეს არ იყო მოსალოდნელი და სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს იგი სრულიად თანმიმდევრული მსჯელობითა და კანონიერი სერსებით"[1].

3. "Urina"-ს (ფსელის) სახელწოდებაში ფს-ს გამოვლენა არ შეიძლება სერიოზულ საბუთად გამოდგეს ქართულში წყლის აღმნიშვნელი ფს ძირის არსებობის შესახებო", ამბობს რეცენზენტი ქ. ლომთათიძე.[2] გ. ახვლედიანი ამაზე გაკვირვებული კითხულობს: "რა უფლებით და რა დანაშაულისათვის უნდა ჩამოერთვას ხმა ქართულ სიტყვას (ლათინურად "urina", ქართულად ფსეული)? მას რომ სალიტერატურო ქართულში არ შეესვლება (?), ეს არ ნიშნავს, რომ მის საოპერაციოდ გამოყენებაში იყოს რაიმე არასერიოზულობა..."[3].

4. "პ. ინგოროყვას მიერ მოყვანილი წყლის აღმნიშვნელი ფსია მეგრულში ჩვენ არ ვიცითო" (წერს. ქ. ლომთათიძე). ამაზე გ. ახვლედიანი დასძენს, რომ "ალბათ, ავტორმა ისეთი კაცისაგან მოისმინა ეს სიტყვა, რომელმაც იცოდა იგი"[4].

5. ქ. ლომთათიძე არ უარყოფს, რომ ფშა (ფშანი) წყლის ცნებას უკავშირდება, მაგრამ საკითხი ეხება არა ფშა-ს, არამედ ფსა-ს, რაც აშკარად ჩერქეზული სიტყვაა, გარდა ამისა ფშა (ფშ) — ასეთი მნიშვნელობით გეოგრაფიული სახელწოდების საწარმოებლად ქართულმა არ იცის... ასეთი სიტყვა (ფსჷ) "წყლის" მნიშვნელობით მხოლოდ ადიღეურ ენებს მოეპოვებაო"[5] ...ამის საპასუხოდ კი გ. ახვლედიანი მიუთითებს: "ივ. ჯავახიშვილი უფრო ფართო კონტექსტში იხილავს ფშა-ს

---

1. გ. ახვლედიანი, იქვე.
2. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ეინაობისა და... გვ. 136.
3. გ. ახვლედიანი, გვ. 113.
4. იქვე.
5. იქვე.

(მართალია, არა იმ გვერდებზე, სადაც ის მიუთითებს, არამედ მომდევნოებზე)... ხოლო სუფსა ფუძიანად ჩერქეზულისად მიაჩნია ს. ჯანაშიასაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელს კი სუფსა გამოჰყავდა სურ — ფასისაგან, სურ-ს ქართულ ფუძედ მიიჩნევდა". აქ გ. ახვლედიანი იმასაც შენიშნავს, რომ ქ. ლომთათიძე რამდენიმეჯერ იმეორებს, რომ ფსა ჩერქეზულია და გამოიყენება მდინარეთა სახელების საწარმოებლად, რაც საბუთად არ გამოდგება, არამედ პირიქით, უფრო პ. ინგოროყვას დებულებას ესადაგება ამ ფუძის საერთოობის შესახებ. შემდეგ გ. ახვლედიანი აღნიშნავს: "ამ საკამათო ფსჷ-ს შესახებ ჩვენი აზრით ასეთია: შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ ამ ძირის პირვანდელი სახის საერთოობა ადიღეურსა და ქართულ ენებში... მეტადრე იმის შემდეგ, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაუკავშირა ერთმანეთს ქართული ფშა და ქართული ფს ფუძეები და ორივეს დაუკავშირა ფშე ფუძეს თავიანთი დერივატებით... ხოლო პ. ინგოროყვამ გადადგა შემდეგი ნაბიჯი წინ ამ ფუძეების ადიღური ფსჷ — ფუძესთან დაკავშირების სახით".[1]

როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, ქ. ლომთათიძე არ შემოიფარგლა პ. ინგოროყვას "სპეციალური ექსკურსის" კრიტიკით და კიდევ უფრო ფართო წრე მოიცვა ჩერქეზული ნაკვალევის აღმოსაჩენად საქართველოში. მან ასეთად მიიჩნია ყვა- (აგიდაყვა, მალთაყვა და სხვ.). ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელები. მართალია ეს არ ეხება ნ. ინგოროყვას, მაგრამ რაკი საქართველო-ჩერქეზეთის (ადიღეს) ურთიერთობის ქ. ლომთათიძისეულ შეხედულებას ეხება, ამიტომ გ. ახვლედიანი ამასაც შეეხო. მისი აზრით, ყვას (ჩერქეზულად ხევი, ღელეს რომ ნიშნავს) პირვანდელურ სახედ უნდა ვივარაუდოთ ყუა (ან მსგავსი რამ), რომელიც საერთო უნდა ყოფილიყო ქართველურისა და ადიღეური ენებისათვის. ამდენად, ქართველურ ენებში გეოგრაფიულ სახელთა და გვარების ყვა დაბოლოება უნდა ჩაითვალოს გადმონაშთად და არა ჩერქეზულის ნაკვალევად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.[2]

---

1. გ. ახვლედიანი, იქვე, გვ. 114.
2. იქვე.

როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს და ზემოთაც ვნახეთ, აქ ის პ. ინგოროყვას სქელტანიან მონოგრაფიის ზოგიერთ საკითხს განიხილავს ლინგვისტურ თვალსაზრისით — პროფ. ქ. ლომთათიძის კრიტიკული რეცენზიის არასასურველი შენიშვნებთან მიმართებაში. საბოლოოდ, თავის დასკვნა — შენიშვნაში გ. ახვლედიანი წერს: I. რეცენზიის ავტორს არ დაუნახავს საჭიროდ განეხილა პავლე ინგოროყვას მიერ ეტიმოლოგიზებული სახელების უმეტესობა მაინც: ასზე მეტიდან... მხოლოდ რამდენიმე. მკითხველი კი მოელოდა პროფ. ქ. ლომთათიძის აზრს დანარჩენების შესახებაც"[1].

როგორც ქვემოთაც დავინახავთ, სამაგიეროდ ეს კარგად დაინახეს და საჭიროდ ცნეს ქართული საქმისადმი პატრიოტულად განწყობილმა (და არა იმპერიის ხელისუფლებისადმი აყოლილმა და აფსუათა მიერ წაქეზებულმა) მეცნიერებმა.

ზნე-სიკეთით გამორჩეული გამოჩენილი მეცნიერი გ. ახვლედიანი განსაკუთრებით გააოცა რეცენზენტის არაკეთილმა დამოკიდებულებამ საქვეყნოდ დამსახურებული მხცოვანი მეცნიერის პავლე ინგოროყვასადმი, იმის გამო, რომ მან სიმართლე თქვა ჩრდილოეთიდან აფსუების გვიან საშუალო საუკუნეებში შემოსულობის შესახებ საქართველოს მიწა-წყალზე. რეცენზენტის მიერ ამ ფაქტის რამდენიმეჯერ ხაზგასმამ კიდევ უფრო წააქეზა და ააფორიაქა ისედაც ცდუნებამოცული აფსუები, რომლებიც ახლა სხვა ქართველ მეცნიერებსაც აუჯანყდნენ, რადგან მას ხელისუფლების დაკვეთის სუნი ასდიოდა, ბუნებრივია, ასეთი შინაარსის აუგმა რეცენზიამ დიდი გულისტკივილი გამოიწვია ინტელიგენციასა და მთელ ქართველ ხალხში.

თავის რეცენზიაში საბოლოოდ გ. ახვლედიანი დაასკვნის: "არა მგონია, რომ რეცენზენტისათვის და, მით უფრო საკითხების გარკვევისათვის აუცილებელი და სასარგებლო იყოს "გიორგი მერჩულის" ავტორის და გამოჩენილი მეცნიერის სახელის ისე შეუფერებლად ხსენება, როგორც ამას ძალიან ხშირად ადგილი აქვს პროფ. ქ. ლომთათიძის რეცენზიაში, ჩვენი ლინგვისტური ხასიათის კრიტიკული მნიშვნელო-

1. იქვე.

ბიდანაც კი დაინახავს მკითხველი, რომ რეცენზენტს არ მოეპოვებოდა საფუძველი ასე მოქცეულიყო".[1]

* * *

აფსუაია ქუჩურ გარჩევებს, აჟიოტაჟისა და შეთქმულებას პ. ინგოროყვას წიგნის – "გიორგი მერჩულეს" წინააღმდეგ გაოგნებული შეხვდა ასევე გამოჩენილი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც აგრეთვე ვრცელი რეცენზია ("გიორგი მერჩულის გარშემო") უძღვნა პ. ინგოროყვას შემოქმედების ამ სპეციალური მონაკვეთის დახასიათებას. რეცენზიის პირველ წერილში ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: "...ჩვენ შევეცადეთ ნათელგვეყო, რომ პ. ინგოროყვას ამ მონოგრაფიით ჩვენი ცოდნა მე-5-10 საუკუნეთა ქართული პოეზიის შესახებ უზომოდ გამდიდრდა... ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შევმცდარვართ ამ ჰიმნოგრაფიული მონოგრაფიის შეფასებაში, როდესაც აქ მიღწეული შედეგების შესახებ ვთქვით: "იმისი წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო"[2]. საქმე ეხება ქართული პოეზიის დარგში მოპოვებულ შედეგებს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ძველი ქართული მუსიკის აღდგენის საქმეში (ეს შეეხება პ. ინგოროყვას ხსენებული წიგნის მეორე ნაწილს, რომელზეც სამწუხაროდ სიტყვა არ დაძრა პროფ. ქ. ლომთათიძემ, როდესაც, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მისი პირდაპირი პროფესიული მოვალეობა უფრო იყო,ვინემ რომლის უარსაყოფადაც ასე თავგამოდებით გაისარჯა – ტენდენციურად. სამწუხაროდ, მსგავსი ბედოვლათობისა და უნიათობის ნაყოფი არაერთხელ მოვიმკეთ და შეიძლება კიდევ მოვიმკათ.

შეუძლებელია პ. ინგოროყვას ათასამდე გვერდიან გამოკვლევაში რაიმე სახის ხარვეზი არ მოიპოვებოდეს, მით უფრო, რომ ის ეხება ურთულეს პრობლემებს, მაგრამ როგორც ს. ყაუხჩიშვილი წერს: "მართლაც არ არის დიდი გონებ-

1. გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნალი "მნათობი", 1957 წ., №2, გვ. 114.
2. ს. ყაუხჩიშვილი, ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის", ჟურნ. "მნათობი", 1956, № 10.

აშახვილობა საჭირო იმისათვის,რომ პირველი წაკითხვის თანავე იგრძნო ადამიანმა "გიორგი მერჩულის" ყოველი გვერდიდან მომდინარე ნათელი აზრი, გაშუქებული ქართულ, ბერძნულ და სხვა ენებზე არსებული წყაროების მიხედვით, აზრი – დაფუძვნებული ავტორის მიერ წლების განმავლობაში ნაფიქრსა და ყოველი მხრით აწონილ-დაწონილ დებულებებზე, აზრი – დამყარებული იმ მთავარ ამოსავალ დებულებებზე, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა და მტკიცდებოდა ქართველ ტომთა ერთსულოვანი შემოქმედებითი მუშაობის წყალობით..."[1].

ს. ყაუჩხიშვილი პ. ინგოროყვას ნაშრომის "გიორგი მერჩულის" პირველი ნაწილის (ისტორიული ექსკურსის) მიმართაც არ იშურებს ქებათა-ქებას, რადგან მისი ავტორის შემოქმედებისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი საკითხის სწორი დასმა, მასალის ამომწურავი ცოდნა, მტკიცე მეცნიერული ხერხები და საქმის უზომო და უანგარო სიყვარული. აქედან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილი დიდ შეფასებას აძლევს ხსენებული წიგნის პირველ ნაწილსაც, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიოგრაფიის სფეროში. კერძოდ კი აფხაზეთის ისტორიის საკითხში: "...საბოლოოდ გამორკვეულია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს ხასიათი და ნათელყოფილია ამ საკითხში წინათ არსებული შეხედულების მცდარობა. ...მოცემულია ტენდენციურ და მცდარ შეხედულებათა საფუძვლიანი კრიტიკა,კერძოდ, სამხრეთ მხარეების ისტორიის საკითხებში"[2].

აქვე ს. ყაუხჩიშვილი დასძენს, რომ შეუძლებელია ყველა იმ საკითხის განსჯა, რომელთაც იკვლევს პ. ინგოროყვა თავის მონუმენტურ მონოგრაფიაში, ვიყტვი მხოლოდ შემდეგს: "ათასსგვერდიან გამოკვლევაში არ შეიძლება ყველა საკითხი – მსხვილი და წვრილი – ისე იყოს დამუშავებული, რომ ყველა მკითხველს სპეციალისტსაც და არასპეციალისტსაც, ერთნაირად დამაჯერებლად მოეჩვენოს ავტორის ყველა დე-

---

1. ს. ყაუჩხიშვილი, გიორგი მერჩულის გარშემო (წერილი მეორე), ჟურნ., "მნათობი", 1957, №2, გვ. 115.

2. იქვე, გვ. 116.

ბულება; ზოგი — ავტორის ერთ დებულებას მიიჩნევს ნაკლებ დამაკმაყოფილებლად, ზოგიც — მეორეს, ეს ითქმის ყოველი წიგნის შესახებ... ყოველი წიგნის შესახებ ისმის საკითხი... — კარგია თუ არა წიგნი, ამდიდრებს თუ არა ჩვენს ცოდნას პოზიტიური შენაძენით? პ. ინგოროყვას მონოგრაფიის შესახებ ყოველი პირუთვნელი მკითხველი და საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი ღრმა ინტერესით გამსჭვალული ადამიანი იტყვის: შრომა ფასდაუდებელია თავისი დადებითი შედეგებით და ვერც ერთი მკვლევარი, საქართველოს ისტორიის მე-7-10 საუკუნეთა ამბებით დაინტერესებული, ვერ უგულებელყოფს ამ შრომის შედეგების გამოყენებას“[1].

რადგან “გიორგი მერჩულეში“ მთავარ სადაო საკითხად აფხაზეთი იქცა, ს. ყაუხჩიშვილს (მეორე წერილში) ყურადღება ამაზე აქვს გამახვილებული, რეცენზენტი ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიის გაშუქების საქმეში ადრე დაშვებულ სერიოზულ შეცდომას, რომლის მიხედვით — აფხაზთა სამეფოს შექმნა და ეს სახელმწიფოებრიობა მიეწერებოდა საკუთრივ აფხაზებს (ე.ი. დღევანდელი ე.წ. აფხაზების წინაპრებს): ვითომ მე-8 ს. მეორე ნახევარში ბერძენთა გავლენისაგან განთავისუფლებულმა აფხაზთა მთავარმა — ლეონ მეორემ ისარგებლა ლაზთა სამეფოს დასუსტებით და “დაიპყრო ეგრისი და არგვეთი“ (ე.ი. დასავლეთი საქართველო) და თავი მეფედ გამოაცხადა[2]. გამოდის, რომ აფხაზები მოსულან ლაზეთში, როგორც უცხო დამპყრობლები, დაუმხიათ ლაზთა მთავრობა და თვითონ გაბატონებულან.

როგორც ს. ყაუხჩიშვილი წერს, სწორედ ესაა უარყოფილი, “გიორგი მერჩულეში“: “პ. ინგოროყვამ ეჭვმიუტანელი საბუთებით ნათელყო, რომ სინამდვილეში არავითარი დაპყრობა დასავლეთ საქართველოში აფხაზების მიერ არ მომხდარა, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება, როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების ბიზანტიის იმპერიის ბატო-

1. იქვე.
2. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას შედგენილი, 1948, გვ. 146-147.

ნობისაგან“.[1]

ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს, რომ ბერძნები უძველეს დროში დაეუფლენ კოლხთა ქვეყანას, რომელსაც დაახლოებით ჩვ.წ. პირველ საუკუნეში ლაზიკა (ლაზეთი ანუ ეგრისი) ეწოდა. თუ უფრო შორს წავალთ: “აია“ შეცვალა “კოლხეთმა“, ხოლო ეს უკანასკნელი “ლაზეთმა“, რომელშიც ქართველთა ლაზმა ტომმა ჩაიგდო ქვეყნის პოლიტიკური მესაჭეობა (მაგრამ ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ამის გამო არსად არის ნათქვამი, რომ “ლაზმა დაიპყრო კოლხეთი“)[2].

ს. ყაუხჩიშვილი აქვე განმარტავს — თუ რას ნიშნავს “აფხაზთა (“აბაზგთა“) მიერ ეგრისისა და არგვეთის ანუ დასავლეთ საქართველოს დაპყრობა“. მისი აზრით, ეს ისე უნდა გავიგოთ, როგორც ლაზების მიერ თავისი ქვეყნის — კოლხეთის ანუ ეგრისის (ლაზეთის) დაპყრობა: “ასევე უნდა გავიგოთ ჩვენ ცნობა იმის შესახებ, რომ მერვე საუკუნის მეორე ნახევარში აბაზგთა (ანუ აფხაზთა) ქართველმა ტომმა — ლეონ ერისთავის მეთაურობით დასავლეთი საქართველო გაანთავისუფლა ბიზანტიის უღლისაგან და ქვეყნის პოლიტიკური მეთაურობაც მან აიღო ხელში“. მისივე განმარტებით, “როგორც წინა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერქვა “კოლხეთი“, მერე “ლაზეთი“, ისე ახლა, მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას ეწოდება “აბაზგია“ (ბერძნული წყაროებით), ანუ “აფხაზეთი“[3]. ს. ყაუხჩიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ქართულ ისტორიულ წყაროში წერია — ლეონმა “დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი“ (იხ. ქ. ცხ. I, 251). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლეონ მეორემ დაიმორჩილა, დაიქვემდებარა და არა დაიპყრო (როგორც ეს დღეს გვესმის) ორივე ერთნაირად — აფხაზეთიც და ეგრისიც.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ს. ყაუხჩიშვილს ყურადღება გადატანილი აქვს სიტყვა “დაპყრობის“ (ახალი გაგებით “დაუფლების“, “დაკავების“, “ხელში ჩაგდების“) არაადეკვატურ მნიშვნელობაზე, დღევანდელი გაგებით

1. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 119.
2. ს. ყაუხჩიშვილი, იქვე. გვ. 20.
3. იქვე.

მთავარი ისაა, რომ ის იზიარებს და ადასტურებს პ. ინგოროყვას კონცეფციას ძველი აფხაზების (და არა აფსუების) ქართველურ ტომობრიობაზე და აფხაზეთში გვიან საშუალო საუკუნეებში აფსუების მოსულობაზე, რაც ნ. ბერძენიშვილის, აგრეთვე ჯ. გამახარიას, ბ. გოგიას, ლ. მუსხელიშვილის, გ. გასვიანის, ო. მიბჩუანის, ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის, ასევე ა. ონიანისა და სხვ. თანამედროვე გამოკვლევებმა საბოლოოდ დაადასტურეს და დაამტკიცეს.

ს. ყაუხჩიშვილის განსჯით, პ. ინგოროყვა ერთ-ერთი პირველი ავტორთაგანია, რომელმაც თავის საფუძვლიან მონოგრაფიაში დაადგინა "აფხაზთა სამეფოს ქართული სახელმწიფო ორგანიზაცია, თავისი შინაარსით და ხასიათით, ეკონომიკით, კულტურით და პოლიტიკით, რომლის ღერძი, მამოძრავებელი ძალა და შემადგენლობა ქართველობაა.[1]

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, რომ აფხაზთა სამეფო იყო ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა, რომლიდანაც დაიწყო და წარმატებით დამთავრდა საქართველოს გაერთიანება – სრულიად საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა (შემთხვევით როდი აისახა ის თავშივე მეფის ტიტულატურაში: "მეფე აფხაზთა, ქართველთა"..."

კიდევ მეტი, წერს ს. ყაუხჩიშვილი: "ამიერიდან "აფხაზეთი" უცხო სახელმწიფოთათვის ხშირად აღნიშნავს მთელ საქართველოს და "აფხაზი" აღნიშნავს საზოგადოდ – ქართველს"[2]. აქვე ს. ყაუხჩიშვილი ასახელებს არაერთ უძველეს ნაწარმოებს, რომელშიც "აბაზგური ენა" – ქართულ ენას ნიშნავს. ასევე მე-12 და მე-13 საუკუნეების რუსულ მატიანეებში ქართველებს "обез" (ე.ი. აფხაზი) ეწოდება. ამ და სხვა არგუმენტებზე (ანუ წერილობითი წყაროების მონაცემებზე) დაყრდნობით (მაჰმადიანურ წყაროებზე დ. კობიძე ქვემოთ) ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის პ. ინგოროყვასადმი მიძღვნილ საქებარ რეცენზიაში: "ნუთუ ამის შემდეგ რამენაირად წარმოსადგენია, რომ მთელ საქართველოს

1. იქვე. გვ. 122.
2. იქვე.

დარქმეოდა უცხოელი დამპყრობლის სახელი? არა, ეს ("აფხაზი") არის სახელწოდება იმ ქართველი ტომისა, რომელმაც თავისი მძლავრი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყო ჯერ დასავლეთ საქართველოს გაძლიერებას და მერე მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნას".[1] ამასთან, ს. ყაუხჩივშილი დასძენს, რომ რა საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელი თავისი ტიტულატურის პირველ სიტყვად გაისდიდა დამპყრობლის სახელს.

შემდეგ ს. ყაუხჩივშილი კვლავ უბრუნდება პ. ინგოროყვას მონოგრაფიის იმ ნაწილის მნიშვნელობას, რომელშიც განხილული აქვს აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკა: "პ. ინგოროყვას განხილული აქვს აბაზგიის (ანუ აფხაზეთის) 136 გეოგრაფიული სახელწოდება (სოფლებისა, ქალაქებისა, მდინარეებისა, მთებისა...) და იშვიათი სიმუსტით, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხთა უბადლო ცოდნით და ინტუიციური მიხვედრილობით ანალიზს უკეთებს ამ სახელწოდებებს და ადგენს, რომ ეს საკუთარი სახელები ქართულია. შეიძლება ამ 136 სახელში იყოს თითო ოროლა, რომელთა საანალიზოდ მოტანილი საბუთები დამარწმუნებელი არ იყოს. მაგრამ ეს სახელები, მთლიანად აღებული, უეჭველად ქართული წარმოშობისაა"[2].

შემდეგ ს. ყაუხჩიშეილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შესაძლებელია პ. ინგოროყვას მიერ განხილულიოროლა ტოპონიმი კვლავ დამატებით დაკვირვებასა და დამატებით კვლევას მოითხოვდეს, მაგრამ "სამაგიეროდ, დანარჩენი ასზე მეტი სახელი არავითარ ეჭვს არ იწვევს და ყოველი მკვლევარი პ. ინგოროყვასადმი მადლობის გრძნობით ხშირად მიმართავს მოცემულ განმარტებებს. ესენია: ცხუმი, ბიჭვინთა, ბზიბი, გაგრა, ულაღნი, სობლისი, ხოფი, წიბელთა,კოდორი, ჩახარი, ბოკელი, სოჭი და რამდენიმე ათეული სხვა.[3] ამათ უნდა დაემატოს აგრეთვე ბერძნულ წყაროებში ასახული ქართულ-სვანური ტოპონიმები: ცუმური, სხემარი,

1. ს. ყაუხჩიშეილი, დასახელებული რეცენზია, გვ. 123.
2. იქვე, გვ. 124.
3. იქვე (ხაზგასმა ჩვენია — გ.გ.).

სქითმარი, ფუსტა, მოქვი და უამრავი სხვა.[1]

ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ასეთივე ვითარებაა აფხაზეთში გავრცელებულ სახელებშიც, რომლებიც ისეთივე ქართულია, როგორიც ლაზეთში გავრცელებული საკუთარი სახელები[2].

და ბოლოს, საქვეყნოდ დამსახურებული მეცნიერი ს. ყაუხჩიშვილი — პ. ინგოროყვას უდიდესი დამსახურების ("რომელმაც ეჭვმიუტანლად გაარკვია ერთი წყება ამგვარი საკითხებისა") ხაზგასმით აღნიშვნის შემდეგ, ქართველ ისტორიკოსებს მოუწოდებს მხარიმხარ ჩაკიდებული გამოიკვლიონ და გაარკვიონ ჯერ კიდევ შეუსწავლელი, ან ნაწილობრივ შესწავლილი საკითხები.

ფაქტი ისაა, რომ ყოველმხრივ გამოჩენილმა მეცნიერმა, როგორც თავისმა კოლეგებმა, აგრეთვე დამსახურებულმა მეცნიერებმა გ. ახვლედიანმა, დ. კობიძემ, ნ. ბერძენიშვილმა და გ. ჩიტაიამ (ამ უკანასკნელთა რეცენზიები იმთავითვე არ გამოქვეყნდა, ხოლო ნ. ბერძენიშვილის რეცენზია, სტამბაში დატყვევების შემდეგ, ოფიციოზის მიერ უმოწყალოდ დაიჩეხა და ისე გამოიცა — იხ. მისი თხზულებათა მე-8 ტომი — "საქართველოს ისტორიის საკითხები", 1975 წ., რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა კრემლის აგრესიულობა და ჩვენი მარიონეტული ხელისუფლების უსუსურობა და უნიაღობა) გვიჩვენეს თავიანთი მეცნიერული სახე და ღირსეული მოქალაქეობა ის, რომ მეცნიერება უმაღლესი მნეობა და ჭეშმარიტებაა, რომელიც არ ეპუება და არ უნდა ექვემდებარებოდეს არც იმპერიულ დიქტატს, არც ვიწრო პროვინციულ ნაციონალიზმს და არც ხელისუფლების სურვილს.

* * *

მესამე რეცენზენტი, რომელიც არ შეუშინდა აფსუათა უწიგნური მასის აგრესიას და შეთქმულებას, აგრეთვე ოფიციოზის მოსალოდნელ რეპრესიებს, და მხურვალე მხარდაჭე-

1. Т. Гасвиани, "Абхазия, Древные и новые аюхазы, Тб.. 2000.
2. ს. ყაუხჩიშვილი "კიორკე მერჩულის" გარშემო, ჟ. "მნათობი", 1957, № 2, გვ. 125.

რა გამოუცხადა დეაწლმოსილ მეცნიერს — პავლე ინგოროყვას, იყო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი დავით კობიძე, რომელმაც "გიორგი მერჩულეს" გარჩევას მიუძღვნა ოფიციალური წერილი — ტერმინი "აბხაზის" მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით"

დ. კობიძე ისე, როგორც გ. ახვლედიანი და ს. ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვას ნაშრომს — "გიორგი მერჩულეს" — დიდ მოვლენად მიიჩნევს ჩვენი ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიის მთელი-რიგი საკითხების გამოკვლევისა და გადაჭრის საქმეში — ქართული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.[1]

დ. კობიძეს მიაჩნია, რომ პ. ინგოროყვას მიერ ათეული წლების მანძილზე გაწეული კვლევა-ძიება მე-10 საუკუნის მწერლის გიორგი მერჩულეს შესანიშნავ თხზულებაზე — "ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" — დიდი შედეგებით დაგვირგვინდა. რეცენზენტის აზრით, პ. ინგოროყვას ფუნდამენტური კვლევა-ძიების ბრწყინვალე შედეგები — აფხაზეთის ისტორია, განაპირობა ქართული, სომხური, ბერძნულ-რომაული და საერთოდ ევროპული წყაროების გამოყენებამ. მისივე თქმით, ამ წყაროების ანალიზით აფხაზეთის ისტორიაში მიღწეული შედეგების სისწორეს ადასტურებს კლასიკური სპარსული მწერლობის ძეგლებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, პ. ინგოროყვას დაკვირვების საგანი არ ყოფილა.

ამ თვალსაზრისით დ. კობიძე ეხება ტერმინ "აფხაზის" (ანუ "აბხაზის") მნიშვნელობას, მართალია, პ. ინგოროყვას ამ ტერმინის განმარტებისას გამოყენებული აქვს მე-17 ს. თურქი მოგზაურის ეველია ჩელების ცნობები და სხვა, და აქედან გამომდინარე დადასტურებული აქვს, რომ "აფხაზი" ("აბხაზი") ქართველის მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ ამ განმარტების სისწორეს კიდევ უფრო განამტკიცებს სპარსული წერილობითი წყაროები, რომლებიც პ. ინგოროყვას არ გამოუყენებია და მე-10 საუკუნის შემდგომ ხანას ასახავენ, კერძოდ

1. დ. კობიძე, ტერმინი "აბხაზის" მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით. ჟურნ. "მნათობი", 1957, №2, გვ. 126.

მე-11-12 საუკუნეების და შემდგომი დროის (თუმცა ის მე-12-13 სს შემდეგ თანდათან ქრება). ამ თვალსაზრისით, დ. კობიძე, სხვათა შორის, ასახელებს ნიზამ განჯელის (მე-12 ს) თხზულებას, კერძოდ "ხოსროვ-შირინიანში" მოხსენებულ ადგილს, რომელშიც ტერმინი "აფხაზი"მთელი საქართველოს მნიშვნელობითაა ნახმარი. ეს, რომ ასეა, ამაზე "ისქენდერნამეს"ადგილებიც მოწმობს" — აღნიშნავს დ. კობიძე. მისივე დაკვირვებით, ნიზამი აგვიწერს ალექსანდრე მაკედონელის შესვლას აზერბაიჯანში (ბერდასა და არანში) და იქვეა აღწერილი თუ როგორ დალაშქრა მან აფხაზეთი, კერძოდ თბილისი. დ. კობიძე შენიშნავს, რომ სპარსულ ტექსტებში ტერმინი "აბხაზი" ქართულად მეტყველი ხალხით დასახლებული ტერიტორიის — საქართველოს აღმნიშვნელია. მაგალითად, პოეტი ხაყანი (მე-12 ს.), რომელიც რამდენიმეჯერ ყოფილა საქართველოში (რომლის კარგი მცოდნეა) არაერთხელ წერს პოეზიაში აფხაზეთის (საქართველოს) მკვიდრი ქართველების სილამაზეზე და მარჯვე მეტყველებაზე, ის "აბხაზსა" და "გორჯს" (გურზ, გორზ, ქურზ, ქორზ, ჯორჯ) ყველგან ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობს, რასაც ხაყანის თხზულების რუსულად მთარგმნელი იური მარიც ადასტურებს.[1]

როგორც დ. კობიძე წერს, და აღმოსავლეთმცოდნე პროფ. ალ. გვახარიაც ადასტურებს, ხაყანის თხზულების რწმუნებით "აბხაზ" საქართველოს, ხოლო აბხაზეთის მკვიდრი ქართულად მეტყველს ნიშნავს.[2]

დ. კობიძის თქმით, საინტერესოა ისიც, რომ "პოდუდ-ალ-ალემი" ("ქვეყნის მხარეთა საზღვრები") შავ ზღვას-"ქართველთა ზღვას — უწოდებს. მისივე განსჯით, ეს იმისი მაჩვენებელიც უნდა იყოს, რომ ამ ზღვის სანაპირო ადგილები ქართველებით იყო დასახლებული, მით უფრო ბიზანტიის იმპერიის ბატონობის გადაგდების და აფხაზთა სამეფოს შექმნის პერიოდში და შემდეგაც. აქვე დ. კობიძე ემხრობა და ადასტურებს პ. ინგოროყვას აზრს, იმის შესახებ, რომ აფხაზთა სამეფო თავისი მოსახლეობით, შინაარსითა და ფორმით

---

1. დ. კობიძე, იქვე, გვ. 127.
2. იქვე.

ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.[1]

აღნიშნული და სხვა სპარსულენოვანი წერილობითი წყაროებით ტერმინების "აფხაზისა" და "ქართველის" სინონიმური მნიშვნელობის დადასტურების შემდეგ დ. კობიძე დასკვნაში წერს:

"გიორგი მერჩულეს" ავტორის მოსაზრებანი დასავლეთ საქართველოს სამეფოს დაარსებისა და მისი განვითარების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დაშვებული შეცდომის უბრალო შესწორება კი არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, არამედ დიდი მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც ძირეულად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

როგორც დავრწმუნდით, სპარსული წყაროები მხარს უჭერენ პაველ ინგოროყვას მტკიცებას"[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაადასტურეს აგრეთვე, რომ სპარსულის გარდა, აფხაზისა და ქართველის სინონიმურ მნიშვნელობით გამოხატვას ადასტურებს არაბული და სხვა მუსლიმური წყაროებიც.[3]

* * *

როგორც ახლახან გახდა სპეციალისტებისთვის ცნობილი (შრომების მე-2 ტომის გამოცემის წყალობით), გამოჩენილ ეთნოგრაფ გ. ჩიტაიას აქტიური მონაწილეობა მიუღია აფსუებისა და კრემლის აურზაურის წინააღმდეგ "გიორგი მერჩულეს" განხილვაში. თუმცა გ. ჩიტაიას ნააზრევი მაშინ არ გამოქვეყნებულა (არ ვიცით ცენზურის თუ ავტორის სურვილით).

პ. ინგოროყვას მიერ განხილული მთელი-რიგი საკითხებიდან გ. ჩიტაია მხოლოდ ერთ პრობლემას — ისტორიულ გეოგრაფიას, ან უფრო ზუსტად, აფხაზთა ეთნოგენეზის კვლე-

---

1. იქვე. გვ. 128.
2. იქვე.
3. გოჩა ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები, კრებული — საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993. გვ. 121.

ვას ეხება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გ. ჩიტაია ეხება პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულეს" ყველაზე სადაო პრობლემის – ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხს.

გ. ჩიტაიას განსჯით, პავლე ინგოროყვა ცნობილი მკვლევარია – არა ერთი გახმაურებული სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი, არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ხელნაწერი ძეგლის გამომკვლევი და გამომქვეყნებელი: "მას ჩვენ ვიცნობთ, წერს გ. ჩიტაია, როგორც საუკეთესო მცოდნეს ძველი ქართული ხელნაწერებისა. მისივე თქმით, პ. ინგოროყვას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლის საქმეში"[1].

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარისაგან განსხვავებით, იმის წინააღმდეგ, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს არც თუ დიდი კუთხის – აფხაზეთის დღევანდელი მცხოვრები აფსუები და ქართველები – ზნით, ყოფით, ჩვევით და ტრადიციით სხვადასხვა ყალიბის ხალხი, მუდამ აფხაზეთის აბორიგენი იყო და აფსუებმა ასე წმინდა სახით მოაღწიეს ჩვენამდე, გ. ჩიტაია ფიქრობს, რომ "...არც ერთი ეთნიკური წარმონაქმნი არ არის უცვლელი და ყველა თავისი ძირითადი თვისებებით ურყევი ერთობლიობა, არამედ, ის, როგორც ყოველგვარი ისტორიული მოვლენა: წარმოიშობა, ვითარდება და გადადის ახალ ერთობლიობაში. ამ პროცესში ეთნოსი განიცდის ტრანსფორმირებას და შერწყმული სახით ვლინდება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, მიაჩნია გ. ჩიტაიას, რომ საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ისტორიულ პერიოდს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური წარმონაქმნი გააჩნია"[2].

ამიტომ გ. ჩიტაიას მიაჩნია, რომ ღრმად ცდება ყველა ის, ვისაც მიაჩნია, რომ აფხაზეთში უძველესი დროიდან ერთიმეორის გვერდით წარმოიშვნენ და ცხოვრობდნენ ქართველები და აფსუები (ე.წ. აფხაზები) და ასე განსხვავებულად მოაღწიეს ჩვენამდე მყარი სახით. თამამად შეიძლება ითქვას,

---

1. გ. ჩიტაია, შრომები II, თბ., 2001, გვ. 112.
2. იქვე, გვ. 113.

რომ ამისი მსგავსი მაგალითი არ შეიძლება არსებობდეს სადმე დედამიწის ზურგზე, მით უფრო, როდესაც ერთი მათგანი ჩამორჩენილი, უდამწერლობო და პრიმიტიული კულტურით ხასიათდება, ხოლო მეორე ყოველმხრივ განვითარებული ყოფა-ცხოვრებით. ზოგად-თეორიული მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, უნდა ვთქვათ, რომ ორ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე, თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფი აფსუები, თითქმის გათურქდნენ, როგორც სულიერად (გამაჰმადიანებით და სხვ.), აგრეთვე ზნით, მისწრაფებით, ორიენტაციით, შეგნებით და სხვ. შემთხვევით როდი მოხდა მათი გადასახლება, თუ გაქცევა თურქეთში 1867 წელს და შემდეგ. ასევე მოხდა სამცხესაათაბაგო ქართველების გამაჰმადიანება (რწმენით, გვარით, ზნით, ორიენტაციით და შეგნებით), მიუხედავად იმისა, რომ ისინი კულტურით, დამწერლობით, ყოფა-ცხოვრებით და სხვა, გაცილებით მაღალ დონეზე იდგნენ აფსუებთან შედარებით. ასევე ითქმის რუსეთის იმპერიაში აფსუების ყოფნის პერიოდში (დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე), როდესაცი ისინი და, საერთოდ, აფხაზეთის მოსახლეობა თითქმის გარუსდა. საქმე რომ ძველებურად გაგრძელებულიყო, ამისი წინაპირობები უკვე საქართველოშიც შექმნილი იყო. რაც მთავარია, ჩრდილო კავკასიის ათეულობით ეთნოსი რაღაც ერთნახევარი – ორი საუკუნის მანძილზე თითქმის გარუსდა ენით, სწავლა-განათლებით საქმის წარმოებით, ლიტერატურით და ა.შ. შედარებით მყარად მხოლოდ რწმენა, ხასიათი და თვითშეგნება დარჩა (მაჰმადიანური რელიგიის სიძლიერის წყალობით).

თუნდაც ამ მაგალითების გამო, ეროვნულ პროცესებში ოდნავ ჩახედულ, გათვითცნობიერებულ მკვლევარს, როგორ შეიძლება მოუვიდეს თავში ის, რომ თუნდაც დავუშვათ (რაც შეუძლებელია) ერთი მუჭა აფსუებს უძველესი დროიდან ეცხოვრათ აფხაზეთში – ქართველებთან ერთად, ისინი თავს შეინარჩუნებდნენ ასიმილაციისა და შერწყმის გავლენისაგან?! ამის დაშვება ხომ ბავშვური ბლაპრებია. ამდენად, ელემენტარული უვიცობაა აფხაზეთში. "ორი აბორიგენობის" ყბადაღებული "პოლიტოლოგიური თეორიის" ქადაგება.

როგორც გ. ჩიტაია წერს, პ. ინგოროყვა ("გიორგი მერ-

ჩუღესთან“ დაკავშირებით) ტოპონიმიკის, ეთნონიმიკის, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მისაღებ დასკვნებს აკეთებს აფხაზეთზე: რომ ის ძირეული ქართული ქვეყანაა და ძველი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული.[1]

გ. ჩიტაიას მიხედვით, პ. ინგოროყვას გადაწყვეტილად მიაჩნია, რომ საკუთრივ აფხაზები ანუ აბაზგები, იგივე მოსხები ანუ მესხებია, რომლებიც ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში მზიძთისა და ბზიფის მდინარეთა ზემო წელის მთიან ზოლში ცხოვრობდნენ. პ. ინგოროყვას რწმუნებით, მესხებს უძველეს ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარდა, შიდა ქართლშიც (მცხეთა-სამცხე) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც უცხოვრიათ, ასევე მესხებს — მეგრელებისა და ჭანების შორისაც უნდა ეცხოვრათ გურულებისა და სხვათა სახით.[2]

გ. ჩიტაიას მიაჩნია, რომ ავარები (დაღესტნელები) ფშავხევსურებს “მოსოხს“ უწოდებენ, ეს გარემოება იმ შორეული წარსულის ნაშთი შეიძლება იყოს, როდესაც მოსოხი ქართველთა ზოგადი სახელი იყო, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა.[3] მისივე თქმით, დებულება აფხაზების მესხებად მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ ნ. მარმა წამოაყენა, რასაც ამ ეთნიკური სახელის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზეც ამყარებდა.

შესაძლებელია ნ. მარის მიერ “აფხაზ“ ტერმინის მესხისაგან ახსნა მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აფხაზეთში, სვანებისა და მეგრელების გარდა, ქართველთა სხვა შტოს რომ არ ეცხოვრა, მაშინ აუხსნელი რჩება, თუ ვისი ნაკვალევია ის წმინდა წყლის ქართული ტოპონიმები, რომლებიც აფხაზეთში მრავლად მოგვეპოვება უძველესი პერიოდიდან. ამიტომ, თუ აფხაზეთში მესხების განსახლებას გამოვრიცხავთ, მაშინ იქ ქართვე-

1. გ. ჩიტაია, მითითებული შრომა, გვ. 113.
2. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 140.
3. გ. ჩიტაია, დასახ. შრომა, გვ. 114; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, 1950, გვ. 60.*

ბის ან მათი პროტოტიპი ქართველთა ცხოვრება უნდა ვიგულისხმოთ, შესაძლებელია ასეთად ძველი აფხაზები (ბერძნულად სახელდებული "აბაზგები") ვივარაუდოთ.

გ. ჩიტაია მხარს უჭერს პ. ინგოროყვას მოსაზრებას აფხაზეთში მესხთა ნაწილის განსახლებაზე და იმოწმებს რუსი ისტორიკოსის მიერ თარგმნილ ცნობას,[1] არტემიდორეს მიხედვით, პონტოს ზღვის სანაპიროზე ბატას შემდეგ ჯერ კერკეტები სახლდება, შემდეგ – აქეელები, ჰენიოხები (ინოხები), დიდ პიტიუნტს და დიოსკურიას შორის, ხოლო მითრიდატეს ომების აღმწერი ისტორიკოსები (რომლებიც ყველაზე სანდოდ არიან მიჩნეული) პირველად ასახელებენ აქეელებს, შემდეგ ზიქებს, ჰენიოხებს (ინოხებს), კერკეტებს, შემდეგ მოსხებს, კოლხებს, ამათ ზემოთ: ფთიროფაგებს, სვანებს (სოანებს) და კავკასიის სხვა წვრილ ტომებს.

გ. ჩიტაიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ მესხები ცხოვრობდნენ აფხაზეთის ზღვის სანაპირო არეალში (და არა მთაში), მაგრამ ამასთან დაუსაბუთებლად მიაჩნია პ. ინგოროყვას დებულება, რომ თითქოს სტრაბონი აფხაზებს მხოლოდ მესხებად იცნობს ("გიორგი მერჩულე" გვ. 137). მისივე განსჯით, "ამით არ ირღვევა პ. ინგოროყვას ძირითადი დებულება ისევე, როგორც არ იხსნება საკითხი აფხაზების ქართული წარმოშობის შესახებ მანამდის, სანამ მართებულია დებულება იმის შესახებ, რომ კოლხური ტომები ქართველებია, შეუძლებელია აფხაზების არაქართველობაზე ლაპარაკი"[2].

გ. ჩიტაია ეხება სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებებს აფხაზების წარმომავლობაზე და აღნიშნავს, რომ გიულდენშტედტის აზრით, აფხაზური ანუ აბაზური და ჩერქეზული ენების დედა ერთია, ოღონდ ესენი იმდენად განსხვავებული დიალექტებია, რომ მათ შორის ნათესაობის ნიშნების დაძებნა ჭირსო".[3]

---

1. ლატიშევი, I, გვ. 135; მისი მონოგრაფია; გვ. 137; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 გვ. 120.
2. გ. ჩიტაია. იქვე, გვ. 116 (ხაზგასმა ჩვენია – გ.გ.).
3. გ. ჩიტაია, იქვე. გვ. 117 (ხაზგასმა ჩვენია – გ.გ.).

აქ, უთუოდ გასათვალისწინებელია გიულდენშტედტის დაკვირვება (მან ხომ აფხაზურის “ვოკაბულარიც” შეადგინა) აფხაზთა და ადიღე-ჩერქეზთა ენების განსხვავებაზე, “რომელთა ნათესაობის ნიშნების მოძებნა ჭირსო” რაც საფუძველს აცლის აფსუა ისტორიკოსების ყბადაღებულ მტკიცებას — ვითომ “ისინი ერთი და იგივე არიან”. მიუხედავად იმისა, რომ ენათა ნათესაობის, ერთიანობისა და სხვადასხვაობის საკითხს ენათმეცნიერები წყვეტენ, ისტორიკოსის თვალით (რასაც ენათმეცნიერთა ნაწილიც ემხრობა) ადიღურ-ჩერქეზული და აბაზური სხვადასხვა ენებია. რაც შეეხება მათ ყუბანისპირეთში ერთმანეთთან არც თუ ხანმოკლე მეზობლობის შედეგად ბევრი სიახლოვე (ნასესხობა და სხვ.) გაუჩნდათ, მაგრამ მათი “ნათესაობა” შეიძლება მხოლოდ იმ დონეზე განვიხილოთ, როგორ დონეზეც დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ადიღე-ჩერქეზეთის და ქართველების ნათესაობა, ანუ “იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობა”. ამ თვალსაზრისით (ლეგენდა- ჰიპოთეზით) ხომ “კავკასიელები თარგამოსის ჩამომავლობაა”?! როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით მხოლოდ ასეთი ჰიპოთეტურია აფხაზ-ადიღე-ჩერქეზთა გენეტიკურ ნათესაობაზე ანუ ერთიანობაზე (“ერთი ეთნოსურობა”) მეცნიერული აზრი.

გ. ჩიტაიას აზრით — თუ ვინ არიან სინამდვილეში ძველი აფხაზები — ამაზე როგორც უკვე აღინიშნა პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ ძველი აფხაზები ქართველები არიან, რაც შეეხება — თუ ვინ არიან თანამედროვე აფხაზები, ესეც არანაკლებ სადაოა. ცნობილია, რომ ეთნოსი ანუ ხალხი სხვადასხვა შედგენილობის და წარმომავლობისაა. მათი სახელი სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს, ხშირად ხალხი თავის თავს ერთ სახელს უწოდებს, ხოლო მეზობლები ან სხვა, მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს. რაც იმის გამოა, რომ მათი სახელები ეპონიმების ან სხვა რამის მიხედვითაა შერქმეული, მაგალითად, ან გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, ან ხალხის ნაწილის მიხედვით, ან გვარობრივი ნიშნის, ან სახელის, ან სხვათა მიხედვით.

გ. ჩიტაიას მიაჩნია, რომ ეთნიკური ვინაობის განსაზღვრის დროს “მთავარი ყურადღება იმ სახელწოდებას უნდა

მიექცეს, რომელსაც ესა თუ ის ხალხი თავისთავს აკუთვნებს. თანამედროვე აფხაზების ნაწილი თავიანთ თავს უწოდებენ აფსუა-ს, ხოლო თავიანთ ქვეყანას — აფსნე-ს (ანტიკური, ბიზანტიური საშუალო საუკუნეებისა და რუსი ავტორების მიხედვით კი დადასტურებულია აფხაზთა სახელები: აბასგა (არგონავტიკა), აბასკოი (არიანე), აეაზგი, ობეზი"[1].

გ. ჩიტაიას თქმით, საქმის ვითარებაში გათვითცნობიერებული ი. გიულდენშტედტის მიხედვით, აფხაზეთი ("აბასა") სამ ნაწილად იყოფოდა: 1. სამხრეთ-დასავლეთი, 2. ჩრდილო-დასავლეთის და 3. ჩრდილო-აღმოსავლეთის, ამათგან სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი "საკუთრივ ძველი აფხაზეთია" (იხ. J Güldenstadt, Reise durch Russtaud I№ 6ვ: 465). ამ მონაცემების მიხედვით გ. ჩიტაიას მიაჩნია, რომ "აბასა" "აფსუას" შესატყვისი სახელი უნდა იყოს (იმოწმებს ა. ნამიტოკის ნაშრომს).

გარდა იმისა, რომ გ. ჩიტაია ადასტურებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას აფხაზების დაყოფის შესახებ ქართველებად და აფსუებად, მას მოჰყავს მინას მედიჩი — ბჟიშკიანის 1815-1819 წწ. აფხაზეთში მოგზაურობის მონაცემები, რომლის მიხედვით აბასური (აფსუური) ზნე-ჩვეულება და მორთულობა მეგრულს ემსგავსება, ამდენად, მიუხედავად სხვადასხვა ტომობრივი კუთვნილებისა, მათ ზოგიერთი ერთ ხალხად თვლის — გურჯებთან (ქართველებთან) ერთად, მაგრამ გურჯები და მეგრელები — ქართველი ქრისტიანებია, რომლებიც თუმცა სხვადასხვა ტომია, ერთ ხალხად ითვლებიან. ამავე მასალებით "აბასა" სკვითური ტომია, რომელიც აქ მოსულა დიდი სათათრეთიდან და მეგრელების მეზობლად დასახლებულან, შემდეგ კი ქრისტიანობა მიიღეს და მეგრელებს შეერიენ შავი ზღვის სანაპიროზე, აქვე ისიც ნათქვამია, რომ აბასებმა მიატოვეს ქრისტიანობა და ხის თაყვანისცემლობა მიიღეს.[2]

მ. ბჟიშკიანის თხზულებიდან გამომდინარე, გ. ჩიატაია იმასაც ადასტურებს, რომ აბასების ანუ აფსუების ნაწილი სოხუმშიც იყვნენ შერეული მეგრელებთან, მაგრამ წარმართობის გამო ისინი შეუერთდნენ ძირითად აბასებს (აფსუებს).

1. გ. ჩიტაია, იქვე, გვ. 118.
2. გ. ჩიტაია, იქვე.

საყურადღებოა ისიც, რომ სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში და წმ. გრიგორის ცხოვრების არაბულ ვერსიაში აფხაზში სხვადასხვა ტომები იგულისხმება და იგი ლაზთანაცაა გაიგივებული.[1]

ყოველივე თქმული, ერთი მხრივ, ადასტურებს პ. ინგოროყვას კვლევა-ძიების მეცნიერულ სინამდვილეს აფხაზების სხვადასხვა ტომობრივ შემადგენლობაზე (მათ დაყოფას მეგრელ-ქართველებად და აფსუებად, რომელშიც ძირითადად აბა-[illegible] გასაყოფი იგულისხმება, ანუ ყუბანის სათავეებიდან გადმოსული ხალხი, მაგრამ ნაწილობრივ ადიღე-ჩერქეზებიც, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთიდან — ადიღედან შემოვიდნენ აფხაზეთში და აფსუებს შეერწყნენ); მეორე მხრივ იმასაც ადასტურებს, რომ გვიანდელ აფხაზეთში მოსახლე ხალხი (აფხაზები) იყოფიან ძველ აფხაზებად (ანუ ქართველებად) და აფსუებად (იგივე აბაზებად), რომლებიც გვიან საშუალო საუკუნეებში ჩამოსახლდნენ აფხაზეთში და რომელთაც ნაწილობრივ ადგილე-ჩერქეზებიც შეერიეს.

ყოველივე თქმულის სინამდვილეს იზიარებს გამოჩენილი მეცნიერი გ. ჩიტაია, რომლის განსჯით: "ზემოთ მოტანილი მითითებებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზები, საკუთრივ ძველი აფხაზები განსხვავდებიან აბასა-აფსუა — აფსილებისაგან, რომ ეს უკანასკნელი მთის იქიდან მოსული ტომია, ხოლო საკუთრივ აფხაზები — ადგილობრივი ძველი მოსახლეობაა, თუ ერთი მათგანი სკვითური ჩამომავლობისაა, მეორე — კოლხურ-ქართული მოდგმისაა".[2]

გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ სათანადო ცნობების თანახმად, აბასები (აფსუები) ყოფა-ცხოვრებითაც განსხვავდებიან აფხაზეთის სხვა მოსახლეობისაგან (იგულისხმება მეგრელ-ქართველებისაგან), როგორც საცხოვრებლის, აგრეთვე საკარმიდამოს მხრივ და მით უფრო მეურნეობის მხრივ, ისინი მეჯოგე ტომია, რომელსაც ბეჭზე მკითხაობა ახასიათებთ.

აფსუების ამგვარი თვისებების წარმოჩენის შემდეგ გ. ჩიტაია ძველ აფხაზებს ახასიათებს, როგორც ქართველურ

1. იქვე.
2. იქვე. გვ. 119.

ეთნოსს. რაც მისივე აზრით, კარგად ჩანს პ. ინგოროყვას მიერ საგანგებოდ განხილული ტოპონიმებიდან, რომლებშიც ეთნიკური სახელებიც ჩანს, მაგალითად "ძველი ლაზიკა", "გურჯიპსი" (ქართველების მდინარე) და სხვ. გ. ჩიტაია აფხაზეთში ასევე შენიშნავს უძველეს ქართულ ტერმინოლოგიას,მაგალითად, ასაფჯ, რაც მეგრულად კონკილს აღნიშნავს. ის შეესაბამება ბიჯგს ანუ ნაბიჯს (ეს სიტყვა დღესაც შენარჩუნებულია სვანურში – "ბიჯგ", რაც ნაბიჯს ნიშნავს (მას სულხან-საბა ასე განმარტავს: ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთისა ფერხისა გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცვლება... სხვათა შორის, ქართული ფენა აფხაზურის ბზიფურ დიალექტშიც დამოწმებული აქვთ პ. ჭარაიას, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძეს და სხვებს, მაგალითად, სა-პრეფიქსი და ეძ დაბოლოება და სხვ.

პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულესადმი" შთაბეჭდილების ბოლოს გ. ჩიტაია ეხება აფსუების ანუ აბასების სადაურობას და აღნიშნავს, რომ "პ. ინგოროყვას მოსაზრება აბასების ჩრდილოეთიდან მოსვლის შესახებ აფხაზეთში სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს".[1] ამასთან დაკავშირებით მეცნიერი ეხება ბარიდან – მთაში და მთიდან ბარში მიგრაციის ისტორიულ პროცესს და იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონის (ბატონიშვილის) მიერ ქსნის ხეობის აღწერას: "ხოლო რაოდენნი ოესნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდაგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 104).

გ. ჩიტაიამ კარგად შეადარა აფხაზეთისა და შიდა ქართლის მოვლენები – ქვეყანაში უცხო ხალხის შემოსახლების პროცესის მხრივ. როგორც დადგენილია, ეს ფაქტობრივად ერთდროული პროცესი იყო მთელ საქართველოში, რომელშიც ადიღე-ჩერქეზების, აფსუებისა და ოსების შემოსახლებას ლეკიანობაც ერთვოდა. ყოველივე ამას, სამხრეთიდან ოსმა-

1. გ. ჩიტაია, ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური.... შრომები, II. გვ. 121.

ლების აგრესიაც დაემატა, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს, თათარ-მონღოლთა და სხვათა შემოსევებით დასუსტებული საქართველოს დაშლასთან იყო დაკავშირებული. შიდა ფეოდალური აშლილობით და მძათამქვლელი ომებით დაუძლურებულ და გათითოკაცებულ ქართველებს არ შეეძლოთ ყველა მხრიდან მომხდური — მრავალრიცხოვანი მტრების მოგერიება, რის გამო საქართველოს კუთხეების: აფხაზეთის, შიდა ქართლის, კახეთ-ჰერეთის და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების ნაწილი უცხო ხალხმა დაიკავა. ასეთი პროცესის შედეგია შედარებით გაუკაცრიელებულ აფხაზეთში აფსუების (აბაზების) და ჩერქეზების ჩასახლება.

ამ თვალსაზრისით პ. ინგოროყვას მიერ "გიორგი მერჩულეში" წამოყენებული კონცეფცია დაადასტურა თანამედროვე გამოკვლევებმაც. მაგალითად, ენათმეცნიერმა თ. გვანცელაძემ ახლახან მიკვლეული რუკით, რომელიც 1561 წელსაა შედგენილი იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდის მიერ, ამ რუკით დადგინდა, რომ მე-16 ს-ში აფსუები ცხოვრობდნენ მდ. ყუბანის შუა წელში, რომელთა ქვეყანას კარტოგრაფი "ABSYAS REGI-ს" უწოდებს, აქვე მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადთან, ამავე კარტოგრაფს მონიშნული აქვს დაბა-ქალაქი "Acua" (ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფსუური სახელწოდება). საყურადღებოა ისიც, რომ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ამ რუკაზე აღნიშნულია, როგორც სამეგრელოს ოლქი (რეგიონი), ხოლო ამჟამინდელ აფხაზეთს საერთოდ არ აქვს სახელი.[1]

როგორც ჩანს, სხვა მონაცემებთან ერთად, ეს რუკაც ცხადყოფს, რომ აფსუების ძირითადი მასა, მე-16 ს-ში, ჯერ კიდევ, ყუბანისპირეთში ცხოვრობდა და შემდეგ გადმოადგილდნენ ისინი ყუბანის სათავეებში და იქიდან აფხაზეთში ჩამოსახლდნენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა იგივე რუკა, რომელშიც ბიჭვინთის (peronda) ჩრდილო-დასავლეთით (გაგრა-განთიადის მიდამოებში) ნაჩვენებია "ანოგასია" (Anogasia), რაც ძველ აფხაზებს (აბაზგებს ანუ ქართველებს) უნდა ნიშნავდეს და არა აფსუუებს, რომლებიც ჯერ კიდევ ყუბანისპირეთში

1. თ. გვანცელაძე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა, ჟ. "არტანუჯი", 1997 წ., №6, გვ. 28-31.

ცხოვრობენ და მე-17-18 საუკუნეებში ჩამოსახლდნენ აფხაზეთში[1]. ენათმეცნიერი თ. გვანცელაძის განსჯით, XVI საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება დამაჯერებელი ეტიმოლოგიის მქონე არცერთი აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდება[2]. მისივე აზრით, XVI ს. შუასანების ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიის სიგელში აღნიშნული სოფლები აითარნე და არუხა უნდა იყოს ერთ-ერთი პირველი აფხაზური (იგულისხმება აფსუური) სახელები[3]. შესაძლებელია სწორია თ. გვანცელაძის დაკვირვება იმ მხრივ, რომ აფსუურისათვის დამახასიათებელ ა თავსართ-ნაწილაკს მართლაც კავშირი აქვს ამ სოფლების სახელწოდებასთან — განსაკუთრებით არუხას, მაგრამ ისინი ქართული სახელები უნდა იყვნენ (არუხა შეად. ზუგდიდის ციხესიმაგრე რუხს, რაც მეგრულად ხრამს, დახრამულ-ფერდიან ადგილს უნდა ნიშნავდეს, ხოლო აითარნე შეესაბამება მიწისმოქმედების წარმართული ღვთაების მეგრულ სახელს). რაც მნიშვნელოვანია, "აყვას" სადაურობა, რომელიც ყუბანში აფსუების რეგიონში მდებარეობდა, ის როგორც თ. გვანცელაძე წერს, მართლაც აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუების, ანუ აბაზების წამოღებულია და მე-18 ს-ში ცხუმს უწოდეს. აფსუების არამკვიდრობაზე მეტყველებს მათთვის დამახასიათებელი თავკიდურა ა ნაწილაკის დართვა მრავალი ქართული ტერმინისათვის (ნ. ჯანაშიას თქმით ის ჯერ კიდევ შესისხლხორცებული არ იყო ქართულ სიტყვებთან), რაც აფხაზეთში მე-16 საუკუნიდან იჩენს თავს.

აფხაზეთში გ. ჩიტაიას მიერ 1953 წ. მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებითაც დადასტურდა პ. ინგოროყვას კონცეფცია აფსუების ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლების შესახებ. მაგალითად, მოხუცებულ აფსუებში გავრცელებული გადმოცემით, მათი წინამძღოლის ინალყუბას საფლავი და სალოცავი ფსხუში და ჩერქეზეთში არის, სადაც აფხაზეთის აფსუები ტრადიციულად დადიან სალოცავად.[4]

---

1. თ. გვანცელაძე, იქვე, გვ. 28.
2. იქვე, გვ. 31.
3. იქვე.
4. გ. ჩიტაია, იქვე, გვ. 122.

აღსანიშნავია, რომ გარდა პ. ინგოროყვას კონცეფციისადმი პირდაპირი მხარდაჭერისა, გ. ჩიტაია კრიტიკულადაა განწყობილი იმათ მიმართ, ვინც აუგის თქმა იკადრა პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულეს" მიმართ. ამას ადასტურებს თავისი რეცენზიის მინაწერი, რომელშიც მტკიცედ იმეორებს უკვე თქმულის სინამდვილეს და ასევე უარყოფს გადაწყვეტილი საკითხების ხელახალი მტკიცების საჭიროებას, ამასთან "გიორგი მერჩულეს" მიმართ ავის მთქმელ მოპაექრეებზე დასძენს: "...განა ღირდა, რომ კალამი გაეცვითათ და მელანი ამოეშროთ უკადრისის კადრებით".[1]

ჩრდილო კავკასიიდან აფსუების ჩამოსახლებაზე აფხაზეთში პირდაპირი წერილობითი წყაროებიც მოგვეპოვება, კერძოდ, რუსი ისტორიკოსების მამად წოდებული, პეტრე პირველის თანამედროვე წყაროთმცოდნე-ისტორიკოსი (სახელმწიფო მოღვაწე გენერალი, რუსეთის ისტორიის ხუთტომეულის ავტორი) ვ. ნ. ტატიშჩევი, რომელიც წერს, რომ აფხაზეთის დიდ ნაწილს ყუბანისპირელი აფსუები ავსებენო. მისივე განმარტებით, აფხაზეთის მოსახლეობა "ობეზები" — არიანო, ის "ობეზად" მიიჩნევს აფხაზს, ხოლო ყუბანისპირეთიდან მოსულ "აფსუას არა "ობეზად" და არა აფხაზად თვლის. როგორც ვხედავთ, ყოველმხრივ გათვითცნობიერებული ტატიშჩევი, რომელიც დაინტერესებულია შავიზღვით და საერთოდ სამხრეთის ქვეყნებით (ბუნებრივია მათი მოსახლეობით), თვითმხილველია აფხაზეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების, იქ ჩრდილო კავკასიის ხალხის მიგრაციის.

აფხაზეთში ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ხალხთა შემოსახლებაზე წერს აგრეთვე ძველი რუსი სამხედრო ისტორიკოსი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი (იხ. "Дычков-Тарасов, Бзыбская Абхазия, ЦКОРТО, Тифл., 1905; его же Гагры и их окрестности, Тифл., 1905.

ზემოაღნიშნულთან ერთად, აფსუათა არააფხაზური წარმომავლობის შესახებ პ. ინგოროყვას კონცეფციის სასარგებლოდ სხვა მრავალი არგუმენტიც მეტყველებს, კერძოდ: 1. აფსუებს არ გააჩნიათ ბარის, მით უფრო, წყლიან-ჭაობნარი

1. იქვე.

ადგილების ფლორის გამომხატველი სახელწოდებები. ასეთი მცენარეულის ბოტანიკური სახელები აფსუებს შეთვისებული აქვთ ქართველებისაგან; 2. აფსუებს არ გააჩნიათ აგრეთვე თევზეულის საკუთარი სახელწოდებანი. თევზეულის სახელწოდებები მათ გამოხატული აქვთ მხოლოდ მთის მდინარეებში მობინადრე "აკალმახით"; 3. აფსუებს არ გააჩნიათ საკუთარი ქრისტიანული და წირვა-ლოცვის გამომხატველი ტერმინოლოგია. არ გააჩნიათ აგრეთვე საკუთარი ეკლესია-მონასტრები და ღვთისმსახურები; 4. აფსუებს, გამონაკლისის გარდა, არ გააჩნიათ საზოგადოების სოციალურ-წოდებრივი დაყოფის ტერმინოლოგია; ასევე არ გააჩნიათ ბარული მეურნეობა და ყოფა-ცხოვრების ჩვეულებითი წესები.

საკითხავია — მათ უძველეს დროიდან აფხაზეთში — ამ განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში, რომ ეცხოვრათ, როგორ შეიძლება იმისი წარმოდგენაც კი, რომ მათ ადგილობრივი მცენარეულის (მით უფრო კულტურული), თევზეულის, სოციალური წოდების, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების, ეკლესიების, მღვდელ-მსახურების საკუთარი ტერმინოლოგია არ ჰქონოდათ და ყველაფერი ეს ქართველებისაგან ესესხათ, თანაც ისეთ განვითარებულ ქრისტიანულ მხარეში, როგორიც აფხაზეთი იყო, რომლის ეპისკოპოსი ქრისტიანთა პირველ საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა 325 წელს?! ეს წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

რაც დიდმნიშვნელოვანი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, როგორც არაერთხელ აღინიშნა და მეცნიერულად დადასტურდა: მე-17 საუკუნემდე აფხაზეთში არ მოგვეპოვება არცერთი აფსუური ტოპონიმი, რომელიც უეჭველად გამოხატავდა მათ ძველისძველ ნაკვალევს აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ყველაფერი ეს, იმაზე მეტყველებს, რომ პ. ინგოროყვას შემოქმედება "გიორგი მერჩულეს" სახით, რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი, ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორიც არიან გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია და დავით კობიძე. ამ მხრივ პ. ინგოროყვა, როგორც რეალური შემოქმედი დღესაც საყოველთაო პატივისცემას და აღიარებას იმსახურებს.

მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული იმისი მოწმობაა, რომ მეცნიერებმა, სახელდობრ ისტორიკოსებმა, თავისი წმინდა ვალი მოიხადეს ხალხისა და ქვეყნის წინაშე, მათ შეისწავლეს და დაადგინეს აფხაზეთის ჭეშმარიტი ისტორია, ხოლო ვალში დარჩა ხელისუფლება, რომელმაც საკუთარი კარიერისა და განცხრომის გამო, არაფერი სასიკეთო არ იღონა, გარდა იმისა, რომ სამსხვერპლოზე მიიტანა მეცნიერების, ხალხისა და ქვეყნის ინტერესები, რომლის ნაყოფს დღესაც ვიმკით.

ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ იმპერიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო პ. ინგოროყვას ფუნდამენტური ნაშრომის "გიორგი მერჩულეს" ოფიციალური აკრძალვა, მაგრამ, სამაგიეროდ ქართველ მკვლევარებს აუკრძალა (ტაბუ დაუდო) აფხაზეთის ისტორიის თემატიკით შემდგომი კვლევა-ძიების უფლება.

## დიმიტრი გულიას ძველი და ახალი აზრები აფხაზებზე

ცოტა რამ აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწის (აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის) დიმიტრი გულიას შეხედულებაზე — აფხაზების ვინაობის შესახებ.ალბათ, ცოტა ვინმეს თუ აქვს ეჭვი, რომ დ. გულია თავისი გენეტიკურ-ეთნიკური წარმომავლობით ქართველი იყო, ანუ ოდინდელი ტომობრივი კუთვნილების მიხედვით — ლაზ-მეგრელი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის თავს თავდადებულ აფხაზად თვლიდა, რადგან აფხაზეთის მკვიდრი იყო (მოარული ხმების მიხედვით, ის ხანდაზმულობის პერიოდში კიდევაც აღიარებდა თავის ქართველობას?!), ასევე ითქმის აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის მრავალ ქართველ გვარიშვილზე, მაგალითად, თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის დაახლოებით 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართული გვარია, 60-მდე კი ე.წ. "აფხაზი" (რომელთა შორის ძირითადი მასა აფსუა-აბაზია, ხოლო დანარჩენი ადიღე-ჩერქეზი და სხვ.).

სხვა საკითხია სახელწოდება აფხაზი, როგორც გამოჩენილი ქართველი მეცნიერების დიმიტრი ბაქრაძის, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას,

გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას და სხვათა მტკიცებიდან ჩანს (რაც წინამდებარე ნაშრომიდანაც ჩანს), როგორც ასეთი, აღრე აფხაზი ერი არ არსებობდა, არსებობდა — აფხაზი, როგორც ლაზ-მეგრელ-ჭანი, კოლხი, ქართ-კახ-ჰერ-ფშავ-ხევსურ-მთიული, მესხ-ჯავახ-ტაო-კლარჯი, აჭარელ-გურულ-იმერელი, სვან-ლეჩხუმელ-რაჭველი, და ა.შ. ყველა ესენი ქართველთა ტერიტორიულ, გვარ-ტომობრივი ჯგუფების ოდინდელი სახელწოდება იყო და დღესაც ასეთივე სიმბოლურ გამოხატულებად რჩებიან — მიუხედავად იმისა, რომ ყველა ესენი ქართველ ერს შეადგენენ.

სულ სხვა საკითხია, თუ დღეს ვის როგორ მიაჩნია თავი — ვის აკუთვნებს თავის თავს, როგორც ჩანს, დღეს ე.წ. აფხაზეთის ქართველებს (ვინც აფხაზად იწერება), ანუ მათ უმრავლესობას ქართველებად არ მიაჩნია თავი, მიუხედავად იმისა, რომ არც თუ შორეულ პერიოდში (ზოგიერთს ისეთსაც გუშინწინ რომ ქართველი იყო და ახლა ძალაუნებლიედ აფხაზი გახდა), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო, მაგალითად: გულია, კოღონია, ჩიტაია, დამენია, გრიგოლია, კაკალია, გვარამია, ჭანია, ჯინჯოლია, კუპრავა, ლასურია, საღარია, კობახია, წარმოიდგინეთ წერეთელი, ახვლედიანი და სხვა მრავალი, რომელიც მეზობელ კუთხიდანაა აქ გადასული. დღეს კი საქმის ვითარებას, ანუ ეროვნულ კუთვნილებას თვითშეგნება და საკუთარი სურვილი განსაზღვრავს და არა მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობა და გენეტიკური კუთვნილება, ე.ი. ის, მიგაჩნია თუ არა თავი ქართველად, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარედ და გულშემატკივრად, გიყვარს თუ არა შენ ქართველთა ისტორია, ენა, მამული, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება და სხვა. გატკბობს და გულზე მალამოდ გედება თუ არა ყველაფერი ეს, საჭირო და აუცილებელ შემთხვევაში დაიცავ და დადებ თუ არა თავს ქართველობისათვის?! და ა.შ. თუ ასე არა, მაშინ შენ რა ქართველი ხარ, ასეთია დღეს ყველა ის აფხაზი, რომელსაც ჩვენ არ ვუყვარვართ და თავგამოდებით გვებრძვის, ვინც თავისი ნებით: ანგარების, კარიერიზმისა თუ სხვა რამის გამო, გაურბის საქართველოს და რუსეთის ან სხვა

ვინმეს სამუდამო მოქალაქე, ერთგული და დამცველი ხდება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გაურბიან აფხაზები თავის ისტორიას, რატომ სწყინთ მათ იმ სახელის — აფსუას წოდება, რასაც თვითონ თავის თავს უწოდებენ? გათვითცნობიერებული ადამიანისათვის ამის მიხვედრა გაუგებარი არ არის, საქმე ისაა, რომ აფხაზს და აფხაზეთს თავისი წარსულით ბევრი საამაყო აქვს: საამაყო აქვს სულიერი და მატერიალური კულტურა — ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, მამული და, რაც მთავარია ადამიანები და სხვ. მაგრამ "აფსუას" საერთო ასპარეზზე არავინ, ან ცოტა თუ ვინმე იცნობს, რადგან მას, როგორც მომთაბარე-მესაქონლე და პრიმიტულ ხალხს — არავითარი სახელმწიფოებრიობა და კულტურული მონაპოვრები არ გააჩნდა — არც ქრისტიანობა, არც ქალაქები, არც ციხე-სიმაგრეები, არც ეკლესია-მონასტრები, არც დამწერლობა (თავისთავად ლიტერატურა, ზედმეტია მეცნიერებაზე და, საერთოდ, მნიშვნელოვან მონაპოვრებზე ლაპარაკი). აი, რატომ გაურბიან თავის ისტორიას და აფსუობას კი არა, აფხაზობას ეპოტინებიან, თორემ, თავი რომ არ დამალონ, მაშინ გამომჟღავნდება ყოველივე და დაკარგავენ აფხაზებისა და აფხაზეთის სამართალ-მემკვიდრეობას, ყოველივეს, რაც საამაყო და სასიქადულოა (როგორც იტყვიან აი სად მარხია ძაღლის თავი!). ზოგიერთ გაუთვითცნობიერებელ — საქმეში ჩაუხედავ პოლიტიკოს მკვლევარს მიაჩნია, რომ ე.წ. "აფხაზს", "აფსუას" ნუ უწოდებთ, რადგან ეს სწყინთო, აგრეთვე იმიტომაც, რომ ქართული წყაროები მათ აფხაზებს უწოდებსო. ჯერ ერთი, ქართული წყაროები" აფსუებს" იმიტომ არ იცნობს, რომ ისინი ისტორიულად საქართველოში არ ცხოვრობდნენ (მხოლოდ გვიან საშუალო საუკუნეებში შემოსახლდნენ საქართველოს მიწა-წყალზე ოსებივით და იმ აფხაზების სახელი შეერქვათ თავისთავად, ვინც ადგილზე დახვდათ); მეორეც, ისინი, როგორც მცირერიცხოვანი და არაფრით გამოჩინებული, მაინცდამაინც არც ჩრდილო კავკასიაში ჩანდნენ. ამასთან, ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა მრავალი — ათეულობით ისეთი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ქართულ წყაროებში, საერთოდ არაა დაფიქსირებული, აფსუე-

ბის მსგავსად; მესამეც, აფსუების ვინაობა უკანასკნელ დრომდე საქართველოში იმალებოდა, თორემ აფსუა ისტორიკოსების ნაშრომებით და განმარტებით, ისინი ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა სამეცნიერო ცენტრებში ათეულობით საისტორიო ნაშრომში არიან დასახელებული და დახასიათებული. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ თვით დ. გულიას მიხედვით, აფხაზეთის სახელწოდება აფსუების თვითსახელწოდების მიხედვით "აფსნეს" სახელით უნდა შეცვლილიყო (იხ. მისი "აფხაზეთის ისტორია", სოხუმი, 1925 წ. რუსულად). ამასთან, კონფლიქტის დროს აფსუებს ქართველების წინააღმდეგ გამოჰყავდათ ტანკები, ბრონიანი მანქანები, თვითმავალი ქვემეხები (რა თქმა უნდა, რუსეთის მიერ მიცემული), თავიანთი სახელწოდება "აფსნის" მყვირალა წარწერებით.

ახლა უშუალოდ დ. გულიაზე, მან 1925 წ. სოხუმში გამოქვეყნებულ წიგნში "История Абхазии" სცადა დაემტკიცებინა, რომ აფხაზები და მათი წინაპრები ჰენიოხები არიან აბისინიელები, ეთიოპელები, ეგვიპტელები და, საერთოდ, აფრიკელები, რასაც ისეთი პრიმიტული მაგალითებით ამტკიცებდა, როგორიცაა — "აფხაზები ისეთივე თმახუჭუჭა არიან", როგორიც დასახელებული ხალხები და სხვა ამისთანებით. ამგვარი უსაფუძვლო და არაფრისმთქმელი მაგალითებით დ. გულია ასკვნიდა, რომ აფხაზებს საერთო არაფერი აქვთ ქართველებთან და სულ სხვა ხალხია.*

* სხვათა შორის დ. გულიას ამგვარი მოსაზრებები ნაკარნახევი იყო ერთი მუჭა სეპარატისტების ნ. ლაკობას, ეშბას და რამდენიმე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტის მიერ ერთა თვითგამორკვევის თეორიით, რაც საშუალებას აძლევდა აფხაზებს თავისი თვითგამორკვევის — ე.ი. დამოუკიდებელი სახელმწიფოს.... რესპუბლიკის შექმნის. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას, თუ ეს არა, მაშინ ისინი მოითხოვდნენ შავიზღვისპირეთის ოლქში, ყუბანისპირეთში, ან მთიელთა რესპუბლიკაში ან რუსეთის ფედერაციაში შესვლას. მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ და ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს სახელშეკრულებო რესპუბლიკის შექმნას, რომელიც ფიქცია იყო და ფაქტობრივად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, რადგან აფხაზეთს არაფერი გააჩნდა — არც ფინანსები, არც კადრები, არც ჯარი და თავდაცვის საშუალებები. ამიტომ ნ. ლაკობამ მას ცარიელი აბრა შეარქვა, აფხაზეთის ე.წ. სახელშეკრულებო რესპუბლიკა საქართველოს მეშვეობით შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ 1931 წლიდან აფხაზეთი, როგორც ავტონომია, საქართველოს რესპუბლიკაში ითვლებოდა.

ამ და სხვა ამგვარი აბსურდული მოსაზრებების წერის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო და დ. გულია თანდათან დაპროფესიონალდა და დაბრძენდა. ამასობაში მან საქართველოს ისტორია და აფხაზეთიც შეისწავლა, ბოლოს ისიც დაინახა, რომ ყმაწვილკაცობაში, გაუთვითცნობიერებულობის გამო, უამრავი შეცდომა დაუშვა, ამიტომ 1951 წელს აღსარება, ანუ მონანიება დაწერა.

ეს აღსარება, პირველ რიგში, აფხაზების წარმომავლობას და ეთნიკურ კუთვნილებას ეხება. ის წერს, რომ აფხაზების არაქართველებად გამოცხადებაში შეცდომაში შეიყვანეს ნ. მარმა, ა. გრენმა და პ. უსლარმა, აგრეთვე მოგზაურთა შეუმოწმებელმა და უსაფუძვლო ცნობებმა, რომელთა საფუძველზე დაწერა, რომ "კოლხიდის მცხოვრებ ტომებში შეუძლებელია ქართველური რასის ტომები დავინახოთ" (იხ. "აფხაზეთის ისტორია", გვ. 85). ამ მოსაზრებას დ. გულია ახლა ყალბი ფალსიფიკაციის ნიმუშად მიიჩნევს. შემდეგ, როდესაც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, აგრეთვე საქართველოს და აფხაზეთის მატერიალური და სულიერი კულტურა, აგრეთვე საქართველოს შესახებ ივანე ჯავახიშვილის და სხვათა მეცნიერული ნაშრომები შეისწავლა, დარწმუნდა, რომ მისი დაწერილი წიგნი "აფხაზეთის ისტორია" სავსეა ფაქტობრივი და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებით, რომ ის ანტიმეცნიერული ნაშრომია (იხ. მისი "О Моей книге. История Ахазии". Сухуми, 1951 г. გვ. 4). მისივე აღსარებით, მან უამრავი შეცდომა დაუშვა აფხაზების ისტორიის, ტოპონიმიკის, ადათ-წესების აღწერაში, განსაკუთრებით ეთნოგენეზის განსაზღვრაში. აქვე დ. გულია დიდ სინანულს განიცდის იმაზე, რომ "...Автор ни разу не постарался критически пересмотреть и выступить с опровержением тех серьезных ошибок и фальсификации, которые содержается в моей книге "История Абхазии", хотя давно уже эти ошибки мне ясныи и осознаны"[1].

მიუხედავად ამისა, ის წერს, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს: "...сегодня я хотел бы, наконец, поговорить, в

1. Д. Гулия, О моей книге "История Абхазии" Сухуми, 1951, с. 5..

проякке хотя бы частичного осуществления давнишнего намерения, о пороках своего произведения и путях преодоления все еще имеюшихся по истории Абхазии серьезных недостатков“ (იქვე.).

დ. გულიას თქმით, თაეისი მთავარი შეცდომა მაინც აფხაზთა ეთნოგენეზის პრობლემის შიშეელი და არასწორი მტკიცებაა (რაც არაერთხელ მეორდება) აფხაზების აფრიკულ წარმოშობაზე (იხ. მისი “ახფაზეთის ისტორია“, გვ, 9, 12, 20, 32, 34 და სხვ.), შემდეგ აღნიშნავს, რომ არაა საჭირო და აუცილებლობა ფართოდ შეევსო იმ ფსევდომეცნიერულ, უაზრო და აბსურდულ ეტიმოლოგიურ და ლინგვისტურ ახსნებს, რომელთაც ადგილი აქვთ წიგნში, მაგალითად, აბასია (აპსნი) — აბისინიის ურთიერთშედარება და ერთიანობა, თითქოს ისინი წყლის თუ წყლიან ქვეყნის სახელიდან მომდინარეობენ და სხვა ამგვარი. მე, წერს დ. გულია, იმის საჭიროებასაც კი ვამტკიცებდი, რომ აუცილებელია “აფხაზეთის“ სახელის შეცვლა (როგორც უვარგისის) “აბასით“, “აფხაზის“ — “აბასეც“ (იქვე, გვ. 95). ის ასევე ამტკიცებდა, რომ აბისინიის ტბა “ხოპი“ და აფხაზეთის სოფ. “ხუაპ“ ერთი და იგივე სახელებია და ა.შ. თავის ძველ წიგნში დ. გულია იმასაც კი ამტკიცებს, რომ “აბაზგები“ და “აფსილები“ (როგორც აბისინიელები, ეთიოპიელები და ეგვიპტელები) კოლხები (კოლხიდელები) არიან, ხოლო ბერძნების დახმარებით აქ ლაზები იღებენ პირველობას და ამიტომ ეწოდა ლაზიკაო. ასეთ უსაფუძვლო — ძველ მსჯელობებს დ. გულია ახლა (აღსარებაში) დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო სქემატიზმად მიიჩნევს (გვ. 8).

როდესაც დ. გულია ძველ წიგნში აფხაზეთის მატერიალურ კულტურას ეხება, ის ამ კულტურას უფრო რომაულ, ბიზანტიურ, გენუურ და სხვათა გავლენას მიაწერს, ვინემ ქართულ კულტურად თვლის.

დ. გულია დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავის დროზე ყურად არ იღო ივ. ჯავახიშვილის და საერთოდ ქართველ მკვლევართა მიღწევები კავკასიურ და კერძოდ საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებაში.

შემდეგ დ. გულია კონკრეტულად ეხება აფხაზეთის

ისტორიას და აღნიშნავს, რომ ახლა საყოველთაოდ და მეცნიერულად უდაოდაა დამტკიცებული, რომ "...абхазы жили всегда адной исторической и культурной жизнью с грузинами, что абхазы, собственно, те же грузины; чтобы, наконец, этим оказать посильное содействие дальнейшему правильному решению основных вопросов истории Абхазии, предостеречь, от возможных заблуждений, призват к выправлению имевших место вывихов, к коренному исправлению допущенных в этой области грубых ошибок принипального и методологического характера".[1]

ამ, ფაქტობრივად დასკვნა — ანდერძის შემდეგ დ. გულია აღნიშნავს, რომ აფხაზეთის წიაღი შეიცავს კულტურის მრავალ ფენას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ანტიკური ხანის ტიპიურ კულტურას, ასევე აფხაზეთის საოცრად მრავალი კლასიკური ძეგლი ანალოგიურია საქართველოს ფეოდალური ხანის სახელმწიფო ძეგლების, რაც მიუთითებს ქართველი ტომების და აფხაზების ერთიანობას და ერთ არსებას.[2] აქვე დასძენს, რომ ფეოდალურ ხანაში აფხაზეთში არსებული სამი საერისთაოდან, მხოლოდ ერთს ეწოდებოდა "აფხაზეთის საერისთავო" (დღევანდელ ათონიდან მდ. ბზიფამდე), "თანაც ეს ტომები იბერო-ლაზებისაგან უფრო შორს არ იდგენ, ვიდრე ეთქვათ, სვანები ან მესხები (იქვე, გვ. 14).

დ. გულია აქვე აღნიშნავს აფხაზთა დამსახურებასაც საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობისა და დაწინაურების საქმეში, რომ ის საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში "всецело и неразрывно входит в единный и обший грузинский этнический и культурнго-исторический круг".[3]

დ.გულია ადასტურებს, რომ "აფხაზთა სამეფო" იყო დასავლეთ საქართველოს (ქართველთა) სამეფო — დედაქალაქი ქუთაისით, რომლის საეპისკოპოსო კათედრა აფხაზეთში ანუ ბიჭვინთაში მდებარეობდა. რომ აფხაზეთი ქართველ მეფეთა ოფიციალურ ტიტულატურაშიც ფიგურირებდა — რაც იმისი

1. Д. Гулия, там же, с. 10
2. იქვე, გვ. 14.
3. Д. Гулия, там же, с. 14

მკაფიო გამოხატულება იყო, რომ აფხაზებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს გაერთიანებაში.[1] მისივე ლასტურით, "აფხაზთა სამეფოში" ქართული ენა იყო ერთადერთი დამწერლობის, სახელმწიფო და კერძო საქმისწარმოების, აგრეთვე ეკლესიისა და ღვთისმსახურების ენა. დ. გულიასვე დასკვნით, ქართულმა ენამ და კულტურამ ეს როლი არ დაკარგა აფხაზეთში თვით საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის — აფხაზეთის თავადობის (ე.ი. სამთავროს გ.გ.) პერიოდშიც კი.[2]

დ. გულია ჩამოთვლის აფხაზეთში X საუკუნიდან მეფეთა მიერ აშენებულ დიდებულ ქრისტიანულ საეკლესიო ძეგლებს (ცენტრებს: მოქვის, ბედიის, ბიჭვინთის და სხვ.) და წერს: "Таким образам, невозможно исключить органическое участие Абхазии в создании древней "античной" и классической феодальной культуры средневековой Грузии, включающей мировые шедевры всех видов творчества, точно также, как невозможно это сделать по отнощению к другим виднейшим областям Грузии. Абхазия является органической частью Грузии в полном смысле всего многообразия культурно-исторической жизни"[3].

შემდეგ დ. გულია წერს, რომ აფხაზეთის ისტორიულ-კულტურულ ერთობა საქართველოსთან ისეთი ორგანული და ინტენსიური იყო მთელი საუკუნეების მანძილზე, რომ მის დარღვევას მტერი თუ ახერხებდა ხოლმე გზა და გზა, მათ შორის რომაელები, სპარსელები, არაბები, მონღოლები, თურქი-ოსმალები და სხვ. აქვე ის ქელაიშ-აჰმედ-ბეგს (მე-18 ს. ბოლო და მე-19 ს. დასაწყისის მთავარი) ახასიათებს, როგორც საქართველო-აფხაზი ხალხების მტერსა და მოღალატეს, რომელსაც სურდა აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსაგან.

როგორც ვხედავთ, დ. გულიამ დაგმო როგორც თავისი ასევე სხვისი ტენდენციური, თალმუდისტური აზროვნება და ფალსიფიკატორულ-ფსევდომეცნიერული შეხედულება აფხაზეთისა და

---

1. იქვე. გვ. 15.
2. იქვე.
3. იქვე. გვ. 16.

აფხაზებზე და მოწინავე ისტორიკოსამდე ამაღლდა. ფაქტია, რომ ამან გზა მოუჭრა ვიწროპროვინციალურად მოაზროვნე-ფალსიფიკატორ ერთი მუჭა აფსუა სეპარატისტებს, რომლებსაც თავგზა აებნათ და ჩიხიდან გამოსავალის ძებნა დაიწყეს. მათ მართლაც "იპოვეს" გამოსავალი, მაგრამ არა მეცნიერული, არამედ ჩვეული-ბინძური და პროვოკაციული: დ. გულიას გარდაცვალებისთანავე ხელები და ენა გაასავსავეს, რომ ხსენებული ნაშრომი (აღსარება და მონანიება) თითქოს მისი დაწერილი არ იყო, რაც დაწერა დ. გულიას შვილმა — მწერალმა გიორგიმ მოსკოვში), ხოლო ზოგიერთებმა ისიც თქვეს, რომ "ხსენებული ნაშრომი (ჩემი წიგნის — "აფხაზეთის იტორიის" შესახებ) დ. გულიას ძალით დააწერინეს ი. სტალინისა და ლ. ბერიას დამქაშებმა".

რამდენად გასაკვირი და სავალალო არ უნდა იყოს, ჩვენმა ისტორიკოსმა ე. ხოშტარია-ბროსემ (უკვე აკადემიკოსი, ვგონებ ახლა მაინც მეტი დაფიქრება სჭირდებათ მის ქომაგ-ამომრჩევებს ეროვნულ აკადემიაში) აფხაზეთისადმი მიძღვნილი, მართლაც გაურკვეველ ისტორიოგრაფიულ ნარკვევში ("აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში",თბ., 2001 წ.), ჯერ დუმილით აუარა გვერდი დიმიტრი გულიას, მის მიერ1951 წელს დაწერილ აღსარება-მონანიებას (ფაქტობრივად ანდერძს) აფხაზეთის ისტორიაზე — 1925 წელს გამოქვეყნებულ წიგნში დაშვებულ თეორიულ, ფაქტობრივ და მეთოდოლოგიურ შეცდომებს (რაც თვითონ ავტორმავე დაგმო სასტიკად 1951 წელს), ხოლო როდესაც ჩემს მიერ ამაზე და სხვა უამრავ შეცდომასა და სიყალბე-ფალსიფიკაციაზე პრინციპული შენიშვნები მიიღო (იხ. გაზ., "ლიტერატურული საქართველო", 2001 წ. მარტი, №8-11. გაზ. "თბილისი", 2001 წ. 17 მაისი; გაზ. "აფხაზეთის ხმა", 2001 წ. №20-21), მაგალითად, დ. გულიას შეგნებულად გამოტოვებაზე პასუხში აღინიშნა, რომ: "არც მისი 1925 წ. წიგნი და არც მისი უარმყოფელი წიგნაკი თანამედროვე ისტორიკოსისათვის რაიმე ღირებულებას არ შეიცავსო. შემდეგ განაგრძობს — რაც შეეხება ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას, ალბათ ახსნა არ სჭირდება იმას, რომ დ. გულიას შემოქმედება ქართულ ისტორიოგრაფიას არ მიეკუთვნება და, ამდენად, ჩემი ბროშურის თემას არ ეხე-

ბაო" (იხ. გაზ., "ლიტ. საქართველო", 2001. წ. № 14, ხაზგასმა ჩვენია გ.გ.). რა ლოგიკა და თავისი მართლების – რა გზა და რა საშუალება არ არსებობს!? თურმე დ. გულიას არც ძველ და არც გვიანდროინდელი საისტორიო ნაწერებს არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა არ ჰქონია ისტორიკოსისათვის. თურმე გულიას მიერ დაწერილი "აფხაზეთის ისტორია" საქართველოს ისტორიოგრაფიას არ ეკუთვნის?! თურმე ამას ახსნა არ სჭირდება.

ვფიქრობ, არც ისაა საცნაური, რასაც ე. ხოშტარია- ბროსე წერს თავის პასუხში დაშვებული შეცდომის აღიარება-არაღიარებაზე. ის უდიდეს გაკვირვებას გამოთქვამს გულიას მიერ თავის შეცდომების აღიარების გამო და გულწრფელადაა გაოცებული, რომ "ნებაყოფლობით ეს ჯერ არავის უღიარებიაო" (აი მისი მეცნიერული კრედო!). აბა რა ფასი შეიძლება ჰქონდეს ასეთი თვალსაზრისით დაწერილ თუნდაც ისტორიოგრაფიულ ნარკვევს? აქვე შეიძლება ვიკითხოთ – კი მაგრამ ყველაფერი ეს იმიტომ ხომ არა, რომ "ჩვენი ისტორიკოსი" პირწმინდად იზიარებს და იმეორებს დაბეჯითებით ყოველივე იმას, რასაც სეპარატული, შეთქმულების თავკაცები ამბობენ: "არც ძველი და არც ახალ აფხაზებს არაფერი საერთო არ ჰქონდათ და არც აქვთ ქართველებთან", ბატონო ედიშერ! თქვენ არაფრით უშვებთ, რომ ძველი და ახალი აფხაზები არსებობდნენ! მიგაჩნიათ, რომ აფხაზები მხოლოდ კულტურულ-ისტორიულად არიან ქართველები და ამ ცნებით გამორიცხავთ ძველი აფხაზების ქართველობას (აფსუების ჩვენც გამოვრიცხავთ). ბუნებრივია, ამიტომ არ გაძლევთ ხელს – არა მხოლოდ დ. გულიას ბოლოდროინდელი ნაშრომი, რომელშიც ძველი შეცდომების მონანიებაა გამოთქმული, არამედ ნ. ბერძენიშვილის (იხ. ქვემოთ) ბოლოდროის ნაშრომებიც (რომელთა რევიზიასაც თქვენ ეწევით). ამიტომ, ბუნებრივია, არც ინგოროყვას ფუნდამენტურ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებთ და ისტორიოგრაფიულ ნარკვევში სპეციალურად დამალეთ (განგებ) პ. ინგოროყვას მონოგრაფიაზე გამოჩენილი მეცნიერების: გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, დავით კობიძის, გიორგი ჩიტაიას მიერ გამოთქმული მეცნიერული შეხედულებები (რომლე-

ბიც თავისი არსით და მაგისტრალური ხაზით ანალოგიური არის იეანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას და ნიკო ბერძენიშვილის შეხედულებების). ნუთუ თქვენს მიერ მოყვანილი მეცნიერების მოსაზრებებიც არაფრით იმსახურებენ თანამედროვე ისტორიკოსთა ყურადღებას და არ ეკუთვნიან ქართულ ისტორიოგრაფიას?! ხომ არ გინდათ თქვათ, რომ ამასაც ახსნა არ სჭირდება – თქვენ ხომ ტექნიკურ-ორგანიზაციულად მაინც მოელენების კურსში იყავით, როცა "გიორგი მერჩულე" იხილებოდა, როცა პ. ინგოროყვას მეცნიერული მონაპოვრების დასაცავად ფეხზე დადგა ჩვენი ელიტარული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლები. რატომ დამალეთ ყველაფერი ეს? არ თქვათ უნებლიედ გამოგრჩათ, ამას არავინ დაგიჯერებთ, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენთვის სათუთია აფხაზეთის (უფრო ზუსტად, აფსუა სეპარატისტების) თემა და საკითხი (რა გენაღვლებათ თავის ქვეყანაში სისხლის-ნამუს აყრილი, სახლკარ დაკარგული, ულუკმაპუროდ და მათხოვრად ხელგაწვდილი ქართველი ბავშვი, ქალი და უმწეო მოხუცებული).

და მაინც დ. გულიას მონანიება – ანდერძზე მსჯელობისას (თუ ამას კავშირი არ აქვს საქართველოს ისტორიოგრაფიასთან და რაიმე ღირებულებას არ შეიცავს?!), როგორ უნდა იკისრო და იკადრო, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ის უხამსობა და სიცრუე, რასაც სეპარატისტთა იდეოლოგები კადრულობენ: "ყველამ კარგად ვიცით, წერს ე. ხოშტარია-ბროსეც, თუ როდის და რა პირობებში გამოქვეყნდა ზემოთნახსენები წიგნაკი (ლაპარაკია დ. გულიას 1951 წ. ნაშრომზე გ.გ.) ბერიას უშუალო მითითებით (?!გ.გ.), მგელაძის რეჟიმი იმხანად აფხაზებზე მძლავრ პოლიტიკურ დაწოლას ახორციელებდა. მე, განაგრძობს ხოშტარია-ბროსე, თავად ვიყავი ამისი მოწმე 1951 წელს, როცა ვმონაწილეობდი ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციაში აფხაზეთში. მალე მდგომარეობა შეიცვალა და უკვე 1950-იანი წლების ბოლოდან ყოველივე ისევ ჩვენს წინააღმდეგ შემოგვიბრუნდა".[1]

ჰოი საოცრება! რას არ იტყვის და მოიგონებს სიცრუესა

და უბუნურობაში გამოჭერილი ადამიანი, ე. ხოშტარია-ბროსემ ჯერ თავი იმართლა, რომ დ. გულიას ხსენებული ნაწერები არაფერ ღირებულებას არ შეიცავსო (აღსარებაში რომ წერს — აფხაზები იგივე ქართველებიაო, აფხაზეთი საქართველოს ორგანული და განუყრელი ნაწილაიო, აფხაზეთის მატერიალური და სულიერი კულტურა იგივე ქართული ფეოდალური კულტურააო — ეს ხოშტარია-ბროსესათვის, რა თქმა უნდა, არაფერს ღირებულს არ შეიცავს, რადგან მისთვის ღირებული მხოლოდ სეპარატისტთა ლიდერების ყოველგვარი მონაგონია.

ამასთან, უცერემონიოდ ცრუობს — როცა აღნიშნავს, რომ ბერიას უშუალო მითითებისა და მგელაძის რეჟიმის მძლავრი დაწოლის თვითმხილველია, რომ ვითომ დ. გულიას ისტორიული ნაშრომი ბერიას მითითებით და დაწოლითაა დაწერილი (ვითომ ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით!?) მე კი ვაცხადებ, რომ ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ სეპარატისტთა ლიდერების მონაჩმახი-მოარული ხმები ვიცით და ჩვეულებრივმა ისტორიკოსებმა — ვინც "კაგებეს" მიერ მოსყიდული დამსმენი არასოდეს ვყოფილვართ, არც შეიძლება რაიმე ვიცოდეთ. ესეც რომ არა, რა შუაში ვართ ბერია-მგელაძის საბჭოურ რეჟიმთან ქართველები — ბავშვები, ქალები, მოხუცები და, საერთოდ, ქართველი ხალხი? ამაზე ხოშტარია-ბროსეს მიერ ნიშნის მოგებით თითისქნევა და ყურადღების გამახვილება, ხომ იმისი მინიშნებაა, რომ აფსუების (ე.წ. აფხაზების) ყველა უბედურების წყარო ჩვენ — ქართველები ვართ (როგორც მათი ლიდერები ყვირიან) და ამიტომ ჩვენ დაგვცხონ, აკი ჩვენი აკადემიკოსი ოფიციალურად გვაფრთხილებს კიდევაც "დროა გონს მოვეგოთ!"

საკითხავია — მაინც რატომ მიაჩნია ჩვენს აკადემიკოსს დ. გულიას აღსარება-მონანიება ძალით დაწერილად, ან საერთოდ სულ არ დაწერილად, რა არის დ. გულიას ამ ბოლო დაწერილში სიცრუეე ან ულოგიკო და საკვირველი? ნუთუ ის, რომ: 1) აფხაზები აბისინიელების, ეთიოპიელების და ეგვიპტელების ჩამომავალი არ არიან; 2) ძველი (აბორიგენი) აფხაზები იგივე ქართველები არიან; 3) აფხაზეთი ისტორიულად საქართ-

---

1. იხ. ე. ხოშტარია-ბროსე, "გაზ. "ლიტ. საქართველო", 2001 წ. 6-12 აპრილი, გვ. 5, ხაზგასმა ჩემია გ. გ.

ველის ორგანული და განუყოფელი მხარეა; 4) "აფხაზთა სამეფო" თავისი შინაარსით: ენით, კულტურით, საქმის წარმოებით, პოლიტიკით და შემადგენლობით ქართული სამეფოა; 5) აფხაზეთის მატერიალური და სულიერი კულტურა, ეკლესია-მონასტრები, საერო ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და სხვა ქართული ფეოდალური ქვეყნის ნაყოფია და ა.შ. თუ ყოველივე ეს მართალია, მაშინ რატომაა დ. გულიას აღსარება-მონანიება "ძლავრი დაწოლით" დაწერილი, ან სულაც არ არის მისი დაწერილი?! იმიტომ ხომ არა, რომ ხოშტარია-ბროსე ასე არ ფიქრობს, რადგან სეპარატისტთა ლიდერები ამას უარყოფენ და იმიტომ?

ასეთია მოკლე მხცოვანი და ღვაწლმოსილი შემოქმედი დ. გულიას ზოგიერთი შეხედულების არსი (რაც პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ახვლედიანის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ჩიტაიას, დ. კობიძისა და სხვა მეცნიერთა შეხედულებას ემთხვევა და ენათესავება), აგრეთვე დ. გულიას შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხები.

## ნიკო ბერძენიშვილი აფხაზეთის და აფხაზების შესახებ

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ბერძენიშვილი აფხაზეთისა და აფხაზების კონკრეტულ და უშუალო მეცნიერულ კვლევა-ძიებას მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შეუდგა. ამის შესახებ მისივე პასუხიდან ვგებულობთ ისტორიკოს პროკოფი რატიანის (რომელიც იმხანად აფხაზეთის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა) შეკითხვისადმი, რომელიც აფხაზების ისტორიასა და მათი ყოფილი მთავრის, ქელაიშ, აჰმედ ბეგ შარვაშიძის საქმიანობის შეფასებას ეხება.[1]

სანამ ნ. ბერძენიშვილის პასუხს შევეხებით, საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვით განვმარტოთ თუ რა ვითარება იყო აფხაზეთის ისტორიის შესწავლაში ადრე, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის და აფხაზების ისტორიის ინტენსიური შესწავლა მე-20 ს. 50-იან წლებამდე არავის უცდია. ამ მხრივ ერთ-ერთმა პირველმა პავლე ინგოროყვამ გამოიჩინა თავი, რომლის ნაშრომს "გიორგი მერჩულე" – ნ. ბერძენიშვილი

1. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. III, თბ., 1966. გვ. 277.

მოწონებით შეხვდა, აღნიშნა, რომ "აფხაზეთის სამეცნიერო ლიტერატურას პ. ინგოროყვას საყურადღებო გამოკვლევა შეემატა".[1] ამ მხარის ზოგიერთი საკითხის შესწავლაში ქართველ ისტორიკოსებიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიჩინა თავი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა (თერგდალეულთა თანამოაზრემ და თანამებრძოლმა) დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც როგორც იმჟამინდელი მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიითა და მრავალი ენის ცოდნით აღჭურვილმა იმთავითვე აღნიშნა, რომ უძველეს დროიდან მთელი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლი მდ. ყუბანიდან – ვიდრე ტრაპეზუნის ჩათვლით, მეგრელებს ეკავა. შედარებით გვიან შავიზღვისპირეთში მათ ჩერქეზები და აფხაზებიც დაემატა.[2]

როდესაც დ. ბაქრაძემ აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები თავისი თვალით ნახა და შეისწავლა, დარწმუნდა იმაში, რომ მცირე (ბიზანტიური) გამონაკლისის გარდა, როგორც ეკლესია-მონასტრები (თავისი ეპიგრაფიკითა და არქიტექტურით), აგრეთვე საერო-საფორტიფიკაციო ნაგებობები ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებია.

საქართველოში მოგზაურობის დროს დ. ბაქრაძემ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: დრანდის, მოქვის, ილორის და ბედიის ტაძრები, რომლებიც მე-17 საუკუნის დასასრულამდე ოდიშის მიწა-წყალზე მდებარეობდნენ და, ბუნებრივია, საქართველოს კუთვნილებას შეადგენდნენ. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ისინი დიდებული ქართული ფეოდალური ხუროთმოძღვრული ძეგლებია. დ. ბაქრაძემ საგანგებოდ შეისწავლა აფხაზეთის შუაგულში აგებული ლიხნის (ლუხუნის) ეკლესიის ქართული წარწერა, რომელშიც ქართველი მეფე ბაგრატ მეოთხე არის ასახული.[3] აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ქართულ ხასიათს ადასტურებს არაერთი უცხოელი მკვლევარიც, მათ შორის, მაგალითად, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც ლიხნის ტაძრის ქართული წარწერაც გააანალიზა. ასევე დოკუმენტურადაა დადასტურებული აფხაზეთის სხვა ეკლესია-მონასტრების (რომელთა რიცხვი 90-ს აჭარბებდა) ქართული სამყაროსადმი კუთვნილება (ქართული წარწერებით, ფრესკებით, სიუჟეტებით და ა.შ.), მაგალითად: გაგრის, ბზიფის, ანუხვის, ბიჭვინთის,

1. იქვე.
2. История Грузии на основнииновых изыскании,Тф., 1875. с. 3.
3. Кавказ в древних помятниках христян. Общество любителей археологии, Тифл. 1875. с. 74.

ცხუმის, წებელდის, ჭლოუს, მოქვის, ილორის, ბედიის, ჭუბურხინჯის, დურიფშის, წყლიკარის, დიხაზურგას და სხვ.

თავისი სამეცნიერო მივლინების დროს აფხაზეთში დ. ბაქრაძე სპეციალურად დააკვირდა სოფელ ილორს (სადაც ილორის დიდებული ტაძარი იდგა), რომელიც 160 კომლს შეადგენდა და აღნიშნა, რომ მისი მოსახლეობა მეგრელებია, რომელთაც მართალია აფხაზური (ე.ი. აფსუური – გ.გ.) იციან, მაგრამ მუდამ მეგრულად მსჯელობენ და ლაპარაკობენ. აფხაზებისა და აფხაზეთის მატერიალური კულტურის კუთვნილების საკითხს სულ სხვა თვალსაზრისით უდგებიან რუსი კოლონიზატორი მოხელეები და მათ მიერ მოსყიდული ადგილობრივი სწავლულები, რომლებიც დიდ ზემოქმედებას ახდენენ აფსუუებზე, რათა ფსიქიკურად განეწყოთ ისინი ქართველთა წინააღმდეგ. ქართველთა წინააღმდეგ კოლონიზატორულ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეფის მოხელეები: კავკასიის მთავარმართებლები, მეფისნაცვლები, აფხაზეთის სამხედრო განყოფილების უფროსები, თეთრგვარდიელი გენერლები, რუსეთის მიერ მოსყიდული აფსუა მოღვაწეები (დ. ბაზბა, ა. ჩუკბარი, ს. ჭანბა, ვ. აგრბა, დ. ემუხვარი, გ. ზუხბაი, ნ. ლაკობა, მ. ლაკობა, კ. ინალ-იფა და სხვა, აგრეთვე გააფსუებული კარიერისტი ქართველები: ი. მარღანია, დ. ალანია, ს. ბასარია, მ. თარნავა, ა. შერვაშიძე, ვ. ფაჩულია, კ. მაჭავარიანი, მ. ცაგურია, დ. გულია და სხვა, განსაკუთრებით აფხაზეთის მმართველობაში მოსამსახურე რუსი შოვინისტები: ა. დემიანოვი, გ. კოროლიოვი, დ. ზახაროვი, კ. კუდრიავცევი და სხვა, ასევე აფხაზეთის რუსული კლერიკალური ეკლესიის მღვდელმთავრები მაგ. ეპისკოპოსი სერგი და სხვა) და ა.შ.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ზოგიერთი სამეცნიერო და მხარეთმცოდნეობითი ხასიათის საცნობარო სახის ნარკვევებისა, მე-19, და მე-20 ს. დასაწყისში აფხაზეთის ისტორიაზე არცერთი სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევა არ დაწერილა. ყოველივე ის, რაც აფხაზეთზე (ასევე სხვა კავკასიელებზე) იწერებოდა ძირითადად რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკასა და ინტერესებს ემსახურებოდა, რაც განსაკუთრებით მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 ს. დასაწყისში გამოიკვეთა, როდესაც ცარიზმმა აფსუა-აფხაზების წინააღმდეგობა დაძლია (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გააქცია, დარჩენილი ნაწილი სხვაგან გააქცია. ნაწილი დახოცა, ნაწილი დათრგუნა,

დარჩენილი ნაწილი კი ბედს შეურიგდა) და აფხაზეთის ეკონომიკური ათვისებისა და საყოველთაო რუსიფიკაციის საკითხი დადგა. ამ მიმართულებით რუსეთის ახალი ძალების მისწრაფება გამოიკვეთა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ცარისტული იმპერია დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, როდესაც საქართველოს შავიზღვისპირეთს, სახელდობრ აფხაზეთს, რუსეთის მხრივ მიტაცების რეალური საფრთხე დაემუქრა. რუსეთის მმართველმა წრემ ახლა მთელი სამხედრო და დიპლომატიურ-დივერსიული ძალა აამოქმედა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, პირველ რიგში აფხაზეთის დასასაკუთრებლად (როგორც ადლერ-სოჭის მხარის საბოლოოდ დასაუფლებლად).

დამოუკიდებელ საქართველოს რუს ბოლშევიკ-კომუნისტებზე არანაკლები საფრთხე შეუქმნეს რუსეთის მოხალისე თეთრგვარდიელი გენერლების დენიკინის, კოლჩაკის, ვრანგელის, ალექსეევის არმიებმა, რომლებმაც აფხაზეთის დროებითი ოკუპაციაც განახორციელეს და რომ არა საქართველოს სამხედრო რაზმები, ისინი აფხაზეთისა და შემდეგ საქართველოს დასავლეთი მხარის საბოლოო ოკუპაციასაც მოახდენდნენ ისე, როგორც თავის დროზე სოჭა-ადლერის მხარის.

ასეთ ვითარებაში ცარიზმის მსახური რუსი კოლონიზატორები, მაგალითად, ნ. ვორობიოვი 1919 წ. გამოსცემს კოლონიზატორული სულის და შავი ფერებით გამუქებულ ბროშურას “О неосновательности притязаний грузин на Сухумский округ (Абхазию)“, რომელშიც ის “ასაბუთებს“ რუსი თეთრგვარდიელი დენიკინის მიერ არა მხოლოდ გაგრის, არამედ მთელი აფხაზეთის კუთვნილება-დაჩემების კანონიერ საფუძვლიანობას; ასევე ლ. ვორონოვის მიერ მოსკოვში 1907 წელს გამოცემული სარკაზმით გაჟღენთილი ბროშურა “Абхазия - не Грузия“, რომელშიც ასევეა “დასაბუთებულია“ აფხაზეთის კუთვნილება არა საქართველოსადმი, არამედ რუსეთისადმი. ასევე კოლონიზატორულ-შოვინისტური ანუ ანტიქართული მოსაზრებებით გამოირჩეოდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები და მათდამი აქტიური მომხრე ა. დემიანოვი, გ. კოროლიოვი, დ. ზახაროვი და სხვები, ასევე მათი მოსყიდული აფხაზი სეპარატისტი მოღვაწეები: დ. ბაზბა, ა. ჩუკბარი, ს. ჭანბა, ვ. აგრბა, დ. ემუხვარი, გ. ზუხბაი, კ. ინალ-იფა, მ. ლაკობა, ი. მარღანია, დ.ალანია, ს. ბასარია, მ. ტარნავა, ვ. შერვაშიძე, მ. ცაგურია, დ. გულია (მე-20 ს. 50-იან წლებამდე) და სხვები.

ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, ნ. ბერძენიშვილი პ. რატიანისადმი პასუხში აღნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტს მხოლოდ 1951 წლიდან აქვს შედეგები აფხაზეთის ისტორიის შესწავლაში. მეცნიერი იმედს გამოთქვამს, რომ ინსტიტუტის ახალი წამოწყება გადალახავს აფხაზეთის შესწავლაში ჩამორჩენას და ნამდვილად მეცნიერულ შუქს შეიტანს საქართველოს ამ მხარის ისტორიის შესწავლაში და სამუდამოდ დაფლეთს იმ ანტიმეცნიერულ ქსელს, რომელსაც ასე გულმოდგინედ თხზავდნენ ასზე მეტი წლის მანძილზე ცარიზმის მსახური კოლონიზატორები და სხვა მათი მიმყოლნი.[1]

შემდეგ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ პ. რატიანისადმი პირდაპირი პასუხი წინასწარი და სახელდახელოა და არა საბოლოო, კერძოდ ის, რომ ფეოდალურ ხანაში აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უწინდელ ტომთა სიმრავლე დიდად შემცირებული ჩანს, რომ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულთა შორის "აფხაზთა საერისთავო" მხოლოდ ერთს ეწოდებოდა, რომელიც ახალ ათონსა (ანაკოფიას) და კაპოეტს (მდინარე ბზიფს) ან გაგრის ვიწრობს შორის მდებარეობდა.[2] მართალია, პირდაპირ არ ჩანს — თუ ეს ტომები სახელდობრ რა ენებზე მეტყველებდნენ — თუმცა მას ტომთა ვინაობის დასადგენად ენის მომენტი არ მიაჩნია ერთადერთ განმსაზღვრელად.[3]

აქვე ნ. ბერძენიშვილი მსჯელობს აფხაზთა წარმომავლობაზე და სვამს კითხვას, თუ ვინ იყვნენ ის ტომები, რომლებიც აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ უწინ და ბერძნულ წყაროებში არიან დამოწმებულნი (რა თქმა უნდა, იგულისხმებიან: სანიგები, კოლები, კორაქსები, აფხაზ-აბაზგები, აფშილები, მისიმიანები და სხვ., — გ.გ.) და აქვე წერს:

"მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოეპოვება იმისი საბუთი, რომ აფხაზეთში მობინადრე ეს ტომები უფრო შორს იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე ვთქვათ სვანები, მესხები, პერები. მარტო ის რად ღირს, რომ ქართული გადმოცემით ეგრისი ვრცელდებოდა ლიხის მთიდან ვიდრე ყუბანის მდინარემდე და შუა საუკუნეების "აფხაზთა საერისთავოც უძველეს დროიდანვე ეგრისის წილი იყო და რომ ქალაქი ბედია (აფშილეთში) დაარსებულია იმავე მეგრელთა ეპონიმის

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966; წ. IX. თბ., 1990. გვ. 277.
2. იქვე. გვ. 277.

(ჩამამთავრის) ეგრისის მიერ".[1]

სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება იმისი პირდაპირი ჩვენება თუ რა ენაზე მეტყველებდნენ სანიგები, კოლები, კორაქსები, აბაზგ-აფხაზები, აფშილები და მისიმიანები, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ენა განსხვავებული იყო (თუნდაც დიალექტურ დონეზე მაინც): აფშილები და მისიმიანები უცხო მსმენელისათვის სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და განსხვავებულ კანონებს მისდევდნენ: საგულისხმოა, რომ ასევე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აფხაზები და აფშილები (რომელთაც დარწმუნებული ვარ უსაბუთოდ ატყუპებენ ერთმანეთთან სახელწოდებების რაღაც ფორმალური მსგავსების საფუძველზე). ვფიქრობ, რომ აწინდელი აფხაზეთის ვერცერთი ტომი თუ ჯგუფი ცალკე ვერ ჩამოყალიბდა თავისთავად (თვითმყოფად) ეთნოსად თუ ხალხად, საბოლოო ჯამში ყველა ისინი შეეზარდნენ და შეერწყნენ აფხაზ-ქართველებს, ანუ ქართველებს.

ამისი პირდაპირი მაჩვენებელია: სანიგების,კოლების, კორაქსების (ქართველი სპეციალისტების აზრით სვან-ლაზების მკვიდრი ნათესავების), აგრეთვე აბაზგების (აფხაზების), ასევე განსაკუთრებით აფშილ-სვანების (იგივე მეგრელ-სვანების) უძველესი ნასახლარების ქართველური და ქართული ტოპონიმები და ჰიდრონიმები, მაგალითად: გაგრა (გაკრა, გაგარი), ბიჭვინთა (ფიჭვნარი), ბზიფი (ბზები), ლიხნი (ლუხუნი), გუმა (გუმის მთა), ცხუმი, ცუმური, სქიომარი, სხემარი, ფუსტა (ფუსდა), სკიტორი (კოდორი), წიბელი (წიფელი, წიფლნარი), ჯიხა-ხორა, მიქვი და ა.შ. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ზემო აღნიშნულ ტომთა თუ ჯგუფთა ნასახლარ ტერიტორიაზე არ მოგვეპოვება ე. ხოშტარია-ბროსეს მიერ ახლახან გამოგონებული "უძველესი აფსუური", აგრეთვე "მათი წინაპარი ადიღეური" ტოპონიმები და ჰიდრონიმები.

ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ტოპონიმიკა იგივე დედამიწის ენაა, რომელიც გამოხატავს მასზე მობინადრე ხალხის ნაკვალევს. თუნდაც ეს ოდინდელი ქართველური და ქართული ნაკვალევი მოწმობს იმას, რომ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ არა აფსუები და ე.წ. მათი წინაპარი ადიღეურ-ჩერქეზული ჯგუფები, არამედ

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966; გვ. 278.

ქართველური ტომები თუ მათი განშტოებები. ამასთან, შავი ზღვის სანაპიროზე ქართველთა ნასახლარ ტერიტორიებზე ნიკოპსია-სოჭი-ადლერის მიდამოებში შემდეგ ადიღეურ-ჩერქეზულიგოშებიც: ჯიქები, უბიხები, შაფსუღები, ნატუხაელები და სხვებიც ჩამოწვნენ.

საკითხავია – აწინდელ აფხაზეთში ძველად (თუნდაც ჩვ.წ. დასაწყისიდან) აფსუებს ან სხვა უცხო ტომებს რომ ეცხოვრა, მაშინ თავის საცხოვრის ტერიტორიაზე როგორ დაერქმეოდა მათთვის ისეთი უცხო ქართული სახელწოდებები, როგორიც ზემოთ ჩამოვთვალეთ?!

რა თქმა უნდა, ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას დასავლეთ საქართველოს ტომთა ეთნიკურ მონათესაობაზე ადასტურებს კოლხეთის არქეოლოგიური მონაცემები, ძველი ბერძნულ-ლათინური მწერლობის მონაცემები და სხვა. ამასთან, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, რანაირად შეიძლება ავხსნათ ერთ-ერთი ქართული საეპისკოპოსო-საკათალიკოსო ცენტრი ბიჭვინთაში, ასევე "აფხაზეთის სამეფოს"ტახტის არსებობა ქუთაისში, ასევე გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულში "აფხაზთა" ჩართვა, თუ "აფხაზი" ქართული ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი არ იყო: "რომ კულტურულ ისტორიულად საქართველოში "აფხაზი" იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, კახი, ჰერი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვა. ან კიდევ "კახელი", "ქართლელი", "გურული", "მეგრელი", "იმერელი", "აჭარელი" და ა.შ., რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ "ქართული" შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად "ქართველი" იყო".[1] სპეციალისტის მიერ ასეთი მეცნიერული პასუხის გაცემა მეცნიერისათვის იმდენად ძნელი არაა, რამდენადაც "ძნელია ამ პასუხით არასპეციალისტის დარწმუნება".[2]

ბ-ნმა ნიკომ იცოდა, რომ ამ ჭეშმარიტებაში საქმეში ჩაუხედავი-არასპეციალისტების დარწმუნება ძნელი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ როგორ და რანაირად წარმოიდგენდა, რომ ე.წ. მისი "მოწაფე" ე. ხოშტარია-ბროსე აფხაზეზე მისი შეხედულების შესახებ ურწმუნო არასპეციალისტი აღმოჩნდებოდა. რანაირად შეიძლება სპეციალისტმა წარმოიდგინოს, რომ აფხაზ-ქართველთა ათეულ საუკუნეთა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966: გვ. 279-280.
2. ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 280.

განმავლობაში მოპოვებული ურთიერთობისა და ერთობის შემდეგ "აფხაზზე იტყოდა, რომ ის მხოლოდ კულტურულ-ისტორიულად იყო ქართველი, ხოლო გენეტიკურად სხვა". რა დროს გენეტიკურ სხვაობაზეა ლაპარაკი ათეული საუკუნის წინ (VII-VIII ს-ზე ადრე) მოპოვებული ერთიანობის შემდეგ.

ამასთან, ნ. ბერძენიშვილი ქართველთაგან აფხაზების (მხედველობაში მყავს ძველი აფხაზები, და არა აფსუები) გაუცხოების ერთ-ერთ მიზეზად მეცნიერმა საქართველოს წახდენა-გადაშენების ოსმალური გეგმა მიიჩნია, რომლის ერთ-ერთი დასაყრდენი აფხაზეთის ჯიქები იყო... საქართველოს გადაშენებას (გარუსების გზით) ისახავდა მიზნად ცარიზმიც, ასევე XVI-XVII ს-ებში მოწოლილი ჩრდილო-კავკასიელი მომთაბარე აბაზები, აგრეთვე ადიღე-ჩერქეზებიც.

ნ. ბერძენიშვილის თქმით, მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა, საქართველოსათვის არც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა იყო ამ მხრივ მიანც და მაინც ხელსაყრელი და ნიავკეთილი, ცარიზმი ყოველნაირად აბრკოლებდა და აფერხებდა ქართველთა ერთიანობასა და კონსოლიდაციას, ის არაფერს ზოგავდა საქართველოს ძალების დაშლისათვის: "ცარიზმის აგენტ-კოლონიზატორები არაქართველებად აცხადებდნენ აფხაზებს, ქვემო გურულებს (ქობულეთელებს), მესხებს, კლარჯებს, შავშებს, აჭარლებს, აღმოსავლეთ კახელებს (ინგილოებს), მეგრელებს, სვანებს..."[1]

ამ მზაკვრული მიზნის განსახორციელებლად ცარიზმს ამოძრავებული ჰქონდა ძლიერი ადმინისტრაციული და "კულტურულ-მეცნიერული" აპარატი ქართველი ერის მოსაშლელად და გასაქრობად: "აი ამ უკულმართობის შედეგია – წერს ნ. ბერძენიშვილი – რომ ჩვენ დღეს მტკიცებაც კი გვჭირდება აფხაზების, მესხების (შავშ-კლარჯ-ტაოელთა), ლაზების,აჭარლების, ქობულეთელების და ინგილოების ქართველობისა"...[2]

აქაც მსურს საქმეში ჩაუხედავი არასპეციალისტების,მით უფრო ზოგიერთი ურწმუნო ისტორიკოსის – სახელდობრ, ე. ხოშტარია-ბროსეს თანამოაზრეების საყურადღებოდ და გასაგონად უნდა ითქვას,

---

1. ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 280.
2. ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 281.

რომ ნ. ბერძენიშვილი მთლიანად თვლიდა ძველ აფხაზებს ქართველებად და არა მხოლოდ ნახევრად "კულტურულ-ისტორიულად" (თქვენი გაგებით ვითომ სანახევროდ?!) ჯერ ერთი, ვინ ყოფს ჩამოყალიბებულ ეროვნებას თუ ერს ცალ-ცალკე კულტურული და გენეტიკური, ასევე ცალკე რასობრივი და ცალკე ტომობრივი, ენობრივი, ფსიქიკური და სხვა ნიშნებით?

ეროვნება თუ ერი საერთო ერთობაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის სხვადასხვა გენეტიკური, ეთნიკური, რასობრივი, ზნე-ჩვევის ადამიანთა ხანგრძლივი შერწყმისა და შეჯვარების შედეგად მიღებული მყარი ერთობაა, რომელსაც თავისებური სახე, კულტურა, ენა, ჩვევა (ზნე), ხასიათი აქვს.

აქედან გამომდინარე, ფეოდალური საქართველო თემობრიობის, ტომობრიობის, კუთხურობის გადალახვა-გაქრობის, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შედეგად გაჩენილი განვითარებული კულტურის ქვეყანაა.

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი ახასიათებს ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძეს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ბეგებს, ფაშებს, ერისთავ-მთავრებს და სხვებს, ვინც გვიან საშუალო საუკუნეებში საქართველოს დაშლას, გადაგვარება-გაქრობის საქმეს ემსახურებოდა, ვინც ღვთისა და ქვეყნის წინაშე პირშერცხვენილი იყო, ვინც ქვეყნის პოლიტიკურ ერთიანობას ეწინააღმდეგებოდა, ტომობრიობისაკენ ექაჩებოდა ქვეყანას, ეკონომიკური ძლიერებისა და პროგრესის მტერი იყო (ვინც არ უნდა ყოფილიყო ის: აჭარელი, მესხი, მეგრელი, აფხაზი, სვანი თუ სხვა), ქვეყნის ასეთივე მტერი იყო ყველა ის, ვინც მაჰმადიანობას ნერგავდა აფხაზეთში (ასევე აჭარა-გურიაში, სამცხე-ჯავახეთში, ქართლსა და კახეთში და სხვაგან), ვინც აფხაზეთში ანგრევდა და ბღალავდა ბიჭვინთის, ლიხნის, ანაკოფიის, ბედიის, დრანდის, მოქვის ტაძრებსა და სიწმინდეებს. ასევე საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის დაუძინებელი მტერი და მოღალატე იყო ის, ვინც აფხაზთა მოწყვეტას ლამობდა ქართველობისაგან, ვინც თავის ათასწლოვან კულტურულ და სულიერ წარსულს უარყოფდა და სხვ.

როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი კარგად ხედავდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას (იმას, თუ საბჭოთა იმპერიაში როგორ ღვივდებოდა საქართველოს წაშლის, ძა-

ლით გათქვეფის პროცესი "რუსული აფხაზეთის" შექმნისა და მისი საქართველოსგან მოწყვეტის გზით, როგორ იზრდებოდა აფხაზეთში სეპარატისტული ტენდენციები), ე.ი. საქართველოსგან მოწყვეტისა და გაუცხოების პროცესი, ამიტომ აღნიშნა: "რა არის აფხაზეთი თავისი წარსულის, ე.ი. საქართველოს ისტორიის გარეშე? როგორ შეიძლება საკუთარი ათასწლოვანი კულტურის უარყოფა და თავისი თავის დაკავშირება უკულტურობასთან?"[1]

ნ. ბერძენიშვილი სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეებს ისევ შეახსენებს და მიანიშნებს, თუ რა ვითარებას ჰქონდა ადგილი გვიან საშუალო საუკუნეებში, კერძოდ მე-16 მე-18 საუკუნეებში: "მთელი აფხაზეთი რომ სანთლით მოიხილო, იქ ვერ იპოვით ერთ უმნიშვნელო ძეგლსაც კი, რომლის წარმოშობა ამ ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის ხანას რომ უკავშირდებოდეს... ეკონომიკური დაცემა და კულტურული დაქვეითება, – ესაა ის, რაც თან მოჰქონდა აფხაზეთში ოსმალეთს... მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინთა, თუ სხვა ხომ ყველა ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია; ეს ხომ ქართული ფეოდალიზმია "მეფით", "თავადით", "აზნაურით", ქართული ჩვევებით, ეთიკით, ქრისტიანობით, ენით და ძლიერი აღმავალი შემოქმედებით, ქართული ფეოდალური კულტურით... ეს ხომ იმ ერთი აჭარელი უბადრუკის საქციელს ემსგავსებოდა, რომელმაც საკუთარი წინაპრის საფლავის ქვა (მარმარილოს) ფეხის ადგილად გამოსჭრა იმის გამო, რომ ხსენებულ ქვაზე ქრისტიანული წარწერა ეგულებოდა".[2]

ყოველივე ზემო აღნიშნულისა (აფხაზეთზე ე.წ. წინასწარული დასკვნების) და პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ფუნდამენტური მონოგრაფიის "გიორგი მერჩულეს" (1954 წ.) შემდეგ აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებით სეპარატისტებთან გამწვავებული წინააღმდეგობის გამო საჭირო იყო გამოჩენილი მეცნიერი ნ. ბერძენიშვილი უფრო მყარად შედგომოდა აფხაზეთის ისტორიის ინტენსიურ კვლევა-ძიებას, ეს მით უფრო აუცილებელი გახდა თუნდაც იმიტომ, რომ ქართველების წინააღმდეგ აფსუათა იდეოლოგებმა რამდენიმე პროვოკაციული ანტიქართული მიტინგი მოაწყვეს და პ.

1. ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 286.
2. იქვე. გვ. 286.

ინგოროყვას მკაცრი ლაშქრობა მოითხოვეს.

ვიდრე პ. ინგოროყვას შემოქმედებასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებათა გაშუქებას შევეხებით, საჭიროა მის თავდაპირველ ერთ-ერთ თვალსაჩინო შენიშვნას შევეხოთ. ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ "ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის ხანიდან მოყოლებული (ე.ი. უნდა ვივარაუდოთ დაახლოებით III-V საუკუნეებიდან – გ.გ.) აფხაზეთი საქართველოს ფეოდალური სამყაროს ისეთივე ორგანულ ნაწილს შეადგენდა, როგორც დასავლეთ საქართველოს ქართველი ტომები".[1]

მეცნიერის აზრით, აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობის საფუძველი იყო არა ურთიერთდაპყრობა არამედ აფხაზთა მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი შემოსვლა ქართველთა პოლიტიკურ და კულტურულ სამყაროში. ასეთი გაერთიანების საფუძველი კი ნ. ბერძენიშვილის თქმით მათ მეზობლობაში, ნათესაობასა და ხანგრძლივ ურთიერთობაში უნდა ვეძებოთ. ყოველ შემთხვევაში, ქართველი და აფხაზი ტომების ურთიერთ მონათესაობაზე აზრი ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა.[2] მან ჯერ აღნიშნა, რომ აფხაზები ქართველთა ერთ-ერთ შემადგენელ განშტოებად (მსგავსად მეგრელებისა და სვანებისა) და ნათესავად ჩათვალა. "აფხაზის" ცნებაში ის გულისხმობდა აფხაზეთში მობინადრე ჰენიოხ-სანიგებს, კოლებს, კორაქსებს, მოსხ-მესხებს, აფშილ-ლაზებს, სვან-მისიმიანებს და სხვა. აქვე ტომების მონათესაობაზე მსგავსი აზრი გამოთქვა დ. გულიამ თავის 1951 წ. გამოცემულ მონანიებაში – О моей книге - "История Абхазии", სადაც აღნიშნა, რომ "აფხაზეთში მობინადრე ტომები იმაზე შორს არ იდგნენ იბერ-ლაზებისაგან,ვიდრე ვთქვათ სვანები და მესხები.[3] შემდეგ დასძინა, რომ აფხაზეთი იყო საქართველოს ერთ-ერთი ორგანული ნაწილი, რომ აფხაზები ფაქტობრივად იგივე ქართველებია".[4]

ნ. ბერძენიშვილი აფხაზებისა და აფხაზეთის ერთიანობისა და იგივეობის მაჩვენებლად, პირველ რიგში, მათ კულტურულ ერთიანობას მიიჩნევს: "ფეოდალური ხანის აფხაზეთის კულტურა იგივე საქართ-

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966; გვ. 287.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ. 1960. გვ. 427.
3. Гулия Д. О. моей книге "Истории Абхазии". Сухуми. 1951. с. 14.
4. იქვე. გვ. 16.

ველის ფეოდალური კულტურაა. ესაა "ვეფხისტყაოსანის" კულტურა...". შემდეგ კი დასძენს, რომ ამ კულტურის შემოქმედი ფეოდალური ქართველი და აფხაზი საზოგადოებაა, რომლის შემოქმედებითი სახელმწიფო ენა ქართულია, ის იყო ფეოდალური საზოგადოების საეროსაეკლესიო, მწიგნობრობის, სახელმწიფო-ადმინისტრაციული საქმის წარმოების ენა და სხვ.[2] რაც შეეხება ქართულ თუ არაქართულ ენებს, მათ კილოკავებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოში არსებობდნენ საშინაო-საოჯახო დანიშნულებისდა რჩებოდნენ და ფაქტობრივად არაფერს არ წყვეტდნენ.

შემდეგ ნ. ბერძენიშვილი (პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულესადმი" მიძღვნილ რეცენზიაში რომელშიც ის "ღირსშესანიშნავ მეცნიერულ ნაწარმოებად" მიიჩნია, რომელშიც დასმული რიგი საკითხები მართებულადაა გადაჭრილი[3] კვლავ უბრუნდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აწინდელ აფხაზეთში მობინადრე ტომების (ანუ ეთნიკური ჯგუფების), კერძოდ, აფხაზების ("აბაზგების", რომლებიც ახალი წელთაღრიცხვით II ს-ში მოიხსენიებიან) ანაკოფიასა (ახალ ათონსა) და მდ. ბზიფს (კაპოეტს) შორის მოსახლედ (აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვამ ეს აბაზგები (აფხაზები) "აბასხებად" ანუ მესხებად მიიჩნია. ისიც უნდა ითქვას, რომ ნ. მარი ტერმინ "აფხაზს" – "მასხ-მესხს" უკავშირებდა). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ VII ს-ში აფხაზები და აფშილები (ეს უკანასკნელი ახ. წ. I ს-დან მოიხსენიება) გაერთიანებული არიანერთ სამთავროდ, რომლის ცენტრია ცხუმი. როგორც ვხედავთ, ქართული სახელწოდება "აფხაზეთის" ცნება უკვე გაფართოებულია და აფშილეთსაც მოიცავს.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ VI-VII ს-ებში ეგრისზე (ლაზეთზე) ბიზანტიის დაწოლა ძლიერდებოდა, რომლის მეფე ფაქტობრივად მთავრად გადააქცია. ჩანს, ამით ისარგებლა აფხაზთა მთავარმა, რომლის ინიციატივით შესაძლებელი გახდა დას. საქართველოს დანარჩენი ტომების გაერთიანება "აფხაზთა" ქართულ სამეფოდ (დედაქალაქი ქუთაისით). როგორც პ. ინგოროყვა და ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავენ, VIII ს. დასასრულს აფხაზთა მთავარმა ლეონმა თავი გაითავისუფლა ბიზანტიისადმი დამოკიდებულებისაგან და ამით

---

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966; გვ. 287.
2. იქვე. გვ. 288.
3. ჟურნალი "მნათობი", № 5, 1990. გვ. 138-145.

შესაძლებელი გახდა მთელი დას. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაც. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ბიზანტიის ბატონობისაგან განთავისუფლებაში ქართველი მოსახლეობის წამყვან როლზე თავისთავად მიგვითითებს ე.წ. "აფხაზთა სამეფოს" დედაქალაქის გადმოტანა ანაკოფიიდან ქუთაისში. ყველაფერთან ერთად "აფხაზთა სამეფოს" ქართულ შინაარსსა და ხასიათზე მეტყველებს ისიც, რომ მისი მართვა-გამგეობა ქართულ ენაზე სწარმოებდა, აგრეთვე მისი შემოქმედებითი (სწავლა-განათლების, საქმის წარმოების, ღვთისმსახურების დამთელი კულტურული შემოქმედების) ენა ქართული იყო, ქართული იყო ასევე სამეფოს მთელი პოლიტიკა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია "აფხაზთა" მეფეები ქართველთა მეფეები იყვნენ (ზოგიერთი უვიცი აცხადებს, რომ ვითომ ეს აფხაზი მეფეები- არაქართველები ან ბერძნები იყვნენ?!) და ხშირად "აფხაზთა სამეფო" ეწოდებოდა მთელ საქართველოს ("ყოველ საქართველოს") მე-13 საუკუნემდე (ზოგიერთი – ასევე უვიცი, გაკვირვებას გამოთქვამს "აფხაზთა" სამეფოს "ქართველთა" სამეფოდ სახელდების გამო, მათ არაფრით ესმით ის, რომ ეს სახელწოდებები ზოგჯერ ტერიტორიული პრინციპებისა და სიტუაციის მიხედვითაც იცვლებოდა, მაგ. "კოლხეთის სამეფო", "ეგრისის" სამეფო, "იმერეთის" სამეფო, "ქართლის" სამეფო, "კახეთის" სამეფო და ა.შ. ასეთი მოტივით გამოდის, რომ ჩამოთვლილი სამეფოები ქართველთა არ ყოფილა, ან მათი მეფეები ქართველები არ ყოფილან).

ხსენებულ მონოგრაფიაში პ. ინგოროყვას მტკიცებას "აფხაზთა სამეფოს" ქართულ ხასიათზე ნ. ბერძენიშვილი იწონებს: "პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია იმ საინტერესო გარემოებას, რომ ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი დასავლეთ ტომთა ჩამოთვლის დროს არ ახსენებს აფხაზებს ცალკე და მათ ეგრისელებს მიაკუთვნებს. პ. ინგოროყვას ეს გარემოება აფხაზთა ქართულ წარმოშობის საბუთად მიიჩნია. ნამდვილად კი ლეონტი მროველის ეს ცნობა, მისი დროის საქართველოს რეალურ ისტორიულ ვითარებას ასახავს. VIII ს. დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ საკუთრივ აფხაზეთი "აფხაზთა სამეფოში" საერისთავოს სახით შევიდა. ამიერიდან აფხაზები აღარ წარმოადგენდნენ რაიმე განსაკუთრებულ სხვა ქართულ საერისთავოებისაგან განსხვავებულ ერთეულს. ისინი ქართველებში იგულისხმებოდნენ და ქართველი ისტორიკოსიც მათ

მეგრულ-ლაზებს მიაკუთვნებს".[1]

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ აფხაზის ცნება დაახლოებით ასევე ესმით შუა საუკუნეების სომეხ ისტორიკოსებს. მაგ. იოანე კათალიკოსს (დრასხანაკერტელს), რომელიც აფხაზთა სინონიმად სმარობს მეგრელს ("მეგრელთა მეფე კონსტანტინე", – ამბობს ის აფხაზთა მეფეზე). აქ ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სომეხი ისტორიკოსი აფხაზების წარმომავლობაზე კი არ ლაპარაკობს (როგორც პ. ინგოროყვამ გაიგო), არამედ, ისტორიულ-ფაქტობრივ სინამდვილეზე: "...იოანე კათალიკოსს აფხაზები მიაჩნდა ქართველებად მეგრელებად) არა წარმოშობის თვალსაზრისით,არამედ ისტორიულად, კულტურულად, პოლიტიკურად. ადრევეც, – განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, – და განსაკუთრებით ჯერ დასავლურ-ქართულ, ხოლო შემდეგ მთლიან ქართულ სახელმწიფოში გაერთიანების შემდეგ აფხაზები საბოლოოდ ეზიარენ ქართულ კულტურას, IX ს-დან აფხაზთა სამეფოს ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორდა ბიზანტიას და დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის ტახტს დაექვემდებარა. განდევნა დასავლეთ საქართველოდან ბერძნული ენა და IX ს-დანგაბატონდა ქართული ენა, რადგან "აფხაზთა სამეფოს" სახელმწიფო, კულტურის ენა ქართული იყო".[2]

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომეხი ისტორიკოსების მსგავსად აფხაზებს ქართველებად მიიჩნევენ სხვა უცხოელი ისტორიკოსებიც. მაგალითად, XII ს. ბერძენი კომენტატორი იოანე ცეცე, ასევე იაჰია ანტიოქიელი, არაბი ისტორიკოსები: იაკუთი, ალ-მუჰიდი, ალ-კალკაშანდი, აბულ-ფიდა, ასევე თურქი ისტორიკოსები: მეჰმედ-რაშიდი, აბულ ჰასან ალი ბეიჰაყი, იბნ ისფანდი, ნეზამ ად-დ[ი]ნ შამი, შარაფ-ად-დინ ალი იეზიდი, ჰაფეზი აბრუ და სხვა.[3]

როდესაც ნ. ბერძენიშვილი "აფხაზების" ქართველობაზე ლაპარაკობს "კულტურულ-ისტორიულ-პოლიტიკურ" რაობაზე, აქ საქმე ეხება არა მათ ოდინდელ (უძველეს) გენეტიკურ წარმომავლობას, არამედ შუა საუკუნეებში (არა უგვიანეს VI-VII საუკუნეებიდან მაინც) შექმნილ ფაქტობრივ სურათს (მდგომარეობას), როდესაც დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებთან და ჯგუფებთან ერთად, ე.წ. აფხაზები

1. ჟურნალი "მნათობი", №5, 1990. გვ. 141.
2. იქვე. გვ. 142.
3. გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998. გვ. 60-82.

ყოველმხრივ შეეზარდნენ ქართულ სამყაროს (ენობრივად, კულტურულად, ფსიქიკურად, ზნეობრივად, ყოფა-ცხოვრებით და ა.შ.). საქმის არსის უცოდინარობაა იმისი წარმოდგენაც კი, რომ ქართველები, ან სხვა რომელიმე ერი "სუფთა და წმინდა" წარმოშობისაა, "გენეტიკურად ერთი ჯიშისაგან", "ერთი დედ-მამის", "გვარის" და თემისაგანაა წარმოშობილი, დედამიწის ზურგზე ასეთი ერი არ არსებობს- ნებისმიერი ეთნოსი და ხალხი, მით უფრო ეროვნება და ერი, სულ სხვადასხვა გვარის, ჯგუფის, ტომის, ჯიშის, რასის, ენის, ხასიათის, ყოფის და რწმენის ადამიანთა ნაჯვარია, მათი ხანგრძლივი ურთიერთობის, შეზრდისა და შერწყმის შედეგად მიღებული მყარი ერთობაა. ასეა წარმოშობილი და ჩამოყალიბებული ქართველი ერიც (როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ერი). ამიტომ, როდესაც აფხაზთა "კულტურულ-ისტორიულ" ქართველობაზეა მსჯელობა, საქმე ეხება ძველი აფხაზების (მხედველობაში არ მყავს ახალი ე.წ. "აფხაზები" ანუ აფსუები, რომლებიც ფაქტიურად რუსდებიან თუ უკვე გარუსდნენ) ქართველობას, გაქართველებას, ქართველებში შეზრდას, შერწყმას – არა მხოლოდ ნაწილობრივ (კულტურულად), არამედ მთლიანად (მნიშვნელობა არა აქვს თუ ვინ იყვნენ ისინი გენეტიკურად თუ ტომობრივად, წარმომავლობით თუ ენობრივად, იყვნენ თუ არ იყვნენ ისინი ქართველთა ნათესავი). თორემ რა გამოდის – აფხაზები თურმე "ნახევრად-კულტურულად-ქართველებია", ხოლო ნახევრად-აფხაზებია. საინტერესოა სად არსებობს ისეთი ერი, რომ ერთდროულად მთელიც იყოს და ამავდროულად ნახევრად სხვაა და ნახევრად სხვა, როგორც ეს ე. ხოშტარია-ბროსეს "თეორიის" მიხედვითაა. მას "აფხაზი ერის" განმსაზღვრელ და გადამწყვეტ საფუძვლად მიაჩნია "აფხაზი" – შიშველი სახელის არსებობა, აფხაზის, რომელიც მხოლოდ კულტურულად ყოფილა ქართველი, ხოლო სხვა მხრივ არაქართველი[1]. როგორც ჩანს, მისთვის საკმარისია ე.წ. განსხვავებული საოჯახო ენის ფლობა, აგრეთვე განსხვავებული – ოდინდელი გენეტიკური წარმომავლობა, ამიტომ მორჩა და გათავდა, ის თურმე ერია! თურმე ერისათვის საჭირო არ ყოფილა საერთო შემოქმედების შედეგად შექმნილი

---

1. ე. ხოშტარია-ბროსე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2000. გვ. 15. Хоштария-Броссе Э. Об этнической консолидации Абхазов. Сб., Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999. с. 239-255.

საკაცობრიო ან საქვეყნო ფასეულობა, მაღალი ეროვნული ღირებულება, რაიმე ამაღლებული და ღირებული ფენომენი: დამწერლობა, ლიტერატურა. მუსიკა, ხელოვნება, ყოფა-ცხოვრება და ა.შ. თურმე ყოველივე ამის-საკუთარი კულტურის გარეშე — აფხაზები "თვითმყოფადი" და კონსოლიდირებული ეთნოსი, ხალხი და ეროვნება ყოფილა (ზ. ანჩაბაძის მიხედვით — აფხაზებმა საკუთარი გზა და საფეხური განვლეს ფეოდალური ერიდან სოციალისტურ ერამდე). საკვირველი ის გაუგებრობაცაა, რომ დასავლეთ საქართველოში ვერცერთი სხვა ტომი (აფხაზებზე მაღლა მდგომი და მრავალრიცხოვანიც) ვერ გადაიქცა დამოუკიდებელ ეთნოსად, ხალხად და ერად, ვერცერთი მათგანის კონსოლიდაცია ვერ განხორციელდა ცალკე-დამოუკიდებელ თვითმყოფად ეროვნებად და ერად, მათ შორის ისეთისაც კი, როგორიც ლაზები იყვნენ. დიახ, ასეთია დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროცესის სწორი ანალიზის შედეგები, რაც ზოგიერთ მკვლევარს თავდაყირა აქვს წარმოდგენილი.

ამ ყოვლად აბსურდული მოსაზრების უარსაყოფი პასუხი.ერთი მხრივ, ისიც უნდა იყოს, რომ აფხაზეთში მცხოვრები საკუთრივ აფხაზები (არც ძველად და არც ახალ დროში) კიდევაც რომ ისინი არაქართველებად მივიჩნიოთ, მთელი მოსახლეობის 15-20 პროცენტზე მეტს არასოდეს წარმოადგენდნენ. მით უფრო მე-17 საუკუნიდან, როდესაც აფხაზად წოდებული აბაზა-აფსუები ჩამოწვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამასთან ამ აფსუების აბსოლუტურმა უმრავლესობამაც მუჰაჯირების სახით მე-19 ს-ის 60-იანი წლებიდან, რუსეთის დაწოლით, თურქეთში ამოყო თავი. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს დროში ე.წ. აფხაზი (აფსუა) მოსახლეობა აფხაზეთში ქართველებთან შეფარდებით ნახევარსაც კი ვერ შეადგენდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ აფსუებს არ დასჭირდებოდათ რუსეთის დახმარებით აფხაზეთში ქართველთა გენოციდის და ეთნოწმენდის განხორციელება.

ახლა კვლავ იმაზე, თუ როგორ განასხვავებდა აფხაზებს ერთიმეორისაგან ნ. ბერძენიშვილი. საქმე ისაა, რომ თათარ-მონღოლთა შემოსევა-ბატონობის (განსაკუთრებით თემურ ლენგის რვაგზის გამანადგურებელი ლაშქრობის) და საქართველოს პოლიტიკური დაშლის, ქვეყნის შიგნით გაჩაღებული ძმათამკვლელი ომის შემდეგ დასუსტებულ საქართველოს ჩრდილოკავკასიელი მთიელებიც მოაწვნენ და აფხაზეთში კატასტროფული ვითარება შეიქმნა. ადგილობრივი მოსახ-

ლეობის შემცირების გამო აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლში აბაზა-აფსუები და ადიღე-ჩერქეზთა ჯგუფები მოდიან ზოგჯერ ხიზნების, ზოგჯერაც დამპყრობისა და მეკობრის სახით და მკვიდრდებიან.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთ მკვლევარს გვიან საშუალო საუკუნეების აფხაზეთის დემოგრაფიული პროცესი თავდაყირა აქვს წარმოდგენილი: თითქოს გვიან საშუალო საუკუნეებში აფხაზეთში კი არ ჩამოწვა ჩრდილო კავკასიის მთიელები, არამედ პირიქით, მოსახლეობა აფხაზეთიდან ჩრდილო კავკასიისაკენ მიედინებოდა და, ვითომ ასე ხდებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდ.-აღმოსავლეთ სანაპიროდან აბაზების (აფხაზების?) მრავალრიცხოვანი ტომების გადასახლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ასეთი მოსაზრების მკვლევარები არავითარ ანგარიშს არ უწევენ რეალობას; ჯერ ერთი, შავი ზღვის სანაპიროზე არავითარი (მით უფრო მრავალრიცხოვანი) აბაზათა ტომები (მათი სახელის გავრცელება აფხაზებზე და ამ უკანასკნელის 25 ტომიან ხალხად მონათვლა საერთოდ გაუგებრობაა და თურქი მოგზაურის ევლია ჩელების გაურკვეველი თხზულებიდან მომდინარეობს), მეორეც, თუ ჩვენ ხალხთა მოძრაობის ისტორიულ პროცესს დავაკვირდებით — ნათლად ვნახავთ, რომ ხალხთა მოძრაობას შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილო კავკასიისაკენ კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ პირიქით — ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მაგალითად, ასე გადაადგილდნენ და დამკვიდრდნენ ჩრდილოეთიდან ანაკოფია-ტუაფსე-სოჭა-ადლერში (ნაწილობრივ აფხაზეთშიც) ადიღე-ჩერქეზები, მათ შორის: ნატუხაელები, შაფსუღები, უბიხები და ჯიქები; მესამეც, კონკრეტულად XIII-XV ს-ებში ჩრდილო კავკასიაში თათარ-მონღოლთა მიერ დატრიალებული ტრაგედიის — ხოცვა-ჟლეტის გამო მასობრივად დაიცალა ქვეყანა, დარჩენილი მოსახლეობა კავკასიის მთებსა და სამხრეთისაკენ გადმოსასვლელებს მოაწყდა, ცხადია, მათ შორის აფხაზეთსაც.

სწორედ ამ პროცესს აგვიწერს ნ. ბერძენიშვილი, როდესაც აღმ. საქართველოში დაღესტნელები ("ლეკები") ჩამოწვნენ, და ჭარ-ბელაქანში დამკვიდრდნენ, შიდა ქართლის მთიანეთში — ოსები, ხოლო აფხაზეთში — აბაზა-აფსუები და ნაწილობრივ ჩერქეზები (სვანეთი კი ვერცერთმა ჩრდილოელმა მომხდურმა ვერ გადმოლახა).

" როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, თუ ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები შუა საუკუნეების (განსაკუთრებით გან-

ვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანის) აფხაზეთს გვიხასიათებენ როგორც საქართველოს ორგანულ მხარეს, როგორც მეურნეობრივად, სოციალურად, კულტურულად, სარწმუნოებრივად და პოლიტიკურად დაწინაურებულ ქვეყანას, XVI-XVII ს-ებიდან ის ხასიათდება როგორც ჩამორჩენილი ეკონომიკისა და კულტურის ქვეყანა გვაროვნული წყობილებითა და წარმართული რელიგიით. მეცნიერის აზრით, ყოველივე ამას არა მხოლოდ წერილობითი მონაცემები, ეთნოგრაფიული მასალები, მატერიალური კულტურის მონაცემები (ეკლესია-მონასტრების დაცემა) ადასტურებს, არამედ უცხოელი მისიონერების ნანახი, აღწერები და შთაბეჭდილებებიც. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: XVI-XVII ს-ებიდან აფხაზეთში ხდება ძირფესვიანი გარდატეხა: ზედიზედ უქმდება და ქრება საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა.

ნ. ბერძენიშვილი სვამს კითხვას – რამ გამოიწვია აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემა? და იქვე დასძენს: სავსებით დაუჯერებელია, რომ ესოდენ ინტენსიურ, ფეოდალურ-ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორც იყო აფხაზეთი, საიდანაც ქრისტიანობა იმიერკავკასიის ხალხებშიაც კი ვრცელდებოდა, ქრისტიანობა თავისთავად გამქრალიყო და მისი ადგილი პირველყოფილურ სარწმუნოებას დაეკავებინა, რომ არ მომხდარიყო ის, რასაც არაერთგან ჰქონდა საქართველოში ადგილი – ეს იყო მთის ჩამოწოლა – ჩრდილო კავკასიელი წარმართი მთიელების ჩამოსახლება.

პ. ინგოროყვას მონოგრაფიის შესახებ რეცენზიის დასასრულს ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზოგიერთი საკითხის ნაკლები სისრულით გაშუქებისა, პ. ინგოროყვას დამსახურება აფხაზეთის ისტორიის შესწავლაში – რიგი დებულებების სწორად გადაწყვეტაში – უდავოა. ავტორმა საგრძნობლად წასწია წინ საქართველოს ისტორიის ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის საქმე.[1] პ. ინგოროყვას მონოგრაფიის რეცენზიაში ამგვარი მეცნიერული აზრების განვითარება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ კრემლისადმი მორჩილმა საქართველოს მარიონეტულმა ხელისუფლებამ დაატყვევა და დააპატიმრა ნ. ბერძენიშვილის რეცენზიაც და საერთოდ მე-20 ს-ის 60-იანი წლებიდან აფხაზეთზე გამოთქმული სხვა სალი მეცნიერული მოსაზრებები, რომლებიც სტამბაშივე იქნა ნ. ბერძენიშვილის

1. ჟურნალი "მნათობი", №5, 1990. გვ. 145.

სხვა ნაშრომებიდან ამოღებული და მხოლოდ 1990 წელს ეღირსა გამოქვეყნება და დღის სინათლე.

როდესაც საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის უბადლო სპეციალისტი ნ. ბერძენიშვილი ცნობილი მკვლევარის ზურაბ ანჩაბაძის შეხედულებას გაეცნო აფხაზეთზე, რომლის მიხედვითაც ჰენიოხები, სანიგები, კოლები, კორაქსები, აბაზგები (აფხაზები), აფშილები, მისიმიანები და სხვები (ყველა ვინც საერთოდ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მოიხსენიება) თანამედროვე აფხაზთა (უფრო სწორად — აფსუათა) წინაპრებად — არაქართველებად არიან მიჩნეულნი, ასევე მის მტკიცებას, რომ აფხაზები "თავისთავადი" — დამოუკიდებელი ეთნოსი, ეროვნება და ერია, გაოცება ვერ დამალა და კატეგორიულად უარყო ეს.

ნ. ბერძენიშვილმა მიუღებლად ჩათვალა ზ. ანჩაბაძის მოსაზრება, იმის შესახებ, რომ თითქოს "ლეონ ერისთავის დროს (ე.ი. "აფხაზთა სამეფოს" შექმნის დასაწყისში — VIII ს. ბოლოო მეოთხედში) ეგრის წყლიდან ვიდრე ხაზარეთის (ანუ ყუბანის) მდინარემდე აფხაზი ეროვნების კონსოლიდაცია მოხდა". ნ. ბერძენიშვილი დასძენს "სადაა ადგილი იმისთვის, რომ "აფხაზი ეროვნების კონსოლიდაცია "ეგრის წყლიდან ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე ვიგულისხმოთ, როგორც ამას ამტკიცებს ზ. ანჩაბაძე?"[1]

სხვა ადგილას ნ. ბერძენიშვილი წერს: "თვლიდნენ კი ზ. ანჩაბაძისეულ "ერებს" საშუალო საუკუნეების საქართველოში ცალკე კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულებად? ან ჰქონდათ კი ამ ერებს სეპარატისტული მიდრეკილება? იმ დროს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ აფხაზი, სვანი, დვალი, ლუნძი, ლეკი, თურქი თუ სომეხი, ჰერი თუ ოსი ქართები არ იყვნენ, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ყველა ესენი ერთნაირად შორს არ იდგნენ ქართისაგან... თუ ლეონტი მროველით ქართლოსის ოჯახში არ იგულისხმებიან სვანები, მეგრელები, დვალები, ჰერები, — გიორგი მერჩულე ყველა ამათ ქართლში ათავსებს და მისი "ქართლიდან" მხოლოდ სომხია გამორიცხული".[2]

ქვემოთ ნ. ბერძენიშვილი ეთნიკურ მომენტზე ამახვილებს

---

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990. გვ. 157-158.
2. ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 413-414.

ყურადღებას და აღნიშნავს,რომ მერჩულე ქართლის შინაარსის გარკვევისას ეთნიკურ მომენტს არ ანიჭებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას (როგორც ლეონტი მროველი), არამედ მისთვის მთავარია პოლიტიკურ-კულტურული მომენტი. ამიტომ მერჩულეს მიხედვით თუ დღეს სომეხი ან თურქი არ შედის “ქართველის ცნებაში“, ხვალ შეიძლება ისინიც “ქართველები“ გახდნენ, თუ ისინი ქართულ-პოლიტიკურ წესობას ეზიარებიან.[1]

ჩამოყალიბებული (კონსოლიდირებულ) ეთნოსის თუ ეროვნებისა და ერის ცნების განსაზღვრაში ნ. ბერძენიშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულ, ენობრივ, პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ფაქტორებს (ბუნებრივია ტერიტორიულ და ეკონომიკურ მომენტებთან ერთად).

როდესაც ნ. ბერძენიშვილი ძველი აფხაზების ქართველობას ამტკიცებს, ყურადღებას ამახვილებს არა იმაზე, რისი საბუთიც არა აქვს და არც არასოდეს გვექნება – ვინ იყვნენ ისინი და, ვთქვათ,მათი წინაპარნი, ან წინაპრის-წინაპარი, ან რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი? ამისი გაგება ახლა წყლის ნაყვაა, უნაყოფო ძიებაა. მეცნიერი აანალიზებს ფაქტს – აფხაზების ქართველობის, “აფხაზთა სამეფოს“ ქართულ ხასიათს. ამაზე პასუხს კი იმ ისტორიულ პროცესში ეძებს, რომელიც ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ხდებოდა დას. საქართველოში და კერძოდ აფხაზეთად სახელდებულ მიწა-წყალზე. ნ. ბერძენიშვილმა რომაულ, ბერძნულ და სხვა წყაროებიდანაც კარგად იცის, რომ აფხაზეთში ჩვ.წ. აღ-მდე და შემდეგაც მრავალი ტომი თუ ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა, მათ შორის ჰენიოხები, სანიგები, კოლები, კორაქსები, მესხები(?), აფშილები, აბაზგები, მისიმიანები და სხვ. მან კარგად იცის ასევე ისიც, რომ ეს ტომები თუ ჯგუფები თანდათან ქრებიან და ერთიანდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ასიმილაციურ პროცესს განიცდიდნენ და ურთიერთში ითქვიფებოდნენ, ერთი მეორეს ერწყმოდნენ. ამის მაჩვენებელია ის, რომ ადრე დაწყებული ასიმილაციის პროცესი VIII ს-ში აფხაზეთშიც უკვე ძირითადად დამთავრებული იყო, რომლის შედეგად ქართული – “აფხაზთა სამეფო“ მივიღეთ.[2]

როდესაც ნ. ბერძენიშვილი ასიმილაციურ პროცესზე მსჯელობს,

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 414.
2. იქვე. გვ. 604.

აღნიშნავს, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს გენეტიკურ (სისხლით) ნათესაობას (ე.ი. ნათესაობას თუ არანათესაობას). მაგალითად, VI ს-ში აფშილები არაფრით განსხვავდებოდა ლაზებისაგან (ე.ი. მათში იყვნენ გათქვეფილნი), ასევე, როდესაც ქართმა მოუსწრო აფშილების ბედი გაიზიარეს ლაზებმაც, რომლებიც ასევე გაქართდნენ და გაქართველდნენ. ამასთან, აღნიშნავს ის, რომ ამ პროცესში არსებითი ანუ პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვისი ასიმილაცია ხდებოდა – ქართველური ტომების თუ არაქართველურის (პრცესი ყველასათვის ერთი იყო), ნათესაობა მხოლოდ ხელისშემწყობი შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ არაფრით არ შეიძლება იმისი გაზიარება, რომ თითქოს ეს პროცესი არ შეეხო ე.წ. აფხაზებს, რომლებიც ვითომ ცალკე ჩამოყალიბდნენ, "თვითმყოფად-დამოუკიდებელ ეთნოსად" და ასე ვთქვათ "ეროვნებად" და 'სოციალისტურ ერად".

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ ფეოდალურ ეროვნებად ჩამოყალიბებისათვის აფხაზებს არც კოლხური სახელმწიფოებრივი ტრადიცია გააჩნდა და არც სხვა რეალური საფუძველი. მას ეროვნების თუ ერის შექმნის რეალურ საშუალებად სახელმწიფო ორგანიზაციის გარდა, საკუთარი შემოქმედების, ენის, საკუთარი კულტურისა და სხვა ნიშნების არსებობასაც მიიჩნევს: "აფხაზთა ისტორიული სამეფო ყოვლად უარყოფს აფხაზური ფეოდალური ეროვნების კონსოლიდაციას".[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ბერძენიშვილი ეროვნების თუ ერის ჩამოყალიბების საკითხში ნათესაურ (გენეტიკურ) წარმომავლობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამასთან, ის ძველ აფხაზებს ქართველებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ აფხაზთა დინასტია (ლეონიდები) ქართულ კულტურულ წრეში იყვნენ მოქცეულნი და ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ. ის ერთიმეორეს უდარებს შარვაშიძეს (ე.წ. "ჩაჩბად" მონათლულს), მარუშიანს, მარშანიას და მარუშისძეს და აღნიშნავს, რომ მათ საქართველოს პატრიოტობაში ვერავინ შეედრებოდა. შემდეგ დასძენს, რომ დას. საქართველოს ტომების ეთნიკური შერწყმა თავიდანვე მიმდინარეობდა, V ს-ში აფშილები უკვე ქართულ სამყაროში შედიან, ხოლო VII-X ს-ებში უკვე მთელი აფხაზეთი. მეცნიერი აქვე ახასიათებს ქართლოსისა და ეგროსის წილხვედრილ "ქვეყნებს" (მათ შორის სვანეთსა და აფხაზეთს) და

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 592-593).

წერს: "ყველა ესენი "ქართველები" იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით". ამ თვალსაზრისით, ამდენადვე აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი... ამას ისე გრძნობდა იოანე მარუშის ძე, ან ოთაღო შარვაშის ძე და ცოტნე დადიანი, კახაბერ გურიელი და ბექა ჯაყელი".[1]

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი აქაც პირდაპირ და ნათლად გამოხატავს თავის მოსაზრებას ძველი აფხაზების ქართველობის შესახებ, რომ ის აფხაზებს ისეთივე ქართველად თვლის, როგორც მეგრელს, ქართლელს, როგორც სვანს, რაჭველს, ლეჩხუმელს, იმერელს, გურულს, აჭარელს, მესხს, ჯავახს, კახელს, თუშს, ფშაველს, ხევსურს, მთიულს და ა.შ. (ეს სახელწოდებები დღეს ქართველთა უძველესი გვარ-ტომობრივი და ტერიტორიულ-კუთხური ცნებების სიმბოლური გამოხატულებებია, ასე ვთქვათ, გადმონაშთური სახელწოდებებია, დღეს ყველა მათგანი ქართველია).

ყოველივე ამასთან ნ. ბერძენიშვილი მკვეთრად ანსხვავებს ერთიმეორისაგან ძველ და ახალ აფხაზებს. აი, რას ამბობს ნ. ბერძენიშვილი, როცა ეხება ს. ჯანაშიას დამოკიდებულებას "აწანგუარებისადმი"! -"ეს შეიძლება აწინდელი აფხაზებისა იყოს და იმ ძველ აფხაზებთან კავშირი არ ჰქონდეს".[2]

ნ. ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი არავითარ ზღვარს არ ავლებს ძველ და ახალ აფხაზებს შორის, კიდევ მეტი, თუ უწინ კატეგორიულად მიიჩნევდა "აფსუას" ცნების არარსებობას ჩემი და ჩემი თანამოაზრეების გამოგონებად — ანტიმეცნიერულ და ანტიპოლიტიკურ სახელწოდებად მიიჩნევდა მას, ახლა მეორე უკიდურესობამდე მივიდა — ვითომ ისე, როგორც თანამედროვე, აგრეთვე ძველი აფხაზებიც აფსუები იყვნენ. ამ კატეგორიის ერთ-ერთი ავტორთაგანი ახლა აცხადებს (ლამობს დაამტკიცოს), რომ ეს აფსუები I-II ს-იდან (და უფრო ადრიდან) ცხოვრობდნენ და დღემდე უწყვეტად ცხოვრობენ აფხაზეთში, რგორც "თვითმყოფა-

---

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990. გვ. 608.
2. იქვე. გვ. 555.

და ეთნიოსი“ და “ერთიკნება“.

ნ. ბერძენიშვილი მკაფიოდ მიჯნავს და განსაზღვრავს ჩრდილო კავკასიელთა, მაგალითად, ლეკთა და ოსთა მოძალებისა და ჩამოსახლების პროცესს საქართველოში – ესაა საქართველოს დასუსტებისა და პოლიტიკური დაშლის თანდამყოლი პერიოდი. ის წერს, რომ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე აფხაზეთში:. “მაშასადამე, აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართულ-ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ, იყო იმავე დროს ბრძოლა ქართულის წინააღმდეგ და აფხაზეთი მიიქცა წარმართად... შემდეგ განაგრძობს, – აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას... და იწყო “გააფხაზება“ არა მარტო მოძმე აფხაზებმა (ბარელებმა)... ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შეიქმნა აფხაზობა (ადრეული ფეოდალიზმი)... და შეიქმნა ახალი აფხაზეთი“.[1]

თუ რა შინაარსს დებს ნ. ბერძენიშვილი ახალ აფხაზეთში, ამასაც აქვე განმარტავს სათანადო წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით. მისი თქმით, ახლად მოსული ხალხი (ე.ი. აფსუა-აბაზები – გ.გ.) ტყეებში სახლდება გვარებად, თავის დასახლებას ღობითა და ღრმა თხრილით საზღვრავს, ის ქალაქებსა და ციხეებში არ სახლდება, გარდაცვლილს ხის ორეში დებს და მიწაში დასაფლავების ნაცვლად ხის კენწეროზე კიდებს, ეკლესია-მონასტრებს არ ეკარება და არ პატრონობს (პირიქით არბევს მათ სამწყსო სოფლებს, მაგ. – ნაქანეულის განადგურება და სხვ.), ახლად ჩამოსახლებულ ადამიანებს თევზი ეზიზღება (როცა უწინ ის საეკლესიო გადასახადს წარმოადგენდა). ე.ი. ახლად-ტომობრივად ჩამოსახლებულმა ხალხმა ძირფესვიანად შეცვალა აფხაზეთის მეურნეობის წესები და სისტემა: მიწისმოქმედება-მესაქონლეობით, ქრისტიანობა-წარმართობით და ა.შ.

ყოველივე ამის გამო ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: “ზემოთ მოყვანილი დაქინებული მოწმობანი იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს ყოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ, ისინიმეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, – ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII ს-ის აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსული ბარში. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990. გვ. 609-610.

ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ. თუ მათ მიწის საკუთრება აქვთ, ის უთუოდ ამ ინსტიტუტის დასაწყისი სტადია შეიძლება იყოს, რამდენადაც აფხაზები უმთავრესად მეჯოგეობას მისდევენ და არა მიწათმოქმედებას..."[1]

შემდეგ ნ. ბერძენიშვილი კვლავ კითხულობს – "მაშ რა მოხდა?" და კატეგორიულად წერს: "მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არა ერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი".[2]

ასეთია მოკლედ ნ. ბერძენიშვილის დასკვნები და დებულებები აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, რაც დღესაც სახელმძღვანელოა საღად მოაზროვნე სპეციალისტებისათვის და ვფიქრობ, არც არასოდეს დაკარგავენ თავიანთ მეცნიერულ მნიშვნელობას.

მეცნიერის უდავო დებულებებს და დასკვნებს ძველი და ახალი აფხაზების (აფსუების – გ.გ.) ყოფით განსხვავებაზე, ახალი ე.წ. "აფხაზების" ჩრდილოეთ კავკასიიდან (და არა ე.წ. "აფხაზეთის მთებიდან", როგორც ამას საქმეში ჩაუხედავი და თავდაჯერებული ავტორი ე. ხოშტარია – ბროსე აცხადებს. საერთოდ, სად აქვს აფხაზეთს იმხელა მასშტაბის მთები, რომ მრავალრიცხოვან ადამიანთა ნაკადები დაეტია?!) ჩამოსახლების შესახებ ნათლად მტკიცდება იტალიელი კარტოგრაფის ჯ. გასტალდის მიერ 1561 წ. შედგენილი რუკით, რომელშიც "აფსუას რეგიონი", აგრეთვე სახელწოდება "აკვა"-"აყვა" (გვიან ცხუმსოხუმს რომ შეარქვეს აფსუებმა) ყუბანის შუა წელშია დაფიქსირებული (ასევე სოფელი "აფსუა" ყუბანის სათავეში). ე.ი. აფსუათა ძირითადი მასა-აბაზები, ანუ აშხარელები (იგივე შკარაუალები) ჯერ კიდევ XVI ს-ის შუა ხანებში ყუბანისპირეთში ბინადრობდა და შემდეგ

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990. გვ. 614.
2. იქვე. გვ. 615.

ჩამოწვა აფხაზეთში.

აფსუა-აბაზების აფხაზეთში ჩამოსახლების პროცესს ადასტურებს პეტრე დიდის თანამედროვე რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი, სამხედრო ისტორიკოსი ა. დიაჩკოვ-ტარასოვ, აგრეთვე სხვა არაერთი ისტორიკოსი, ასევე არაერთი კარტოგრაფიის რუკა, საქართველოში მოღვაწე უცხოელი მისიონერები, ასევე აფსუურ-აფხაზური ფოლკლორი, ეთნოგრაფიული გადმოცემა და სხვა მრავალი.[1]

აფსუათა აფხაზეთში გვიან ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ბევრის მეტყველია გამოჩენილი მეცნიერის ს. ჯანაშიას დაკვირვება აფსუურ-აფხაზურ ენაზე, კერძოდ ი.ა. გიულდენშტედტის მიერ XVIII ს-ის 70-იან წლებში შედგენილ "გერმანულ-აფხაზურ ვოკაბულარზე". ამ უკანასკნელის შედარებამ თანამედროვე აფხაზური ენის ლექსიკასთან მეცნიერი დაარწმუნა იმაში, რომ ა თავკიდური ანუ წინსართი, ასე მრავლად რომ ახასიათებს თანამედროვე აფსუურ-აფხაზურ ენას, XVIII ს-ში, ჯერ კიდევ, შეზრდილი და შეხორცებული არ არის აფხაზურ ლექსიკურ მასასთან,[2] მით უფრო – ქართულ ტერმინებთან, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ა თავკიდური მხოლოდ ამის შემდეგ შეეზარდა აფსუურს და ბუნებრივია ქართულ ტერმინებს, მაგალითად, ათავადი (თავადი), აშინაკუმა (შინაყმა), აკვსკე (კვასქე მიწა), აკალმახ (კალმახი), აფლოტ (ფლოტი), ააფრა (აფრა) და სხვა მრავალი. აფსუებს რომ უძველესი დროიდან (თავიდან) ეცხოვრათ აფხაზეთში, ქართველების გვერდით, მაშინ ასეთი მოვლენა გამორიცხული იქნებოდა.

რაც შეეხება საკითხს – თუ რა მოხდა აფხაზეთში აფსუების ტომობრივი ჩამოსახლების შემდეგ, სახელდობრ, ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის დაპატრონების შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთიდან აფსუა-აბაზების ჩამოსახლებამდე და შემდეგაც აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთიდან აწვებიან ადიღე-ჩერქეზები(ჯიქების, უბიხების, შაფსუღების, ნატუხაელების და სხვათა სახით). როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, სწორედ ისინი დაიგულა მტაცებელმა ოსმალეთმა დასაყრდენად საქართველოს სიმტკიცის გასატეხად და წასახდენად: "ამიერიდან სოხუმში, ახალციხეში, ბათუმში ეწყობოდა საქართველოს წახდენა-გადაშენების ოსმალური

1. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959. გვ. 7.
2. იქვე. გვ. 214-215, 220.

გეგმები. ახალციხისა და სოხუმის ფაშები თუ ბათუმის მუტასარიფები იყვნენ ოსმალეთის აგრესიის მოწინავე დროშის მეთაურები. ქართული ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაცლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მსყიდველთა ველურ ბუნაგად..."[1]

ყოველივე ამას დედა-სამშობლოსაგან მოწყვეტილი ძველი-ქრისტიანი აფხაზების ყოველმხრივ შევიწროება და სულიერი გადაგვარებაც მოჰყვა. რაკი დაშლილ-დაქუცმაცებულმა და ძმათა მკვლელი შინაომით გათანგულმა და ჩაძირულმა საქართველომ ძალა ვერ წამოატანა-აფხაზეთში ქრისტიანობა და ქრისტიანული კერები მოიშალა, ძველი აფხაზების უდიდესი ნაწილი გამაჰმადიანდა და გაწარმართდა (აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მსგავსად). შემთხვევით როდი წერს ნ. ბერძენიშვილი: "მთელი აფხაზეთი რომ სანთლით მოიხილოთ, იქ ვერ იპოვით ერთ უმნიშვნელო ძეგლსაცკი, რომლის წარმოშობა ამ ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის ხანას უკავშირდებოდეს".[2]

მაჰმადიანური ოსმალეთის გავლენითა და დახმარებით მოხდა აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება და გაფართოება. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, ის საქართველოს სხვა სამთავროებთან შედარებით თითქმის ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა (XVII ს-ში). მისივე განსჯით, აფხაზეთი უწინ დადიან-ბედიანის საერისთავთერისთავოში შედიოდა, ხოლო შემდეგ იგივე (ოდიშის) სამთავროში. აფხაზეთი აწინდელი მოცულობით მხოლოდ XVII ს-ის II-ნახევარში ჩამოიკვეთა, რიცა მის შემადგენლობაში ოსმალეთის დახმარებით დაპყრობილ იქნა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე.[3]

შემდეგ 1810 წელს რუსეთმა დაიპყრო აფხაზეთი. მართალია ახლა აფხაზთა გამაჰმადიანება-გაოსმალება შეჩერდა, მაგრამ სამაგიეროდ ქრისტიანობის აღდგენა და მათი გარუსება დაიწყო, რასაც არა მხოლოდ აფსუები აუმხედრდა, არამედ მთელი მაჰმადიანური კავკასია. ყველაფერი ეს კავკასიელ მთიელთა ეროვნულ და საღვთო ომში გადაიზარდა, რაც მესამედ საუკუნეზე დიდხანს გაგრძელდა და ხოც-

---

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966; გვ. 280.
2. იქვე. გვ. 286.
3. იქვე. გვ. 288.

ვა-ქლეტასთან ერთად მაჰმადიან მთიელთა თურქეთში გადასახლებით (მუჰაჯირობით) დამთავრდა. ამ მოძრაობის ფაქტიური მონაწილე იყვნენ აფსუები, რომელთა აჯანყების გამო (1866 წ.), ისინი ცარიზმმა სასტიკად დასაჯა – აფხაზეთიდან თურქეთში გააქცია და გადაასახლა 20 ათასზე მეტი ადამიანი.

აფსუა-აფხაზთა წინააღმდეგობის დათრგუნვის შემდეგ მეფის რუსეთმა აფხაზეთში თავისი მმართველობა და კანონები შემოიღო, რასაც აფხაზეთის კოლონიზაცია (35-მდე ახალი სოფელი დააარსა) და ფართო რუსიფიკაციის დაწყება მოჰყვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსული აფხაზეთის შექმნას იქ ქართული ენისა და კულტურის – ქართველთა წინააღმდეგობა გადაეღობა. ამასობაში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია და რუსეთის იმპერიის დაცემაც განხორციელდა, რასაც ამიერკავკასიის გამოყოფა და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მიპოვება მოჰყვა.

რა თქმა უნდა, მიუხედავად ცარიზმის დამხობისა, რუსეთის იმპერიული ძალები ვერ შეურიგდა ყოფილი კოლონიების დაკარგვას და ხელახლა სცადა იმპერიის აღდგენა. ამას ლამობდნენ არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, მათ შორის რუსი ბოლშევიკ-კომუნისტები, არამედ თეთრგვარდიელი გენერლები და კაპიტალისტები, რომელთაც თავიანთი დასაყრდენი მეხუთე კოლონიასთან (ადგილობრივ ბოლშევიკებთან) ერთად მოსყიდული კარიერისტი სწავლულებიც ჰყავდათ, რომელთაც რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული. ყოველივე ამის და ღრმა დივერსიული მოქმედების შედეგად, ბოლშევიკ-კომუნისტებმა შეძლეს აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის ჩასახვა და განვითარება. ამ საქმეში ჩართული იყო არა მხოლოდ ადგილობრივი რუსი სწავლულები, არამედ აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და კომისარიატის წევრების გარკვეული ნაწილიც. ბოლოს და ბოლოს 1921 წლის თებერვალში რუსეთმა, შეიარაღებული ინტერვენციის მოწყობის შედეგად, დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა ხელისუფლება დაამკვიდრა მთელს ქვეყანაში, სახელდობრ აფხაზეთშიც.

ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსეთმა შეძლო "რუსული აფხაზეთის" შექმნა, აფსუა სეპარატისტების ცნობიერების საბოლოო მოწამლვა ქართველთა წინააღმდეგ, რასაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ძალით,

აგრეთვე აფსუათა და ჩრდილო-კავკასიელთა ნაწილის დახმარებით, აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და აფხაზეთიდან ქართველთა განდევნა (აფხაზეთის ეთნოწმენდაც) მოჰყვა, ე.ი. ათეულობით უდანაშაულო მშვიდობიანი ქართველის დახოცვა და ათეულიათასობით ქართველთა გაძევება თავისი სამშობლოდან და სახლ-კარიდან. ჯერჯერობით ასეთია საქმის რეალობა.

* * *

ზემოაღნიშნულის მიუხედავად საქართველოს მთავარ პრობლემად რჩება აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი მოგვარება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის მეშვეობით აფხაზეთის მოსახლეობის უმცირესობამ — აფსუებმა განახორციელეს იქ მცხოვრები ქართველების გენოციდი და აფხაზეთის ეთნოწმენდა (200 ათასზე მეტი ქართველის გაძევება თავისი სახლ-კარიდან და მიწა-წყლიდან), საქართველო ყველა შესაძლებლობით ცდილობს საქმე მშვიდობიანი გზით მოაგვაროს. თუმცა ამ პროცესს დაუფარავად აფერხებს და ბლოკავს რუსეთი, რომლის ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები არა მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების მალული ორგანიზატორი იყო, არამედ პირდაპირი მონაწილეც და აფსუების სამხედრო იარაღის მიმწოდებელიც, აგრეთვე ჩრდილი კავკასიის კონფედერაციის ძალების (ბოევიკების) წამქეზებელიც. კიდევ მეტი, ახლა როდესაც ერთ მხარეზეა საქართველო, ხოლო მეორე მხარეზე ვითომ ე.წ. აფხაზები (აფსუები), სინამდვილეში საქართველოს პირისპირ რუსეთი დგას, რომელიც თავისი ე.წ. მშვიდობის დამცველების, სამხედრო ძალებისა და ხელისუფლების ძალით ადგილზეც და საერთაშორისო მასშტაბითაც აბრკოლებს აფხაზეთის საქმის მოგვარებას. ამასთან, ჩაფიქრებული რევანშისტული მიზნის განსახორციელებლად, ცდილობს ხელოვნური შემოყლის გზით, აფხაზეთის დაპყრობას და ხელში ჩაგდებას, კერძოდ აფხაზეთის მოსახლეობისათვის მოქალაქეობის მიცემით ხელოვნურ საფუძველს ქმნის აფხაზეთი რომ დაისაკუთროს. სწორედ რუსეთის ძალით ბრკოლდება და ჭიანურდება ცხრა წელიწადზე მეტი ხანი აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა, რაც ძალაუნებურად უბიძგებს საქართველოს საქმის გადაჭრის ძალისმიერ საშუალებას მიმართოს.

# სარჩევი

გვ.


გ. ახვლედიანი აფხაზეთის ტოპონიმიკის შესახებ 3

ს. ყაუხჩიშვილი "გიორგი მერჩულეს გარშემო" 19

დ. კობიძე აბხაზის მნიშვნელობა სპარსული
წყაროების მიხედვით 25

გ. ჩიტაია აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ 28

დიმიტრი გულიას ძველი და ახალი აზრები აფხაზებზე 41

ნიკო ბერძენიშვილი აფხაზეთის და აფხაზების შესახებ 53